

სააქციო საზოგადოება თიბისი ლიზინგი

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო
სტანდარტების შესაბამისად მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნა

2018 წლის 31 დეკემბერი

ქეთევან ზეზინაძე

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1	შესავალი	5
2	კომპანიის საოპერაციო გარემო	6
3	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	6
4	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკაში	22
5	ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება	25
6	საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები	27
7	ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	29
8	ბანკებიდან მისაღები თანხები	29
9	გადახდილი ავანსები	30
10	ლიზინგის ხელშეკრულებებისთვის გადახდილი ავანსები	30
11	წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	30
12	ძირითადი საშუალებები	35
13	არამატერიალური აქტივები	36
14	საინვესტიციო ქონება	36
15	შეწყვეტილი ლიზინგიდან დაბრუნებული აქტივები	38
16	სხვა ფინანსური აქტივები	38
17	სესხები ბანკებიდან და სხვა ფინანსური ინსტიტუტებიდან	41
18	კლიენტებისგან მიღებული ავანსები	42
19	გამოშვებული ფასიანი ქაღალდები	42
20	სუბორდინირებული სესხები	42
21	სხვა ვალდებულებები	43
22	სააქციო კაპიტალი	43
23	ფინანსური შემოსავალი ლიზინგიდან	43
24	სხვა შემოსავალი	43
25	ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები	44
26	წმინდა ვალის შეჯერება	44
27	ფინანსური რისკების მართვა	45
28	კაპიტალის მართვა	55
29	წარმოებული ფინანსური ინეტრუმენტები	55
30	ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება	56
31	გაუთვალისწინებელი მოვლენები და მოვალეობები	58
32	ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	59

კომპანია ფინანსური

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს თი ბი სი ლიზინგის აქციონერებსა და ხელმძღვანელობას

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგება“), ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სს თი ბი სი ლიზინგის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებს, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა („ფას“-ები) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტის საგანი

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისათვის;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისათვის;
- ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისათვის; და
- ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ, აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და შესაფერის საფუძველს წარმოადგენს.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისა და კომპანიისგან ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული პროფესიულ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის („IESBA“-ის კოდექსი) მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული ნორმებით და IESBA-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს „მმართველობით ანგარიშგებას“ (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებსა და მასზე გაცემულ ჩვენ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებებზე არ მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშგებას, და განვიხილოთ მმართველობითი ანგარიშგება არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა

მმართველობითი ანგარიშების გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა მმართველობითი ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად სრულ ინფორმაციას.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობით ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად; და
- მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაფერის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებებთან მიმართებაში

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც ხელმძღვანელობა აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს ჯგუფისა და კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ან კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის და კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებებს.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; გვეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვვრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი.
- იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავვეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის და კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა ჯგუფის ან კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი ან კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის შესაბამის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფის საწარმოების ან ბიზნეს საქმიანობის შესახებ ფინანსური ინფორმაციასთან დაკავშირებით რათა გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებებზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ ჯგუფის აუდიტის მიმართულებაზე, მეთვალყურეობასა და წარმადობაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველოს სახელით (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)

ლაშა ჯანელიძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-562091)

2019 წლის 16 აპრილი
თბილისი, საქართველო

ქრისტინე ბუჩიშვილი

გვერდი 3

სააქციო საზოგადოება თიბისი ლიზინგი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
 (თანხები მოცემულია ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	7	18,639	7,865
ბანკებიდან მისაღები თანხები	8	-	4,432
გადახდილი ავანსები	9	2,490	3,013
საგადასახადო აქტივები, წმინდა		1,019	2,463
ლიზინგის ხელშეკრულებებისთვის გადახდილი ავანსები	10	36,068	25,758
წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	11	203,707	143,777
ძირითადი საშუალებები	12	9,278	3,128
არამატერიალური აქტივები	13	1,160	717
საინვესტიციო ქონება	14	2,100	2,299
შეწყვეტილი ლიზინგებიდან დაბრუნებული აქტივები	15	7,805	3,328
სხვა ფინანსური აქტივები	16	7,326	4,047
სხვა აქტივები		92	2
სულ აქტივები		289,684	200,829
ვალდებულებები			
სესხები ბანკებიდან და სხვა ფინანსური ინსტიტუტებიდან	17	204,369	135,782
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	18	17,726	12,907
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	19	8,094	7,798
სუბორდინირებული სესხი	20	29,247	15,685
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები		48	-
სხვა ვალდებულებები	21	5,483	9,257
სულ ვალდებულებები		264,967	181,429
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	22	3,059	3,059
დამატებით სააქციო კაპიტალის გადახდილი წილი		2,150	2,150
გაუნაწილებელი მოგება		19,508	14,192
სულ კაპიტალი		24,717	19,401
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		289,684	200,830

აღმასრულებელი დირექტორი
 გაიოზ გოგუა

ფინანსური დირექტორი
 ნუგზარ ლოლაძე

2019 წლის 16 აპრილი

შენიშვნები, რომელიც მოცემულია 5-დან 60-ე გვერდამდე, წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ქეთევან ჭეიშვილი

სააქციო საზოგადოება თიბისი ლიზინგი
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
(თანხები მოცემულია ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი ფინანსური ლიზინგიდან	23	39,190	22,517
შემოსავალი საოპერაციო ლიზინგიდან		2,201	288
საპროცენტო ხარჯი		(15,356)	(9,345)
წმინდა ფინანსური შემოსავალი		26,035	13,460
ფინანსურ ლიზინგში წმინდა ინვესტიციების გაუფასურების ანარიცხი	11	(624)	(263)
ფინანსურ ლიზინგში წმინდა ინვესტიციების გაუფასურების ანარიცხის შემდეგ დარჩენილი წმინდა ფინანსური შემოსავალი		25,411	13,197
სხვა ფინანსურ აქტივებში გაუფასურების ანარიცხი	16	(4,262)	(1,993)
სხვა შემოსავალი	24	820	820
შემოსულობა დაბრუნებული აქტივების თავდაპირველ აღიარებაზე		294	308
დაბრუნებული აქტივების ჩამოწერა წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე	15	(506)	(449)
ზარალი გაყიდვებიდან და დაბრუნებული აქტივების გამოშვება	15	(378)	(111)
ზარალი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების წმინდა შემოსულობებიდან		(56)	-
სავალუტო კურსის კონვერტაციის შემოსულობები		(227)	967
შემცირებული ზარალით			
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	25	(14,803)	(8,977)
შემოსულობა/(ზარალი) საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან	14	(199)	323
მოგება დაბეგრამდე		6,094	4,085
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება		6,094	4,085
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		6,094	4,085

შენიშვნები, რომელიც მოცემულია 5-დან 60-ე გვერდამდე, წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ტიმურ ბეიერაძე

სააქციო საზოგადოება თიბისი ლიზინგი
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 (თანხები მოცემულია ათასობით ქართულ ლარში)

	სააქციო კაპიტალი	დამატებით სააქციო კაპიტალის გადახდილი წილი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერს	3,059	2,150	10,107	15,316
სულ წლის სრული შემოსავალი	-	-	4,085	4,085
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	3,059	2,150	14,192	19,401
ფასს 9-ს მიღების გავლენა 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	(778)	(778)
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	3,059	2,150	13,414	18,623
სულ წლის სრული შემოსავალი	-	-	6,094	6,094
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	3,059	2,150	19,508	24,717

სააქციო საზოგადოება თიბისი ლიზინგი
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
(თანხები მოცემულია ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ფულადი სახსრების მიღება ლიზინგით მოსარგებლეებისგან		145,976	92,655
ფულადი სახსრების მიღება ლიზინგით მოსარგებლეებისგან როგორც საგირავნო დეპოზიტი		18,664	15,404
ფულადი სახსრების მიღება დაბრუნებული აქტივებისგან		3,208	1,298
ფულადი სახსრების მიღება შეწყვეტილი ლიზინგიდან დაბრუნებული აქტივებით		895	1,963
ლიზინგისთვის შემენილი აქტივებისთვის გადახდილი ფული		(200,544)	(145,217)
მიმწოდებლებისთვის გადახდილი ფული		(6,996)	(5,531)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფული		(2,703)	(1,936)
ოპერაციებში გამოყენებული ფულადი ნაკადები		(41,500)	(41,364)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები			
სუბორდინირებულ სესხებზე გადახდილი პროცენტი	26	(1,908)	(1,757)
ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან აღებული სესხების გადახდილი პროცენტი	26	(11,712)	(5,412)
გამოცემულ სავალო ფასიან ქაღალდებზე გადახდილი პროცენტი	26	(394)	(585)
გადახდილი გადასახადები		(5,204)	(4,960)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(60,718)	(54,078)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
მიღებული პროცენტი		42	236
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	12	(7,976)	(275)
არმატერიალური აქტივების შესყიდვა	13	(535)	(161)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(8,469)	(200)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
ბანკებისგან და ფინანსური ორგანიზაციებისგან მიღებული სესხები	26	137,414	119,604
სავალო ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვა		-	(4,877)
მიღებული სუბორდინირებული სესხები	26	28,604	-
გადაფარული სუბორდინირებული სესხები	26	(15,611)	-
დეპოზიტებიდან (ბანკების) მიღებული ფული		4,432	-
დეპოზიტებისთვის (ბანკების) გადახდილი ფული		-	(4,432)
ფულის გადინება წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან		(4)	-
გადაფარული სესხები ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან	26	(78,771)	(52,834)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		76,064	57,461
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებზე და ფულადი სახსრების ექვივალენტებზე		3,897	(595)
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა		10,774	2,588
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში	7	7,865	5,277
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს	7	18,639	7,865

სააქციო საზოგადოება თიბისი ლიზინგი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები- 2018 წლის 31 დეკემბერი
(თანხები მოცემულია ათასობით ქართულ ლარში)

1 შესავალი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობაში, 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის სააქციო საზოგადოება თიბისი ლიზინგისთვის (კომპანია)

კომპანია დაფუძნდა 2003 წელს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია წარმოადგენს აქციებით შეზღუდულ დახურულ სააქციო საზოგადოებას და დაფუძნებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რეგისტრირებულია ვაკე-საბურთალოს სასამართლოში საინდენტიფიკაციო ნომრით: 205016560.

ძირითადი საქმიანობა: კომპანიის ძირითადი ბიზნეს საქმიანობა ფინანსებისა და საოპერაციო ლიზინგის კომპანიებისა და ფიზიკური პირებისთვის მიწოდებაა. კომპანია ფართო სპექტრის სალიზინგო პროდუქციის ყველაზე დიდი მიმწოდებელია 2500-ზე მეტი დიდი, კორპორაციული, მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეობის (მმსმ) და ფიზიკური პირების კლიენტებისთვის მთელს საქართველოში. კომპანიის პროდუქტი მოიცავს ფინანსურ და საოპერაციო ლიზინგს აგრარულ, სამედიცინო, სამშენებლო, მომსახურების, სამრეწველო და საცალო ვაჭრობის სფეროებში. კომპანია, მის პროდუქციას მომხმარებელს სთავაზობს სხვადასხვა გაყიდვების არხების მეშვეობით, რომლებიც მოიცავს უშუალო მშობელ ბანკს, ოფიციალურ წარმომადგენლობებს, მიმწოდებლებს და პირდაპირი გაყიდვების არხებს. კომპანია ლიზინგის სახით გასცემს სხვადასხვა ტიპის აქტივებს, ინდუსტრიული აღჭურვილობიდან და საინფორმაციო ტექნოლოგიებში გამოყენებული აღჭურვილობიდან დაწყებული, ავტომობილებით დამთავრებული, რომლებიც შესყიდულია მომწოდებლებისგან საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. კომპანია პარტნიორია ისეთი სამთავრობო სააგენტოებისა, როგორებიცაა აწარმოე საქართველოში და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო (APMA), რომლებიც ახდენენ კომპანიების სუბსიდირებას მათი ბიზნესის ზრდის ხელშესაწყობად. კომპანიას მუდმივად ჰყავს 100-ზე მეტი თანამშრომელი და ოპერირებს სათაო ოფისში და ხუთ საცალო ვაჭრობის ფილიალში.

31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის აქციონერები წარმოადგენდნენ შემდეგს:

აქციონერები	2018	2017
	მფლობელობის წილი, %	მფლობელობის წილი, %
სს თიბისი ბანკი („მშობელი“)	99.61%	99.61%
უმცირესობის წილის მფლობელი – ინდივიდუალური	0.39%	0.39%
სულ	100%	100%

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი მაკონტროლებელი მხარე იყო საჯარო პასუხისმგებლობის კომპანია (PLC) თიბისი ბანკის კომპანია, რომელიც რეგისტრირებულია გაერთიანებულ სამეფოში.

რეგისტრაციის მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის ოფისის სარეგისტრაციო მისამართია 0160, ჭავჭავაძის გამზირი 76, თბილისი, საქართველო.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ათასობით ქართულ ლარში („GEL“), თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული.

2 კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საოპერაციო გარემო საქართველოს ფარგლებშია. ისეთი განვითარებადი ეკონომიკა, როგორც საქართველოს აქვს, სწრაფად ცვალებადი და მოწყვლადია მსოფლიო საბაზრო ეკონომიკის პირობებთან და ეკონომიკურ რეცესიებთან მიმართებაში. ამის შედეგად, საქართველოში წარმოებული ოპერაციები შესაძლოა დადგეს გარკვეული რისკების ქვეშ, რომლებიც, როგორც წესი, არ არის დამახასიათებელი განვითარებული ბაზრისთვის. მიუხედავად ამისა, ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს მთავრობამ გაატარა რიგი სამოქალაქო, საგადასახადო, სამართლებრივი, ადმინისტრაციული და კომერციული რეფორმები, რომლებმაც დადებითი გავლენა იქონიეს ქვეყნის საერთო საინვესტიციო გარემოზე. დღეს, საქართველოს გააჩნია ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს მქონე ქვეყნის რეპუტაცია. მსოფლიო ბანკისა (WB) და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) „ბიზნესის კეთება 2019“ ანგარიშის მიხედვით, საქართველო აგრძელებს წინსვლას, სადაც იკავებს მსოფლიოში მე-6 ადგილს 190-დან ბიზნესის კეთების სიმარტივით, წინა წლის ნმჩვენებელთან შედარებით, 7 საფეხურით წინ. ქვეყანამ გამოასწორა მისი რეიტინგი თითქმის ყველა კატეგორიაში, რითიც გაამყარა მისი პოზიცია როგორც რეგიონულმა ლიდერმა და წარმადობით გააძაქრბა ევროკავშირის ქვეყნების უმეტესობას. მთელი რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევების მიხედვით, საქართველოს ასევე შეუძლია იამაყოს კორუფციის დაბალი დონით, დაბალი საგადასახადო ტვირთით, სახელმწიფო სტრუქტურების მაღალი გამჭვირვალობით. შიდა ეკონომიკური მდგომარეობა სტაბილურია და საბანკო სექტორი აგრძელებს ზრდას, რაც, თავის მხრივ, ეყრდნობა უფრო ფართო მაკროეკონომიკურ სტაბილურობას და მიმზიდველ საინვესტიციო გარემოს. მაკროეკონომიკური წარმადობის, მოდინების მრავალფეროვანი წყაროებისა და წინდახედული მაკროეკონომიკური პოლიტიკის შედეგად, 2019 წლის 22 თებერვალს, Fitch რეიტინგებმა საქართველოს მიანიჭეს სუვერენული 'BB' რეიტინგი, ნაცვლად მანამდე არსებული 'BB-'ისა, სტაბილური პერპექტივით.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს“-ები) და საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად, ისტორიული ღირებულებების პრინციპების გათვალისწინებით. ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია ქვემოთ. ფასს 9 და ფასს 15 -ს მიღების შედეგად მიღებული ცვლილებების გარდა, რომელიც ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან, ეს პოლიტიკა თანმიმდევრულად ესადაგება ყველა წარდგენილ პერიოდს, თუ არ არის სხვაგვარად მითითებული. აღრიცხვის პოლიტიკის პრინციპები, ფინანსურ ინსტრუმენტებთან და ბრუნვის აღიარებასთან მიმართებაში რომელიც 2017 წლის 31 დეკემბრამდე იყო მიღებული, წარმოდგენილია ქვემოთ.

ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის, ხელმძღვანელობას მოეთხოვება შეფასებების, განსჯისა და დაშვებების გაკეთება აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, რომლებიც არ არის აშკარა სხვა წყაროებიდან. შეფასებები და მათთან ასოცირებული დაშვებები ემყარება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა შესაბამის ფაქტორებს.

შეფასებები და ქვემოთ მოყვანილი დაშვებები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება გადაიხედა, თუ გადახედვა მხოლოდ იმ პერიოდზე ახდენს გავლენას, ან გადახედვის პერიოდში და სამომავლო პერიოდებში, თუ გადახედვა გავლენას ახდენს ორივეზე, მიმდინარე და სამომავლო პერიოდებზე.

ახალი და შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები

ამ ფინანსურ ანგარიშგებაში, კომპანიამ პირველად გამოიყენა ფასს 9 და ფასს 15, რაც ეფექტურია 2018 წლის 1 იანვრიდან. კომპანიას მანამდე არ მიუღია სხვა რაიმე სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ შესწორება, რომელიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ეფექტური არ არის.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9-მ ასს 39 ჩაანაცვლა 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომი წლიური პერიოდებისთვის. კომპანიამ გამოიყენა ფასს 9 მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მიდგომით, რაც ნიშნავს, რომ მან არ გადააფასა შესადარისი ინფორმაცია 2017 წლისთვის, ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, ფასს 9-ს ფარგლებში. მაშასადამე, 2017 წლისთვის შესადარისი ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტებისთვის არ ედრება 2018 წლისთვის წარდგენილ ინფორმაციას. ფასს 9 მიღებით წარმოქმნილი განსხვავებები აღიარდა პირდაპირ გაუნაწილებელ შემოსულობებში 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და გამჟღავნებულია შენიშვნა 5-ში, გარდამავლობის ცხრილში.

ცვლილებები კლასიფიკაციასა და შეფასებაში

კლასიფიკაციისა და შეფასების კატეგორიის განსასაზღვრად, ფასს 9 მოითხოვს კაპიტალის ინსტრუმენტებისა და წარმოებულების გარდა ყველა ფინანსური აქტივების შეფასებას საწარმოს აქტივებისა და ინსტრუმენტების სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლების მართვისა და ბიზნეს მოდელის კომბინაციაზე დაყრდნობით.

ასს 39 ფინანსური აქტივების შეფასების კატეგორიები (რეალური ღირებულება მოგება/ზარალის მეშვეობით (FVTPL), გასაყიდად არსებული (AFS), დაფარვის ვადამდე ფლობილი და ამორტიზირებული ღირებულება) ჩანაცვლდა შემდეგით:

- სავალო ინსტრუმენტები ამორტიზირებული ღირებულებით
- სავალო ინსტრუმენტები რეალური ღირებულებით, სხვა სრული შემოსავლის მეშვეობით (FVOCI) შემოსულობები და ზარალი ჩანაცვლებული მოგება-ზარალით აღიარების შეწყვეტაზე
- კაპიტალის ინსტრუმენტები რეალური ღირებულებით, სხვა სრული შემოსავლის მეშვეობით, რომელსაც არ გააჩნია გადამუშავებული შემოსულობები და ზარალი აღიარების შეწყვეტაზე მოგება-ზარალის მეშვეობით
- ფინანსური აქტივები FVTPL-ით

ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვა უმეტესად იგივე რჩება, როგორც ეს ასს 39-ით იყო, იმ შემოსულობების და ზარალის გარდა, რომელიც წარმოიქმნა საწარმოს საკრედიტო ზარალისგან, რომელიც დაკავშირებულია ვალდებულებებთან, რომელიც განსაზღვრულია FVTPL-ით. მსგავსი მოძრაობები წარდგენილია სხვა სრულ შემოსავალში, შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი რეკლასიფიკაციის გარეშე.

ცვლილებები გაუფასურების დაანგარიშებაში

ფასს 9-ს მიღებამ კომპანიის ბუღალტერიაში ფუნდამენტური ცვლილებები გამოიწვია წმინდა ინვესტიციებისთვის ფინანსურ ლიზინგში (NIFL) ზარალის გაუფასურებით ასს 39-ს გაწეული ზარალის მიდგომის წინდახედული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მიდგომით ჩანაცვლებით. ფასს 9 კომპანიისგან მოითხოვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხის აღრიცხვას ყველა NIFL-სთვის და სხვა ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც არ არის ფლობილი FVTPL-ით, ლიზინგის ვალდებულებებთან და ფინანსური გარანტიების ხელშეკრულებებთან ერთად. ანარიცხი ეფუძნება მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რომელიც ასოცირდება დეფოლტის ალბათობასთან მომდევნო თორმეტი თვის განმავლობაში, თუ არ ყოფილა მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის ზრდა, წარმოქმნიდან მოყოლებული.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად შეფასების თარიღით, ბაზრის მონაწილეებს შორის გარიგებისას. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიურია ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ. იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებითაც ვაჭრობენ აქტიურ ბაზარზე, ფასდება ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კვოტირებული ფასის გამრავლებით საწარმოს მიერ ფლობილ რაოდენობაზე. ეს ასეა მაშინაც კი, როდესაც ბაზრის ჩვეულებრივი დღიური ვაჭრობის მოცულობა საკმარისი არ არის ფლობილი რაოდენობის ასათვისებლად და ერთი გარიგებით პოზიციის გაყიდვის დაკვეთამ შეიძლება გავლენა იქონიოს კვოტირებულ ფასზე.

შეფასების ისეთი ხერხები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან თავისუფალ, მხოლოდ საკუთარი ინტერესის მქონე პირებს შორის გარიგებები, ან ინვესტიციის მიმღების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება, გამოიყენება იმ კონკრეტულ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთა საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონეა იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება; (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მესამე დონის შეფასებებია, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არადაკვირვებადი რესურსი). რეალური ღირებულების იერარქიის დონეებს შორის ტრანსფერები მიიჩნევა, რომ გამოჩნდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს. იხილეთ შენიშვნა 30.

ტრანზაქციის დანახარჯები ზრდადი დანახარჯებია, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასვლას. ზრდადია დანახარჯი, რომელიც არ გაიწეოდა, მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. გარიგების დანახარჯები მოიცავს სააგენტოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟისთვის გადახდილ საფასურს და საკომისიოს, ასევე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობის დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარდა საწყისი აღიარებისას, შემცირებული ძირითადი თანხის ნებისმიერი გადახდით, მიმატებული დაგროვილი პროცენტი და ფინანსური აქტივები, შემცირებული ანარიცხებით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის ("ECL"). დაგროვილი პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერ პრემიას ან დისკონტს ვადის დაფარვამდე,

ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დაგროვილი საპროცენტო შემოსავალი და დაგროვილი საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დაგროვილი კუპონი და ამორტიზებული დისკონტი, ან პრემია (წარმოშობისას გადავადებული საფასურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს) ცალკე არ აისახება და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების დაკავშირებული მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი ისე, რომ მიღწეულ იქნეს მუდმივი პროცენტი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთია ის, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება შეფასებული სამომავლო ფულადი გადახდები ან ფულის მიღება (სამომავლო საკრედიტო ზარალის გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, საჭიროებისამებრ, ფინანსური ინსტრუმენტის ბრუტო საბალანსო ღირებულებამდე.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მერყევ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების ("POCI") შემთხვევაში თავდაპირველი აღიარებისას უნდა განისაზღვროს საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, მაგალითისთვის, სახელშეკრულებო გადახდების ნაცვლად, ის თავდაპირველი აღიარებისას მოსალოდნელი ფულადი სახსრების საფუძველზე გამოითვლება.

ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტები რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL) თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, კორექტირებული გარიგების დანახარჯებით. საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. საწყის აღიარებაზე შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ ასახება, როდესაც რეალური ღირებულება და გარიგების ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იმავე ინსტრუმენტის სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო ოპერაციები, ან შეფასების ხერხი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების გამოყენებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით (AC) და სავალო ინსტრუმენტებში ინვესტიციებისთვის, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI), რაც გამოიწვევს მყისეულ საბუღალტრო ზარალს.

ფინანსური აქტივების ნებისმიერი შესყიდვა და გაყიდვა, რაც მოითხოვს რეგულაციის მიერ, ან ზაზრის პრინციპების მიერ დადგენილ ვადებში (შესყიდვები და გაყიდვები „რეგულარულად“) მიწოდებას, არღიცხულია, როგორც ვაჭრობის თარიღი, რომელიც, თავის მხრივ ის თარიღია, როდესაც კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს ფინანსური აქტივის მიწოდება. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება მაშინ, როდესაც საწარმო ხდება მხარე ინსტრუმენტის სახელშეკრულებო უზრუნველყოფისთვის.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები. კომპანია ფინანსურ აქტივებს შემდეგ შეფასების კატეგორიებად აჯგუფებს: რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით, რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და ამორტიზებული ღირებულებით (FVTPL, FVOCI და AC). სავალო ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია (i) კომპანიის ბიზნეს მოდელზე მართვისთვის და დაკავშირებული აქტივების პროტფელზე და (ii) აქტივის დამახასიათებელ ფულად ნაკადებზე.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნეს-მოდელი. ბიზნეს-მოდელი ასახავს, როგორ მართავს კომპანია თავის აქტივებს ფულადი ნაკადების წარმოსაქმნელად - კომპანიის მიზანია (i) აქტივიდან მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება ("სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ფლობილი"), თუ (ii) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ისე აქტივების გაყიდვიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების მიღება ("სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად და გასაყიდად ფლობილი") ან, თუ არც (i) და არც (ii) შესაფერისი არ არის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „სხვა“ ბიზნეს-მოდელში და შეფასდება რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით.

აქტივების ჯგუფის (პორტფელის დონეზე) ბიზნეს-მოდელი განისაზღვრება კომპანიის მიერ შეფასების თარიღით ხელმისაწვდომი პორტფელისთვის დადგენილი მიზნების მისაღწევად განხორციელებული საქმიანობის შესახებ შესაფერისი მტკიცებულების საფუძველზე. კომპანიის მიერ ბიზნეს-მოდელის განსაზღვრისთვის გათვალისწინებული ფაქტორები მოიცავს პორტფელის დანიშნულებას და

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

შემადგენლობას, წარსულ გამოცდილებას იმასთან დაკავშირებით, როგორ მიიღებოდა ფულადი ნაკადები შესაბამისი აქტივებიდან, როგორ ხდება რისკების შეფასება და მართვა, როგორ ხდება აქტივების შედეგების შეფასება და როგორ ხდება ხელმძღვანელების ანაზღაურება.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები
როდესაც ბიზნეს-მოდელი გულისხმობს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად და გასაყიდად, მაშინ კომპანია შეაფასებს ფულადი ნაკადები წარმოადგენენ თუ არა მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდას (“SPPI”). ფინანსური აქტივების, ჩართული წარმოებულებით, მთლიანად გათვალისწინება ხდება იმის განსაზღვრისას, ფულადი ნაკადები შესაბამისობაშია თუ არა SPPI-მახასიათებელთან. შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები საბაზისო სასესხო ხელშეკრულების თანმიმდევრულია თუ არა, ანუ პროცენტში მხოლოდ საკრედიტო რისკი და ფულის დროითი ღირებულება გათვალისწინებული თუ სხვა საბაზისო რისკები და მოგების მართვა.

როდესაც სახელშეკრულებო პირობები მოიცავს რისკს ან ცვალებადობას, რომელიც საბაზისო სასესხო ხელშეკრულებასთან არათავსებადია, მაშინ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და შეფასდება, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგება-ზარალში ასახვით. SPPI-ს შეფასება ხდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდეგ მისი ხელახლა შეფასება არ ხდება. იხილეთ შენიშვნა 3 კომპანიის მიერ თავის ფინანსურ აქტივებზე SPPI-ის ტესტის ჩატარებისას გამოყენებული კრიტიკული განსჯის შესახებ ინფორმაციისთვის.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია. ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან. საწარმოს არ შეუცვლია თავისი ბიზნეს-მოდელი მიმდინარე და შესადარის პერიოდებში და არ განუხორციელებია რეკლასიფიკაცია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის კომპანია პერსპექტიულ საფუძველზე აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ამორტიზებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, შეფასებული სავალო ინსტრუმენტებისთვის, ისევე როგორც სასესხო ვალდებულებისა და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი რისკისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის. კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღით აფასებს ფინანსური და სახელშეკრულებო აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს წმინდა გაუფასურების ზარალს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში აისახება: (i) მიუკერძოებელი და ალბათობით შეწონილი თანხა, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების სპექტრის შეფასებით, (ii) ფულის დროითი ღირებულება და (iii) ყველა მიზანშეწონილი და დასაბუთებადი ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მეტისმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარსული მოვლენების, არსებული მდგომარეობისა და სამომავლო ვითარების პროგნოზის შესახებ.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები და სახელშეკრულებო აქტივები კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხის გარეშე. რაც შეეხება სალიზინგო ვალდებულებებსა და ფინანსურ გარანტიებს, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცალკე ანარიცხი აღიარდება ვალდებულების სახით კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, შეფასებული სავალო ინსტრუმენტებისთვის ამორტიზებული ღირებულების ცვლილება, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხის გარეშე, აღიარდება მოგება-ზარალში, ხოლო საბალანსო ღირებულების სხვა ცვლილებები სხვა სრულ შემოსავალში აღიარდება შემოსულობის სახით, შემცირებული რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, შეფასებული სავალო ინსტრუმენტებიდან წარმოქმნილი ზარალით.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კომპანია გაუფასურების სამეტაპიან მოდელს იყენებს, თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო ხარისხის ცვლილების საფუძველზე. ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გაუფასურებული არ არის თავდაპირველი აღიარებისას, კლასიფიცირდება 1-ელ ეტაპზე. 1-ლი ეტაპის ფინანსური აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდება თანხით, რომელიც უტოლდება სასარგებლო მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის იმ ნაწილს, რომელიც წარმოიქმნება მომდევნო 12 თვეში ან სახელშეკრულებო ვადის განმავლობაში, რომელიც უფრო ხანმოკლეა, დეფოლტის შემთხვევაში („12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“). თუ კომპანია გამოავლენს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მაშინ აქტივი გადააქვთ მე-2 ეტაპზე და მისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდება სასარგებლო მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე, ანუ სახელშეკრულებო ვადის ამოწურვამდე, მაგრამ მოსალოდნელი ავანსის გადახდების გათვალისწინებით, თუ ასეთი არსებობს (სასარგებლო მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“). იმის აღწერა, როგორ განსაზღვრავს კომპანია, რომ რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მოცემულია 27-ე შენიშვნაში. თუ კომპანია განსაზღვრავს, რომ ფინანსური აქტივის გაუფასურებულია, მაშინ ეს აქტივი მე-3 ეტაპზე გადააქვთ და მისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდება, როგორც სასარგებლო მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. აქტივების გაუფასურებისა და დეფოლტის კომპანიას განმარტებები ახსნილია 27-ე შენიშვნაში. შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივებისთვის („POCI“ აქტივები) მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ყოველთვის სასარგებლო მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით შეფასდება. 27-ე შენიშვნაში მოცემულია ინფორმაცია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლისას გამოყენებული მონაცემების, დაშვებებისა და შეფასების მეთოდების შესახებ, მათ შორის იმის ახსნა, კომპანია როგორ ითვალისწინებს პერსპექტიულ ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის მოდელებში.

გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, როგორიცაა მაგალითად საკრედიტო ბარათები, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ როგორც სესხის, ისე უცნობი ვალდებულების კომპონენტი, კომპანია გამოანაკლისის სახით მოსალოდნელ საკრედიტო რისკს შეაფასებს იმ პერიოდზე, როდესაც კომპანიის წინაშე საკრედიტო რისკია, ანუ მანამ, სანამ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არ შემცირდება საკრედიტო რისკის მართვის ღონისძიებებით, თუნდაც ეს პერიოდი მაქსიმალურ სახელშეკრულებო პერიოდს სცილდებოდეს. აღნიშნულის მიზეზია ის, რომ თანხის დაბრუნებისა და უცნობი ვალდებულების გაუქმების მოთხოვნის სახელშეკრულებო შესაძლებლობით საკრედიტო ზარალის რისკი არ შემოიფარგლება მსგავსი სახელშეკრულებო პერიოდით.

ფინანსური აქტივები – ჩამოწერა ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ ასებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას. კომპანიამ შეიძლება ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომელთა მიმართ აღსრულების ღონისძიებები ჯერ კიდევ ხორციელდება, როდესაც კომპანია ცდილობს იმ თანხების ამოღებას, რომელთა გადახდის სახელშეკრულებო ვადა დადგა, თუმცა, არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა კომპანია ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია ან აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღება სხვაგვარად შეწყდება ან (ბ) კომპანიას გადაცემული აქვს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადებული აქვს საკვალიფიკაციო გამტარი გარიგება, რომლითაც (i) გადაცემულია აგრეთვე აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად მთელი რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული. კონტროლი შენარჩუნებულია, როდესაც პარტნიორს არ გააჩნია აქტივის მთლიანობაში დაუკავშირებელ მესამე მხარეზე მიყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები – მოდიფიცირება ზოგჯერ კომპანია ფინანსური აქტივების სხელშეკრულებო პირობებთან დაკავშირებით ხელახლა მოილაპარაკებს ან სხვაგვარად ახორციელებს მის მოდიფიცირებას. კომპანია შეაფასებს, სახელშეკრულებო პირობების ეს მოდიფიცირება არსებითია თუ არა, სხვა ფაქტორებთან ერთად შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: ნებისმიერი ახალი სახელშეკრულებო პირობა, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აქტივის რისკის პროფილზე (მაგ., მოგების წილი ან კაპიტალზე დაფუძნებული უკუგება), საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელოვანი ცვლილება, სხვა ვალუტაში გამოსახვა, ახალი გირაო ან საკრედიტო გაუმჯობესება, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აქტივთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკზე ან სესხის მნიშვნელოვნად გაზრდა, როდესაც მსესხებელი ფინანსურ სირთულეებს არ განიცდის.

თუ მოდიფიცირებული პირობები არსებითად განსხვავებულია, თავდაპირველი აქტივიდან ფულად ნაკადებზე უფლება შეწყდება და კომპანია შეწყვეტს თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარებას და ახალ აქტივს აღიარებს რეალური ღირებულებით. აღიარების თარიღად მიიჩნევა თავდაპირველი აღიარების თარიღი გაუფასურების შემდგომი გამოთვლის მიზნებისათვის, მათ შორის იმის განსაზღვრისთვის, ჰქონდა თუ არა ადგილი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან გაზრდას. კომპანია შეაფასებს ასევე ახალი სესხი ან სავალო ინსტრუმენტი აკმაყოფილებს თუ არა მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდის ("SPPI") კრიტერიუმებს. აღიარებაშეწყვეტილი თავდაპირველი აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ახალი, მნიშვნელოვნად მოდიფიცირებული აქტივის რეალურ ღირებულებას შორის ნებისმიერი სხვაობა მოგება-ზარალში აღიარდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს განსხვავება მიეკუთვნება მფლობელებთან კაპიტალ-ოპერაციას.

ისეთ ვითარებაში, როდესაც ხელახლა მოლაპარაკება გამოწვეული იყო პარტნიორის ფინანსური სირთულეებით და თავდაპირველად შეთანხმებული გადახდების განხორციელების უუნარობით, კომპანია შეადარებს თავდაპირველ და გადასინჯულ ფულად ნაკადებს, რათა შეაფასოს აქტივის რისკები და უკუგება მნიშვნელოვნად განსხვავებულია თუ არა ხელშეკრულების მოდიფიცირების შედეგად. თუ რისკები და უკუგება არ იცვლება, მაშინ მოდიფიცირებული აქტივი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება თავდაპირველი აქტივისგან და მოდიფიცირება აღიარების შეწყვეტას არ გამოიწვევს. კომპანია ხელახლა გამოითვლის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებას მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ან კრედიტით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივებისთვის ("POCI" აქტივები) დისკონტირებით და მოდიფიცირების შემოსულობა ან ზარალს მოგება-ზარალში აღიარებს.

ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, გარდა (i) რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა: ეს კლასიფიკაცია მოიცავს წარმოებულებს, სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებს (მაგ., ფასიანი ქაღალდების მოკლე პოზიცია), პირობით ანაზღაურებას, რომელიც შემძენის მიერ არის აღიარებული საწარმოთა გაერთიანებისას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებსაც ეს კატეგორია აქვთ მინიჭებული თავდაპირველი აღიარებისას და (ii) ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოწურება).

კომპანიასა და მის თავდაპირველ გამსესხებლებს შორის მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობების მქონე სავალო ინსტრუმენტების გაცვლა, ასევე არსებული ფინანსური ვალდებულებების პირობების მნიშვნელოვანი მოდიფიცირება, აღიარდება, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები მნიშვნელოვნად განსხვავებულია, თუ ახალი პირობებით ფულადი ნაკადების დისკონტირებული ახლანდელი ღირებულება, გადახდილი საკომისიოს ჩათვლით და მიღებული საკომისიოს გამოკლებით, რომელიც დისკონტირებულია

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, სულ მცირე 10%-ით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ახლანდელი ღირებულებისგან. როდესაც სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების მოდიფიცირება დაფარვის სახით აღირიცხება, ნებისმიერი გაწეული დანახარჯი ან საკომისიო აღიარდება დაფარვისას წარმოქმნილ შემოსულობის ან ზარალის ნაწილად. თუ გაცვლა ან მოდიფიცირება დაფარვის სახით არ აღირიცხება, ნებისმიერი დანახარჯით ან საკომისიოთი კორექტირდება ვალდებულების საბალანსო ღირებულება და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების დარჩენილ ვადაში.

ვალდებულებების მოდიფიცირება, რომელიც არ იწვევს დაფარვას, აღირიცხება, როგორც შეფასების ცვლილება, კუმულაციური ამოქაჩვის მეთოდით, შემოსულობის ან ზარალის მოგება-ზარალში ასახვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა ეკონომიკური შინაარსით მიეკუთვნება მფლობელებთან კაპიტალ-ოპერაციას.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან: (i) ისინი ფლობილია სახელშეკრულებო და იმ ფულადი ნაკადის მიღებისთვის, რომელიც მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდას ("SPPI") წარმოადგენს, და (ii) მათ მინიჭებული არა აქვთ რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულის კატეგორია.

ლიზინგის დასაწყისი. ლიზინგის დასაწყისად ითვლება ლიზინგის ხელშეკრულების გაფორმების, ან ვალდებულების აღების თარიღი, თუ ეს უკანასკნელი უფრო ადრე მოხდა. ამ განმარტების მიზნებისათვის, ვალდებულების აღება ხდება წერილობით, გარიგებაში მონაწილე მხარეთა ხელმოწერის საფუძველზე, და მასში კონკრეტულად არის აღწერილი გარიგების ძირითადი პირობები.

ლიზინგის ვადის ათვლა. ლიზინგის ვადის ათვლა იწყება იმ თარიღიდან, როცა ლიზინგის მიმღებს მიენიჭება ლიზინგის საფუძველზე გადაცემული აქტივით სარგებლობის უფლება. ეს არის ლიზინგის თავდაპირველი აღიარების თარიღი.

ფინანსური ლიზინგი. ფინანსური ლიზინგი არის ლიზინგის ტიპი, რომლის ფარგლებშიც ხდება აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა შემთხვევითი რისკის თუ სარგებლის არსებითად გადაცემა. საკუთრების უფლების გადაცემა, საბოლოო ჯამში, ან ხდება, ან არა. ლიზინგი ფინანსური იქნება თუ საოპერაციო, ეს დამოკიდებულია ტრანზაქციის არსზე და არა, კონტრაქტის ფორმაზე. ლიზინგი კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ლიზინგი იმ შემთხვევაში, თუ:

- ლიზინგის ხელშეკრულებით აქტივის საკუთრების უფლება ლიზინგის მიმღებს გადაეცემა ლიზინგის ვადის დასრულებისას;
- ლიზინგის მიმღებს აქვს აქტივის ყიდვის შესაძლებლობა იმ ფასად, რაც მოსალოდნელია, რომ იქნება საკმარისად დაბალი იმ რეალურ ღირებულებასთან შედარებით, რომელიც დაფიქსირდება ოფციის განხორციელების შესაძლებლობის თარიღზე, ისე რომ ლიზინგის დაწყებისას, გონივრული ჩანს ოფციის განხორციელების შესაძლებლობა;
- ლიზინგის ვადა აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადის ძირითად ნაწილს შეეხება, იმის მიუხედავად საკუთრების უფლების გადაცემა განხორციელებულია თუ არა;
- ლიზინგის დაწყებისას ლიზინგის მინიმალური შენატანების მიმდინარე ღირებულება მინიმუმ ლიზინგით შესაძენი აქტივის რეალური ღირებულების ტოლია; და/ან
- ლიზინგით შესაძენი აქტივი ისეთი სპეციფიკური ტიპის საგანია, რომლის გამოყენებაც მხოლოდ ლიზინგის მიმღებს შეუძლია ძირეული მოდიფიკაციის გარეშე.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური შემოსავალი ლიზინგით გათვალისწინებული ძირითადი თანხისა და პროცენტის საფუძველზე იანგარიშება და მისი აღიარება სისტემატურად ხდება ლიზინგის ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში.

საოპერაციო ლიზინგი. ამ შემთხვევაში კომპანია არის ლიზინგის გამცემი ლიზინგის ხელშეკრულების შესაბამისად და არ ხდება კომპანიის მიერ ლიზინგის მიმღებისათვის ლიზინგის საგნის ფლობასთან დაკავშირებული ყველა სახის შემთხვევითი რისკისა თუ სარგებლის არსებითი ფორმით გადაცემა, ხოლო ლიზინგის შენატანებიდან მისაღები თანხები აღიარებულია, როგორც ლიზინგის ვადის განმავლობაში მისაღები საიჯარო შემოსავლის წრფივი მეთოდით შემცირება. ლიზინგის ვადა ის პერიოდია, რომელიც გაუქმებას არ ექვემდებარება და რომლის განმავლობაშიც ლიზინგის მიმღები ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე მიიღებს აქტივს სხვა პირობების ამოქმედების პარალელურად, რომელთა ფარგლებშიც ლიზინგის მიმღებს აქვს აქტივის ლიზინგის წესით ფლობის გაგრძელების შესაძლებლობა, მომდევნო შენატანების პირობებში ან მათ გარეშე, ისე რომ ლიზინგის დაწყებისას განივრული ჩანს ლიზინგის მიმღების მიერ ამ შესაძლებლობის განხორციელების შესაძლებლობა. სააღრიცხვო პოლიტიკა საოპერაციო ლიზინგის ქვეშ აქტივებისთვის განსაზღვრულია ძირითად საშუალებებში, ქვემოთ. სხვა შემოსავალი ლიზინგის აქტივების შესაკეთებელი და საექსპლუატაციო ხარჯების დასაფარად შეყვანილია შემოსავალში საოპერაციო ლიზინგიდან.

წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში / ფინანსური შემოსავლის აღიარება. წმინდა ინვესტიციებს ფინანსურ ლიზინგში კომპანია ლიზინგში წმინდა ინვესტიციის ღირებულებით ასახავს. ლიზინგში წმინდა ინვესტიცია გამოიანგარიშება, როგორც ლიზინგის მინიმალური შენატანების ჯამი, რომელიც ლიზინგის მიმღების მიერ გარანტირებული თანხები და სხვა ნებისმიერი არაგარანტირებული ნარჩენი ღირებულება (ლიზინგში მთლიან ინვესტიციასთან ერთად), რომლის დისკონტირებაც ლიზინგში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით ხდება. ლიზინგში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი დისკონტირების ის განაკვეთია, რომელიც ლიზინგის დაწყებისას, ლიზინგში მთლიანი ინვესტიციის მიმდინარე ღირებულებას ლიზინგით შესაძენი აქტივის რეალური ღირებულებას უტოლებს.

განსხვავება ლიზინგში მთლიან ინვესტიციასა და წმინდა ინვესტიციას შორის არის არარეალიზებული ფინანსური შემოსავალი. არარეალიზებული ფინანსური შემოსავლის ამორტიზება ლიზინგის ვადის განმავლობაში ლიზინგის ხელშეკრულებით ნაგულისხმევი დისკონტრების განაკვეთის გამოყენებით ხდება.

ლიზინგის დაწყებამდე მომწოდებლებისათვის გადახდილი ავანსი აისახება, როგორც ლიზინგის ხელშეკრულებისათვის გადახდილი ავანსები, ან წინასწარ გადახდილი თანხები, როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი. ლიზინგის დაწყებამდე ლიზინგის მიმღებისგან კომპანიის მიერ მიღებული თანამონაწილობის თანხა აისახება, როგორც ლიზინგის ვადის დაწყებისას ფინანსურ ლიზინგში წმინდა ინვესტიციებით დაკორექტირებული კლიენტებისგან მიღებული ავანსები.

ლიზინგის ხელშეკრულებებისათვის გადახდილი ავანსები. ეს ავანსები მოიცავს ლიზინგის ფარგლებში გადასაცემი აქტივების შესასყიდად პროცენტიან საავანსო გადახდებს. ამგვარი ავანსების აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით და შემცირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სხვაობის სახით. ლიზინგის დაწყებისას, ლიზინგის კონტრაქტისათვის გადახდილი ავანსები ფინანსური ლიზინგში წმინდა ინვესტიციის სახით აღიარდება.

შეწყვეტილი ლიზინგის ხელშეკრულებებიდან მისაღები თანხები. შეწყვეტილი კონტრაქტებიდან მისაღები თანხებს კომპანია აღიარებს ლიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტიდან. ამ მისაღები თანხების აღიარება ხდება იმ ოდენობით, რომელიც უდრის დარიცხული/მიღებული ფინანსური შემოსავლისა და ლიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის ლიზინგის მიმღების მიერ გადასახდელი ლიზინგის მინიმალური შენატანების დაუფარავი ნაწილის ჯამს. მისაღები თანხების ასახვა ამორტიზებული ღირებულებისა და შემცირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სხვაობის სახით ხდება.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ლიზინგის მიმღებზე გაცემული სესხები. შეწყვეტილი ლიზინგის ხელშეკრულებებიდან მისაღები თანხები გარკვეულ შემთხვევებში (როცა ისინი ვადაგადაცილებული ხდება) რეკლასიფიცირდება, როგორც ლიზინგის მიმღებებისათვის გაცემული სესხები და ყოფილ ლიზინგის მიმღებსა და კომპანიას შორის არსებობს შეთანხმება, რომლის თანახმადაც ძირითადი თანხის გადახდა დარიცხულ პროცენტთან ერთად უნდა მოხდეს. სესხების აღიარება საწყის ეტაპზე ხდება, როგორც მისაღები თანხების ღირებულებისა და გაუფასურების ზარალის სხვაობისა, ხოლო შემდგომ - როგორც ამორტიზებული ღირებულებისა და გაუფასურების ზარალის სხვაობა.

წინასწარ გადახდილი თანხები. წინასწარ გადახდილ თანხებში ძირითადად შედის სალიზინგო აქტივების დაზღვევისთვის გადახდილი ავანსები, საოპერაციო ლიზინგის ხელშეკრულების შესაბამისად ლიზინგით შესაძენი აქტივები და სხვა წინასწარ გადახდილი თანხები. წინასწარ გადახდილი თანხების ასახვა გაუფასურების შემცირებული ანარიცხის ოდენობით ხდება. თუ წინასწარ გადახდილი თანხების ამოღებადი ნაწილი ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, წინასწარ გადახდილი თანხის საბალანსო ღირებულება ამოღებად ღირებულებამდე მცირდება. მიღებული სხვაობის, ანუ გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება იმ წლის მოგებასა თუ ზარალში, რომელშიც ის წარმოიშვა. წინასწარგადახდილი თანხების გაუფასურების შეფასება ინდივიდუალურ დონეზე ხდება.

სხვა მოთხოვნები თავდაპირველად სხვა მოთხოვნების აღიარება რეალური ღირებულებით ხდება, შემდგომ კი - ამორტიზებული ღირებულებით ფასდება ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, შემცირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხით. მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი დგინდება მაშინ, როცა არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ კომპანიას არ შეეძლება ყველა მისაღები თანხის ამოღება ასეთი თანხებისთვის განსაზღვრული თავდაპირველი პირობებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ნიშნებად სახელდება დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური პრობლემები, დებიტორის გაკოტრების თუ ფინანსური რეოგრანიზაციის ალბათობა, და დაუფარავი თუ ვადაგადაცილებული ვალდებულებები.

ანარიცხის ოდენობა განისაზღვრება, როგორც აქტივის საბალანსო ღირებულებისა და სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების სხვაობა, რომელიც დისკონტირებულია საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის გამოყენებით, და ზარალის ოდენობის აღიარება ხდება მოგებასა და ზარალში. როცა სხვა მოთხოვნები ამოუღებადია, მათი ჩამოწერა სხვა მოთხოვნებისთვის არსებული სარეზერვო ანგარიშის გაქვითვის გზით ხდება. ადრე ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგებასა და ზარალში აისახება.

შეწყვეტილი ლიზინგის ხელშეკრულებების საფუძველზე დასაკუთრებული აქტივები. ლიზინგის ხელშეკრულებების შეწყვეტის შედეგად დაბრუნებული აქტივები ითვლება ისეთ აქტივებად, რომელთა გაყიდვა თუ ლიზინგით გადაცემა ხელახლა არის შესაძლებელი. თუ აქტივების გადაცემა საოპერაციო ლიზინგის წესით ხდება, ლიზინგის შენატანებიდან მისაღები თანხები აღიარებულია, როგორც ლიზინგის ვადის განმავლობაში მისაღები საიჯარო შემოსავლის წრფივი მეთოდით შემცირება. საწყის ეტაპზე, ლიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღისათვის, შეწყვეტილი ხელშეკრულებიდან მიღებული აქტივების აღიარება რეალური ღირებულებით ხდება, ხოლო შემდგომ ხელახლა ფასდება ღირებულებისა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულების შედარებით მიღებული უმცირესი ოდენობით.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვა. ფინანსური მდგომარეობის ამსახველ ანგარიშგებაში ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვა და ასახვა ხდება მაშინ, როცა კომპანიას აქვს აღიარებული თანხების გაქვითვის კანონიერი უფლება და ასევე განზრახული აქვს, რომ ან მოახდინოს ანგარიშსწორება წმინდა ღირებულებით ან გაყიდოს აქტივი და პარალელურად დაფაროს ვალდებულება.

გაქვითვის ასეთი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული სამომავლო მოვლენებზე და (ბ) უნდა იყოს იურიდიულად გამხოციელებადი მომდევნო გარემოებებში: (i) ბიზნესის წარმოების ჩვეულ პროცესში (ii) დეფოლტის შემთხვევაში და (iii) გადახდის უუნარობასა და ბანკროტის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებების ასახვა ხდება შემდეგნაირად: ღირებულებას აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ანგარიშგების თითოეული თარიღისათვის ხელმძღვანელობა აფასებს, ჩანს თუ არა ქონებისა და მანქანა-დანადგარების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა აფასებს ამოღებადი თანხის ოდენობას, რომელიც შემდეგნაირად გამოითვლება: ერთმანეთს ედრება აქტივის რეალური ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობა და გამოყენებითი ღირებულება და გამოიყენება უფრო დიდი სიდიდე. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებადი თანხამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალის უწყისში. წინა წლებში აქტივის აღიარებული გაუფასურების ზარალის უკუგატარება ხდება მაშინ, როცა იცვლება აქტივის გამოყენებითი ღირებულების განსაზღვრისათვის გაკეთებული შეფასება ან აქტივის სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯების სიდიდე.

გაყიდვიდან მიღებული თანხებისა და საბალანსო ღირებულების შედარებით განსაზღვრული ნამეტისა თუ ზარალის (დანაკარგის) აღიარება მოგებასა თუ ზარალში ხდება.

ცვეთა. მიწის ნაკვეთი არ ცვეთა. ძირითადი საშუალებების სხვა საგნების ცვეთა წრფივი მეთოდის გამოყენებით შემდეგნაირად იანგარიშება მათი ღირებულების განაწილებისათვის ნარჩენ ღირებულებასთან მიმართებაში სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში:

	წლები
კომპიუტერები და საოფისე აღჭურვილობა	5
მანქანები და საოპერაციო ლიზინგის ფარგლებში გაცემული მანქანები	5
ავეჯი და აპარატურა	5
ლიზინგის ფარგლებში ჩატარებული სარემონტო სამუშაოები	6.5

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის ის თანხა, რომელიც შემდეგნაირად გამოითვლება: აქტივის განკარგვის შედეგად კომპანიის მიერ მიმდინარე პერიოდში მიღებულ თანხას გამოკლებული განკარგვის ხარჯები, თუ აქტივი უკვე მოძველებულია და ამჟამად მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს მოსალოდნელ მდგომარეობაშია. აქტივის ნარჩენი ღირებულება ნულის ტოლია, თუ კომპანია აქტივის გამოყენებას მისი ფიზიკური არსებობის ბოლომდე აპირებს. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო გამოყენების ვადები განხილვას და კორექტირებას ექვემდებარება, ანგარიშგების თითოეული თარიღისათვის, შესაძლებლობის ფარგლებში.

არამატერიალური აქტივები. კომპანიის არამატერიალურ აქტივებს შეზღუდული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვთ და ძირითადად მოიცავს კაპიტალიზებულ კომპიუტერულ პროგრამებს და ლიცენზიებს.

შეძენილი კომპიუტერული პროგრამებისა და ლიცენზიების კაპიტალიზაცია მათ შესაძენად და გამოსაყენებლად გაწეული ხარჯების კაპიტალიზაციის შედეგად ხდება.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ერთეულის მიერ კონტროლირებად, იდენტიფიცირებად და უნიკალურ პროგრამებთან უშუალოდ ასოცირებული განვითარების ხარჯები აისახება როგორც არამატერიალური აქტივები, თუ არსებობს იმის ალბათობა, რომ სტაბილურად მზარდი ეკონომიკური სარგებლის შემოსული ნაკადები ხარჯებს აღემატება. კაპიტალიზებულ ხარჯებში შედის პროგრამის შემქმნელი გუნდის თანამშრომელთა ხარჯები და შესაბამისი ზედნადები ხარჯების სათანადო წილი. კომპიუტერულ პროგრამასთან ასოცირებული ყველა სხვა ხარჯის, მაგალითად, მოვლა-შენახვის, გატარება მისი გაწევისას ხდება.

არამატერიალური აქტივების ღირებულების შემცირება წრფივი მეთოდის გამოყენებით ხდება სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში:

ლიზინგის ERP პროგრამა
სხვა არამატერიალური აქტივები

წლები:
10
5-7

გაუფასურების შემთხვევაში, არამატერიალური აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება შემდეგნაირად: ერთმანეთს ედრება გამოყენებითი ღირებულება და რეალური ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობა და იზომება უდიდესით.

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონებას კომპანია ფლობს საიჯარო შემოსავლის მისაღებად ან იმ კაპიტალის ღირებულების გასაზრდელად და რომელიც არ არის კომპანიის მიერ დაკავებული. საინვესტიციო ქონების აღიარება თავდაპირველად ხდება მისი ღირებულებით (ამაში შედის ტრანზაქციის ხარჯებიც) და შემდგომ, ხდება მისი ხელახალი შეფასება რეალური ღირებულებით, რომელიც თავის მხრივ საბაზრო პირობების გათვალისწინებით კორექტირდება ანგარიშგების პერიოდის ბოლოს.

საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება არის ის ფასი, რომლის სანაცვლოდაც შესაძლებელია მისი გაცვლა ინფორმირებულ, მხოლოდ საკუთარი ინტერესის მქონე პირებს შორის გარიგებების ფარგლებში.

აქტიურ ბაზარზე ფასების არარსებობის პირობებში, კომპანია იყენებს სხვადასხვა წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას, მათ შორის:

- (ა) სხვადასხვა ტიპის, მდგომარეობის თუ ლოკაციის მქონე ქონებისთვის დაწესებული ფასები აქტიურ ბაზარზე, რომლებიც სწორედ ამ განსხვავებების ასახვის მიზნით არის დაკორექტირებული;
- (ბ) მსგავსი ქონებისთვის ნაკლებად აქტიურ ბაზრებზე დაწესებული ბოლოდროინდელი ფასები, რომლებიც ტრანზაქციის თარიღიდან მოყოლებული ეკონომიკურ პირობებთან მიმართებაში განხორციელებული ცვლილებების ასახვის მიზნით არის დაკორექტირებული; და
- (გ) სანდო წყაროების მეშვეობით შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებული საპროგნოზო მაჩვენებლები, რომლებიც დასტურდება ნებისმიერი ლიზინგის თუ სხვა არსებული კონტრაქტების პირობებით და (შესაძლებლობის ფარგლებში) გარე წყაროებით, როგორებიცაა მაგალითად იმავე ლოკაციაზე და პირობებში, მსგავსი ქონებისთვის განსაზღვრული მიმდინარე საბაზრო იჯარის ოდენობა, და რომლის ფარგლებშიც ფულადი ნაკადების ოდენობისა და დროის გამოსაანგარიშებლად გაურკვევლობის მიმდინარე საბაზრო შეფასების ამსახველი დისკონტირების განაკვეთები გამოიყენება.

კომპანიის საინვესტიციო ქონების საბაზრო ღირებულება დამოუკიდებელი შემფასებლების ანგარიშებზე დაყრდნობით განისაზღვრება. ხსენებულ შემფასებლებს გააჩნიათ აღიარებული და რელევანტური პროფესიული კვალიფიკაცია და წარსული გამოცდილება მსგავს ლოკაციაზე განთავსებულ და მსგავს კატეგორიას მიკუთვნებულ ქონების შეფასებასთან მიმართებაში.

საინვესტიციო ქონების საბაზრო ღირებულების ცვლილებების შედეგად მიღებული შემოსულობის თუ დანაკარგის ასახვა მოგებასა თუ ზარალის წლიურ მაჩვენებელში ხდება და წარდგენილია ცალკე.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კლიენტებისგან მიღებული ავანსები. ლიზინგის მიმღებებისგან მიღებული ავანსები წარმოადგენს ლიზინგის ვადის დაწყებამდე მიღებულ შენატანებს, რომელთა გატარებაც ამორტიზებული ღირებულებით ხდება. ეს ავანსები ფინანსურ ლიზინგში წმინდა ინვესტიციებით იქცეობა კლიენტის მიერ გადასახდელი პირველი სალიზინგო შენატანის თარიღზე.

ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები აისახება მაშინ, როცა კონტრაქტის შესრულებას კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. სავაჭრო და სხვა კრედიტორების ასახვა ამორტიზებული ღირებულებით ხდება.

სესხები ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან. ბანკებიდან მიღებული სესხების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით. შესაბამისად, გადასახდელი თანხები ამორტიზებული ღირებულებით გატარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის შესაბამისად.

სუბორდინირებული სესხები. სუბორდინირებული სესხები მოიცავს გრძელვადიან საბანკო სესხებს და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის შესაბამისად. სუბორდინირებული სესხების დაფარვა ნაკლებად პრიორიტეტულია ყველა სხვა კრედიტორთან შედარებით ლიკვიდაციის შემთხვევაში.

გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები კომპანიის მიერ გამოშვებული ობლიგაციებია. მათი ასახვა ამორტიზებული ღირებულებით ხდება. თუ კომპანია შეისყიდის მის მიერვე გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებს, მათი ამოღება ხდება ფინანსური მდგომარეობის ამსახველი ანგარიშგებიდან და ვალდებულების საბალანსო ღირებულებისა და ანაზღაურების სხვაობა აისახება ვალის განულების შედეგად მიღებულ ნამეტ შემოსავალში.

რეზერვები. რეზერვების აღიარება ხდება მაშინ, როცა კომპანიას წარსული შემთხვევებიდან გამომდინარე წარმოეშვა იურიდიული თუ კონსტრუქციული ვალდებულება და არსებობს ალბათობა იმისა, რომ ეკონომიკური სარგებლების მქონე რესურსების გადინება იქნება საჭირო ხსენებული ვალდებულების შესასრულებლად, ხოლო ამ უკანასკნელის შეფასება სანდო წყაროებით არის შესაძლებელი.

სააქციო კაპიტალი. სააქციო კაპიტალის აღიარება მისი ღირებულებით ხდება. ნაღდი ფულის ნაცვლად კაპიტალში აქტივების სახით განხორციელებული შენატანი მისი განხორციელების თარიღისათვის განსაზღვრული რეალური ღირებულებით აისახება.

პირობითი ვალდებულებები. პირობითი ვალდებულებების აღიარება არ ხდება ფინანსურ უწყისებში, თუ არ არსებობს ალბათობა იმისა, რომ რესურსების გადინება იქნება საჭირო ვალდებულების შესასრულებლად, ხოლო ამ უკანასკნელის შეფასება სანდო წყაროებით არის შესაძლებელი. პირობითი აქტივის აღიარება არ ხდება ფინანსურ უწყისებში, არამედ აისახება მაშინ, როცა წარმოიშვა ეკონომიკური სარგებლების გადინების ალბათობა.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები. დერივატიული ფინანსური ინსტრუმენტები რეალური ღირებულებით აღირიცხება. ვალუტის გაცვლის მიზნით კომპანია კონტრაქტზე ბანკებთან ახორციელებს ანაზღაურების ჩათვლას. ამგვარი ანაზღაურები, თუმცა სამართლებრივად განცალკევებულია, აგრეგირებულია და ერთ წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტად აღირიცხება (სავალუტო სვოპი) ნეტოს საფუძველზე, როდესაც (i) ანაზღაურები ფორმდება ერთსა და იმავე დროს და ერთმანეთის გათვალისწინებით, (ii) მათი კონტრაქტის ერთი და იგივე მხარეა, (iii) ისინი დაკავშირებულია ერთსა და იმავე რისკთან, და (iv) არ არსებობს ცალსახა ბიზნეს მიზანი იმისათვის, რომ ეს ოპერაციები ცალ-ცალკე იყოს სტრუქტურირებული, რადგან მიზნის მიღწევა ერთი ოპერაციის ფარგლებშიც არის შესაძლებელი. ყველა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი აქტივებად აღირიცხება, თუ რეალური ღირებულება დადებითია, ხოლო ვალდებულებებად - თუ უარყოფითი. ცვლილებები წარმოებული ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებაში შედის მოგებაში ან ზარალში. კომპანია არ იყენებს ჰეჯირების აღრიცხვას.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მოგების გადასახადი. ფინანსურ ანგარიშგებებში მოგების გადასახადები ასახულია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსათვის მიღებული ან არსებითად მიღებული კანონმდებლობის საფუძველზე.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცვლილებები, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (გარდა ბანკებისა, საკრედიტო კავშირებისა, სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებულ მოგებაზე, თუ არ მოხდა ამ უკანასკნელის განაწილება ან დივიდენდის სახით განაწილების დაგეგმვა.

15 % საშემოსავლო გადასახადი ერიცხება სრულ თანხას (ე.ი. წმინდა დივიდენდს ემატება 5%-იანი წყაროსთან დაკავების გადასახადი, ასეთი არსებობის შემთხვევაში და გაიყოფა 0.85-ზე) ფიზიკური პირებისა თუ არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში. 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებული მოგებიდან რეზიდენტი იურიდიული პირებისათვის გადახდილი დივიდენდები საგადასახადო დაბეგვრას არ ექვემდებარება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში მიღებული მოგებიდან განაწილებული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით სრულ თანხაზე, რომელსაც აკლდება შესაბამისი საგადასახადო კრედიტი, რომელიც თავის მხრივ შემდეგნაირად გამოითვლება: დეკლარირებული და დასაბეგრი მოგებისთვის გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე პერიოდის მთლიან წმინდა მოგებაში, და შემდეგ გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდის განაწილებისთვის დაკისრებულ რეალურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილების მოგების გადასახადი ხარჯად აისახება იმ პერიოდში, როცა მოხდება დივიდენდების დეკლარირება, იმისდამოუხედავად, თუ რეალურად როდის ან რომელი პერიოდისთვის განხორციელდება გადახდა.

დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი მაინც ერიცხება ხარჯებს თუ სხვა სახის გადახდილ თანხებს, რომლებიც არაეკონომიკურ აქტივობებს უკავშირდება, იქნება ეს აქტივების თუ მომსახურებების უფასო მიწოდება თუ წარმომადგენლობითი ხარჯების გადაცემა, და თუ ეს აჭარბებს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულ თანხას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე ქვეყნებში დარეგისტრირებული პირებისათვის გადახდილი ყველა სახის ავანსი და ამ პირებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ტიპის ოპერაციები, ისევე როგორც ფიზიკური პირებისა თუ არარეზიდენტებისათვის გაცემული სესხები ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. ეს გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც საგადასახადო კრედიტების გამოკლების შედეგად არის დაკორექტირებული შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე ქვეყნებში დარეგისტრირებული პირებისთვის გადახდილი ავანსების ან ფიზიკურ პირებსა თუ არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების სანაცვლოდ მიღებულ აქტივებთან თუ მომსახურებებთან მიმართებაში, აისახება გადასახადებში გარდა მოგების გადასახადისა საოპერაციო ხარჯების ფარგლებში.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გაურკვეველი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის გაურკვეველი საგადასახადო პოზიციების ხელახალი შეფასება ხელმძღვანელობის მიერ ხდება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებების ასახვა ხდება მოგების გადასახადის პოზიციებისთვის, რასაც ხელმძღვანელობა უფრო მოელოდება, ვიდრე იმას, რომ არ მოხდეს დამატებითი გადასახადების დაკისრება საგადასახადო ორგანოების მიერ პოზიციების ექვევქმ დაყენების შემთხვევაში. შეფასება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციიდან გამომდინარეობს, რომელიც მიღებული ან არსებითად მიღებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ან ამ საკითხებთან დაკავშირებით მიღებულ სასამართლო თუ სხვა სახის გადაწყვეტილებებს ეფუძნება. ვალდებულებები ჯარიმების, პროცენტის თუ გადასახადებისთვის, გარდა მოგების გადასახადისა, აისახება ხელმძღვანელობის მიერ სანდო წყაროების გამოყენებით პროგნოზების გაკეთების შედეგად იმ ხარჯებთან მიმართებაში, რომლებიც საანგარიშო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების შესრულებას ხმარდება.

გაურკვეველი საგადასახადო პოზიციების კორექტირებები მოგების დასაბეგრ გადასახადში აისახება.

დამატებითი ღირებულების გადასახადი ("დღგ"). დასაბეგრი დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება ან (ა) მომხმარებლებისგან მისაღები თანხების ამოღებისას ან (ბ) მომხმარებლებისათვის საქონლის თუ მომსახურებების მიწოდებისას, შედარებით ადრე დამდგარი მოვლენის დროს. ჩასათვლელი დამატებითი ღირებულების გადასახადის გამოყენება კი, როგორც წესი, დასაბეგრი დღგ-ს გადასაფარავად ხდება ამ უკანასკნელის შემცირების მიზნით, დღგ-ს ანგარიშგაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები დღგ-ს გადახდას წმინდა ღირებულებით ითხოვენ. ძირითადი საშუალებების შეძენასთან დაკავშირებული ჩასათვლელი დღგ-ს გადავადება 5-დან 10 წლამდე ხდება ისეთი პირების შემთხვევაში, რომელთა ბრუნვის 20%-ს დღგ-სგან გათავისუფლება ეხება ჩათვლის უფლებით.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება. შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება დარიცხვის მეთოდით ხდება, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ხდება ნასესხები თანხებისთვის გადახდილი სესხის გაცემის საკომისიოების (თუ ასეთი თანხების ოდენობა დიდია) გადავადება (სხვა დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებთან ერთად) და აღიარება სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირების სახით. საკომისიო შემოსავლების/ხარჯების აღიარებისას დარიცხვის მეთოდი გამოიყენება.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. კომპანიის საოპერაციო და საანგარიშო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიყვანება ქართულ ლარში საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სპოტკურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები იმ პრევალირებადი სავალუტო კურსის მიხედვით აისახება, რომელიც ოპერაციის თარიღზე ფიქსირდება. კურსების გადაყვანის შედეგად მიღებული მოგება და ზარალი კი შევა უცხოური ვალუტის გაცვლითი ოპერაციების შედეგად მიღებულ წმინდა ნამეტ შემოსავალში.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დასრულებული გაცვლითი კურსი, რომელიც გამოყენებულ იქნა უცხოური ვალუტის ბალანსების კონვერტაციისთვის შემდეგნაირად დაფიქსირდა: 1 აშშ დოლარი = 2. 2.6766 ლარი (2017: 1 აშშ დოლარი = 2.5922ლარი); 1 ევრო= 3.0701 ლარი (2017: 1 ევრო = 3.1044ლარი).

პერსონალის ხარჯები და პერსონალთან დაკავშირებული შენატანები. ხელფასები, ანაზღაურებადი შვებულებები და ბიულეტენები, ბონუსები და არაფულადი სარგებლები აისახება იმ წელიწადში, როდესაც შესაბამისი მომსახურებების გაწევა მოხდა კომპანიის თანამშრომლების მიერ.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2018 წლის 1 იანვრამდე მიღებული პრინციპები (მხოლოდ შესადარისები)

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და შეფასება (მხოლოდ შესადარისები). კომპანია ფინანსურ აქტივებს და ვალდებულებებს აღიარებს მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც ის ხდება მონაწილე მხარე ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებებში. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ჩვეულებრივი გზით შეძენა და გაყიდვა აისახება ვაჭრობის თარიღით. ჩვეულებრივი გზით ფინანსური ინსტრუმენტების შეძენა შემდგომში შეფასდება რეალური ღირებულებით, ვაჭრობის თარიღსა და განხორციელების თარიღს შორის და აღირიცხება იმავე გზით, როგორც შეძენილი ფინანსური ინსტრუმენტები.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, იმ შემთხვევაში თუ ფინანსური აქტივი ან ვალდებულება არ არის აღიარებული რეალური ღირებულებით, მოგება ზარალის მეშვეობით, დამატებული ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც პირდაპირ მიკუთვნებადი შენაძენთან ან ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების გამოცემასთან. სააღრიცხვო პოლიტიკა ამ საგნების შემდგომი გადაფასებისთვის გამჟღავნებულია რეტროსპექტიულ სააღრიცხვო პოლიტიკაში, რომელიც ამ შენიშვნაშია განმარტებული.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა (მხოლოდ შესადარისები). კომპანია ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია ან აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღება სხვაგვარად შეწყდება ან (ბ) კომპანიას გადაცემული აქვს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადებული აქვს საკვალიფიკაციო გამტარი გარიგება, რომლითაც (i) გადაცემულია აგრეთვე აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად მთელი რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

გაუფასურების ზარალი ფინანსურ აქტივებზე აღირიცხება ამორტიზირებულ ღირებულებაში. (მხოლოდ შესადარისები). გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში მაშინ, როდესაც წარმოიქმნება ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად („ზარალის გამომწვევი მოვლენები“), რომელიც მოხდა ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარების შემდეგ და რომლისაგან გავლენა აქვს ისეთ ფინანსური აქტივების ან ფინანსური აქტივების ჯგუფის დადგენილ სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობასა და დროზე, რომლებიც შესაძლოა სარწმუნოდ შეფასდეს. კომპანია მისგან ლიზინგის მიმღებებს კლასიფიცირებას უკეთებს როგორც მნიშვნელოვან და არა მნიშვნელოვანს, გაუფასურების ანარიცხის დადგენის მიზნით და აფასებს გაუფასურებისთვის ინდივიდუალურად ან კოლექტიურად.

გარკვეული თვისობრივი და რაოდენობრივი მოვლენები არის გამოვლენილი როგორც გაუფასურების მტკიცებულება ინდივიდუალურად და კოლექტიურად შეფასებული მეიჯერებისთვის, იმაში დასარწმუნებლად, რომ ზარალის გამომწვევი მოვლენა გამოვლენილია რაც შეიძლება ადრე.

თუ არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ გაუფასურების ზარალის გამომწვევმა მოვლენამ მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის დაკისრება გამოიწვია, კომპანია აფასებს მისგან ლიზინგის მიმღებებს ინდივიდუალურ საფუძველზე და აფასებს ზარალის ოდენობას, როგორც სხვაობას, აქტივის საბალანსო ღირებულებასა და დადგენილი სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულს შორის. კომპანია იყენებს მის საუკეთესო შეფასებას სამომავლო აღდგენის შესაფასებლად, სცენარის ანალიზისა და შესაბამისი არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით საანგარიშო პერიოდზე, რაც მოიცავს ნეგატიურ ცვლილებებს ზოგად მაკროეკონომიკურ გარემოში ან ინდუსტრიაში, რომელშიც მსესხებელი აწარმოებს საქმიანობას.

კომპანია განსაზღვრავს, რომ არ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ინდივიდუალურად შეფასებულმა ფინანსურმა აქტივმა გამოიწვია გაუფასურება, მნიშვნელოვანი თუ არამნიშვნელოვანი, ის აფასებს მსგავს აქტივს გაუფასურებად კოლექტიურად.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

იმისათვის, რომ გამოითვალოს გაუფასურების ანარიცხი კოლექტიურად შეფასებული ლიზინგის პორტფელისთვის, კომპანია ადგენს შემდგომ რისკის პარამეტრებს: დეფოლტის და დეფოლტის შედეგად გამოწვეული ზარალის ალბათობას, რომელიც ემყარება ისტორიულ გამოცდილებას. შიდა თუ გარე გარემოებების შეცვლის შემთხვევაში, მაშინ, როდესაც ისტორიული მონაცემები აღარ ასახავს მიმდინარე სიტუაციას, კომპანია აკორექტირებს რისკის პარამეტრებს მიმდინარე დაკვირვებადი მონაცემების მიხედვით, რათა აისახოს იმჟამინდელი მდგომარეობა, რომელმაც არ იმოქმედა წარსულ მოვლენებზე და იმისათვის, რომ მოიცვალოს წარსული მდგომარეობის გავლენები, რომლებიც უკვე აღარ არსებობს.

კომპანია აუქმებს მანამდე აღიარებულ გაუფასურების ზარალს თუ, ერთხელ უკვე გამოვლენილი გაუფასურების ზარალის ოდენობა მცირდება და ეს შემცირება დაკავშირებულია ობიექტურ მოვლენასთან. მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი უქმდება ანარიცხის აღრიცხვის კორექტირებით, მოგება ზარალის მეშვეობით. იმისათვის, რომ გაუქმდეს ანარიცხები ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ლიზინგის მიმღებებისთვის უნდა არსებობდეს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ლიზინგის მიმღებების ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესდა ან გაუმჯობესება არის უზრუნველყოფის დაფარვაში.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

კომპანიის ხელმძღვანელობა აკეთებს გათვლებს და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს მომდევნო საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების აღრიცხვაზე. მუდმივად ხდება გათვლებისა და დასკვნების შეფასება ხელმძღვანელობასს გამოცდილებიდან და სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე, მათ შორის მომავალში მოსალოდნელი ისეთი ფაქტების გათვალისწინებით, რომლებიც გარკვეული გარემოებების გათვალისწინებით გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელად მიიჩნევა. სააღრიცხო პოლიტიკების გამოყენებისას, გარდა გათვლებისა, ხელმძღვანელობა ასევე აკეთებს გარკვეულ დასკვნებს. იმ დასკვნებში, რომლებსაც ყველაზე ხელშესახები ეფექტის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებებში ასახულ ოდენობებზე შეუძლიათ, ხოლო გათვლებში, რომლებიც მნიშვნელოვნად ცვლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას მომდევნო საანგარიშგებო წლის განმავლობაში მოიაზრება შემდეგი:

საინვესტიციო ქონების შეფასება. საინვესტიციო ქონება აღირიცხება რეალური ღირებულებით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საერთაშორისო შემფასებელი კომპანიის მიერ მომზადებული ანგარიშების საფუძველზე.

არსებული ეკონომიკური გარემოდან გამომდინარე, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ტრანზაქციების სიხშირე დაბალია საქართველოს საფონდო ბაზარზე. ამის მიუხედავად, ხელმძღვანელობის შეფასების მიხედვით, საკმარისია ბაზარზე განხორციელებული აქტივობები მსგავს ქონებებთან დაკავშირებით მარტივი ოპერაციების შესადარისი ფასების გასარკვევად, რაც თავის მხრივ საჭიროა კომპანიის საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების განსასაზღვრად. დეტალური ინფორმაცია მოცემულია შენიშვნაში 14.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკაში (გაგრძელება)

ლიზინგის შეწყვეტილი ხელშეკრულებების საფუძველზე დასაკუთრებული აქტივები. ამ აქტივების რეალურ ღირებულებას კომპანია ადგენს ლიზინგის შესაბამისი ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღზე გარე შემფასებლის მიერ ჩატარებული შეფასების საფუძველზე. წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას კომპანია განსაზღვრავს საანგარიშგებო თარიღისათვის, რაც შემდეგნაირად გამოითვლება: შეფასებულ გასაყიდ ფასს აკლდება გაყიდვასთან დაკავშირებით შეფასებული ყველა სახის ხარჯი. რეალური ღირებულება და გასაყიდი ფასი შიდა და გარე შემფასებლების მიერ საბაზრო შედარების მიდგომის გამოყენებით განისაზღვრება. საგადასახადო ანგარიშგების მიზნებისათვის, აქტივების კლასიფიკაცია ხდება ფიქსირებულ აქტივებად და მათი საწყისი ღირებულება განისაზღვრება საქართველოს საგადასახადო კოდექსის მუხლების შესაბამისად, ხოლო ამორტიზებული ღირებულება კი იანგარიშება კომპანიის მიერ იჯარით გასაცემი აქტივის ყიდვის თარიღიდან.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება მნიშვნელოვანი შეფასებაა და გულისხმობს სამომავლო ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზირებას, რაც უფრო გრძელვადიანია პროგნოზების ვადები, მით უფროა გამოყენებული ხელმძღვანელობის განსჯა და ეს განსჯები შესაძლოა იყოს გაურკვევლობის წყარო. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ ინფორმაცია გამჟღავნებულია 27-ე შენიშვნაში. საკრედიტო ზარალის ანარიცხზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს შემდეგ კომპონენტებს: დეფოლტის განმარტება, მნიშვნელოვანად გაზრდილი საკრედიტო რისკი (SICR), დეფოლტის ალბათობა ("PD"), დეფოლტის რისკი ("EAD") და ზარალი დეფოლტის შემთხვევაში ("LGD"), ისევე როგორც მაკროეკონომიკური სცენარების მოდელები. ჯგუფი რეგულარულად მიმოიხილავს და ამტკიცებს მოდელებსა და მონაცემებს, რათა შეამციროს სხვაობები მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებებსა და ფაქტობრივ საკრედიტო ზარალს შორის.

მაკრო-ეკონომიკური სცენარები: კომპანია შეიმუშევებს საპროგნოზო ინფორმაციას სამი მაკროეკონომიკური სცენარით იმისათვის, რომ გათვალისწინოს მიუკერძოებელი და ალბათობით შეწონილი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. ისინი წარმოადგენენ საბაზისო სცენარს (მაღალი ხარისხის ალბათობის მქონე) და ორ ნაკლებად სავარაუდო სცენარს, რომლებიც მოიხსენიება როგორც ოპტიმისტური (მაღალი ხარისხის ალბათობით მოსალოდნელზე უკეთესი) და პესიმისტური (მაღალი ხარისხის ალბათობით მოსალოდნელზე უარესი). საბაზისო სცენარის შეწონილი მაჩვენებელი დადგენილია 50% და 25% ესადაგება მარალი ხარისხის ალბათობით მოსალოდნელზე უარეს სცენარს.

ფასს 9-ის გაუფასურების მეთოდოლოგიის მიხედვით, კომპანია თავისი პორტფელის კლასიფიცირებას ახდენს სამ ეტაპად:

- ეტაპი I – აქტივები, რომელთა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა არ დაფიქსირებულა თავდაპირველი აღიარების შემდეგ;
- ეტაპი II – აქტივები, რომელთა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ;
- ეტაპი III – საკრედიტო გაუფასურების მქონე დავალიანებები.

ეტაპზე I განთავსებული დავალიანებებისთვის კომპანია აღრიცხავს 12 თვის მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს, ხოლო ეტაპებზე II და III მოცემული დავალიანებებისთვის - არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკაში (გაგრძელება)

ფასს 9-ის ძირითადი ეფექტი უკავშირდება ეტაპი II-ისათვის განსაზღვრულ კლასიფიცირებას და საპროგნოზო ინფორმაციის შეტანას რეზერვების კალკულაციაში. ეტაპისთვის I რაიმე სახის დამატება არ მომხდარა, რადგან ბასს 39-ის მეთოდოლოგიის შესაბამისად, კომპანია ისედაც იყენებდა 12 თვის დანაკარგების იდენტიფიცირების პერიოდს (LIP).

ეტაპი II-ზე კლასიფიცირების მიზნებისათვის, კომპანია იყენებს როგორც რაოდენობრივ, ისე თვისობრივ კრიტერიუმებს, მათ შორის, და არა მხოლოდ:

- 30 დღიანი ვადაგადაცილება;
- მსესხებლის რისკის კატეგორიის გაუარესება თავდაპირველი აღიარების შემდგომ;

ფასს 9-ის მეთოდოლოგიის შესაბამისად, კომპანიამ ასევე შეცვალა დეფოლტის განმარტების კრიტერიუმი ამ უკანასკნელის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად კომპანიის შიდა სახელმძღვანელო პრინციპებთან. დეფოლტის განახლებული განმარტება შემდეგ კრიტერიუმებს მოიცავს: (i) 90 დღიანი ვადაგადაცილება (ii) პრობლემური რესტრუქტურზაცია და (iii) სხვა კრიტერიუმები, რომლებიც მიუთითებენ მსესხებლის უუნარობის ალბათობაზე ვალდებულებების დაფარვასთან მიმართებაში.

რეზერვების დონეზე ფასს 9-ის ეფექტის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საფუძველი საპროგნოზო ინფორმაციის დამატებაა (FLI). კომპანია საპროგნოზო ინფორმაციას იყენებს როგორც ინდივიდუალური ასევე კოლექტიური შეფასების პროცესში. საპროგნოზო ინფორმაციის გათვალისწინების მიზნებისათვის, კომპანია შემდეგ სამ სცენარს განიხილავს:

- საბაზისო (მაღალი ხარისხის ალბათობის მქონე)
- ოპტიმისტური (მაღალი ხარისხის ალბათობით მოსალოდნელზე უკეთესი)
- პესიმისტური (მაღალი ხარისხის ალბათობით მოსალოდნელზე უარესი)

კომპანია ამზადებს საბაზისო მაკრო სცენარს და ითვალისწინებს სხვადასხვა წყაროებიდან - საქართველოს ეროვნული ბანკი, ფინანსთა სამინისტრო, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ასევე სხვა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები მიღებულ პროგნოზებს ზოგადად აღიარებულ საბაზრო მოლოდინებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

საბაზისო საპროგნოზო მაკრო-ეკონომიკური დაშვებებისთვის მიკუთვნებული შეწონილის ცვლილება 10%-ით დაუყოვნებლივი პესიმისტური დაშვების დონის მიმართ გამოიწვევდა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზრდას 13 ათასი ლარით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შესაბამისი ცვლილება ოპტიმისტური დაშვებებისთვის გამოიწვევდა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შემცირებას 6 ათასი ლარის ოდენობით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

10%-ანი ზრდა ან შემცირება PD შეფასებებში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოიწვევდა მთლიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხების ზრდას ან შემცირებას 41 ათასი (40 ათასი ლარის) ოდენობით. 10%-იანი ზრდა ან შემცირება LGD შეფასებებში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოიწვევდა მთლიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხების ზრდას ან შემცირებას 165 ათასი ლარის ოდენობით (165 ათასი ლარი).

კომპანია ითვლის გაუფასურების ზარალის ოდენობას თითოეული სცენარის შემთხვევაში. საკრედიტო ზარალის საბოლოოდ მოსალოდნელი ციფრების მისაღებად იყენებს ალბათობის საშუალო შეწონილი სიდიდის მიდგომას, რომლის მიხედვითაც თითოეული სცენარის ალბათობები შეწონილი სიდიდის სახით გამოიყენება.

5 ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

ფასს 9-ის- „ფინანსური ინსტრუმენტები“ - მიღება კომპანიამ „ფასს“ 9 - ფინანსური ინსტრუმენტები - 2018 წლის 1 იანვარს მიიღო. კომპანიამ აირჩია არ შეეცვალა შესადარისი ციფრები და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების კორექტირებები აღიარა გაუნაწილებელი მოგების საწყის ნაშთში, სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღით, 2018 წლის 1 იანვარი. შედეგად, ფასს 7-ის - ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები - გამოყენებულ იქნა მხოლოდ მიმდინარე პერიოდში. შესადარისი პერიოდის განმარტებით შენიშვნებში გამოვრებულია გასული წლის განმარტებით შენიშვნებში ასახული ინფორმაცია.

მიმდინარე პერიოდში მიღებული ახალი სააღრიცხვო პოლიტიკა აღწერილია მე-3 შენიშვნაში. 2018 წლის 1 იანვრამდე გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც შესადარის ინფორმაციაზე ვრცელდება, აღწერილია მე-3 შენიშვნაში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯერებულია „ასს“ 39-ის შესაბამისად შეფასებული კომპანიის ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება და ახალი შეფასების კატეგორიები „ფასს“ 9-ის შემდგომისას, 2018 წლის 1 იანვარს.

შეფასების კატეგორია		საბალანსო ღირებულება ბასს 39-ის მიხედვით (საბოლოო ნაშთი 2017 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით)	შედეგი				საბალანსო ღირებულება ფასს 9-ის მიხედვით (საწყისი ნაშთი 2018 წ. 1 იანვრის მდგომარეობით)
ბასს	ფასს 9		ხელახალი შეფასება ECL*	სხვა	სავალდებულო ნებაყოფლობითი	რეკლასიფიკაცია	
ათასობით ლარში							
ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	FLR	AC	145,236	-	-	-	-
გაუფასურების ანარიცხი			(1,459)	(778)	-	-	-
			143,777	(778)	-	-	142,999

5 ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)

ფასს 15, „შემოსავლები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ (გამოცემა 2014 წლის 28 მაისს და ძალაშია 2018 წლის პირველი იანვრიდან დაწყებულ შემდგომ წლიურ პერიოდებზე) და შესწორებები ფასს 15-ში „შემოსავლები მომხმარებელთან გაფორმებული კონტრაქტებიდან“ (გამოცემა 2016 წლის 12 აპრილს და ძალაშია 2018 წლის პირველი იანვრიდან დაწყებულ შემდგომ წლიურ პერიოდზე). კომპანიამ მიიღო ფასს 15, მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან შემოსავალი თავდაპირველი ამიღების თარიღით 2018 წლის 1 იანვარი. ახალი სტანდარტი მიღებულ იქნა მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მეთოდის გამოყენებით, კუმულაციური გავლენით, რომელიც აღიარებულია გადაუნაწილებელ მოგებაში 2018 წლის 1 იანვარს. სტანდარტმა შემოიღო ის ძირითადი პრინციპი, სადაც შემოსავალი აღიარებული უნდა იყოს მაშინ, როდესაც საქონელი ან მომსახურება გადაეცემა მომხმარებელს გარიგების ფასში. ნებისმიერი განსხვავებული საქონლის ან მომსახურების კომპლექტი, უნდა აღიარდეს ცალკე, და ყველა ფასდათმობა და დაქვითვა სახელშეკრულებო ფასიდან უნდა იყოს ზოგადად განაწილებული განცალკევებით ელემენტებთან. როდესაც გათვალისწინება იცვლება ნებისმიერი მიზეზით, უნდა აღიარდეს მინიმალური თანხები, თუ ისინი არ არიან ანულისების მნიშვნელოვანი რისკის ქვეშ. მომხმარებელთან ხელშეკრულებების უზრუნველსაყოფად გამოწვეული ხარჯები უნდა იყოს კაპიტალიზირებული და ამორტიზირებული იმ პერიოდზე, როდესაც ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სარგებელი მოხმარებადია. სტანდარტს კომპანიისათვის მატერიალური გავლენა არ ჰქონია.

ქვემოთ ჩამოთვლილი შესწორებული სტანდარტები კომპანიისთვის ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ არ ჰქონია გავლენა:

- ფასს 2-ის შესწორებები, აქციებზე დაფუძნებული გადახდა (გამოცემულია 2016 წლის 20 ივნისს და ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ შემდგომ წლიურ პერიოდებზე).
- ფასს 4-ის შესწორებები, - „ფასს 9-ს მიღება ფინანსური ინსტრუმენტები ფასს 4 სადაზღვევო ხელშეკრულებებთან ერთად“ (გამოცემულია 2016 წლის 12 სექტემბერს და ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ შემდგომ წლიურ პერიოდებზე იმ საწარმოებისთვის, რომლებმაც არჩიეს მიედოთ დროებითი გამოწვევის შესაძლებლობა ან როდესაც სწარმო პირველად იყენებს ფასს 9 იმ საწარმოთათვის, რომლებმაც არჩიეს შესწორების გამოყენების შერეული მიდგომა).
- ფასს-ების ყოველწლიური გაუმჯობესება, 2014-2016 წლების ციკლი - ფასს 1-ის და ბასს 28-ის შესწორებები (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს და ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ შემდგომ წლიურ პერიოდებზე).
- IFRIC (საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების კომიტეტი) ფასს 22-ის „უცხოური ვალუტის ტრანზაქციები და წინასწარი გათვალისწინება“ (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს და ძალაშია 2018 წლის იანვრიდან დაწყებულ შემდგომ წლიურ პერიოდებზე)
- შესწორებები ბასს 40-ზე- „ტრანსფერები და საინვესტიციო ქონება“ (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს და ძალაშია 2018 წლის იანვრიდან დაწყებულ შემდგომ წლიურ პერიოდებზე)

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

გამოცემულ იქნა გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული პერიოდებისთვის და რომლებიც კომპანიამ მანამდე არ შემოიღო. მცირე შესწორებები ფასს-ებში

ფასს 16, „ლიზინგი“ (გამოცემულია 2016 წლის 13 იანვარს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ახალი სტანდარტით დადგენილია ლიზინგის აღიარების, შეფასების, წარდგენის და გამჟღავნების პრინციპები. ყველა ლიზინგის შედეგია ლიზინგის გამცემის მიერ აქტივის გამოყენების უფლების მიღება სალიზინგო ურთიერთობის დასაწყისში და როდესაც ლიზინგის გადახდები დროთა განმავლობაში ხორციელდება, დაფინანსების მიღება. შესაბამისად, ფასს-ით 16 გამოირიცხულია ლიზინგის კლასიფიკაცია საოპერაციო ლიზინგად და ფინანსურ ლიზინგად, როგორც ეს მოითხოვებოდა ასს-ით 17 და სანაცვლოდ შემოღებულია ლიზინგის აღრიცხვის ერთი მოდელი. ლიზინგის გამცემს მოეთხოვება აღიაროს: (ა) აქტივები და ვალდებულებები ყველა ლიზინგისთვის, რომელთა ხანგრძლივობა აღემატება 12 თვეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბაზისო აქტივის ღირებულება დაბალია; და (ბ) სალიზინგო აქტივების ცვეთა შემოსავლის ანგარიშგებაში განაცალკევოს სალიზინგო ვალდებულებების პროცენტისაგან. ფასს 16 არსებითად გადააქვს ასს 17-ში მოცემული ლიზინგის მიმღების აღრიცხვის მოთხოვნები. შესაბამისად, ლიზინგის მიმღები განაგრძობს თავისი ლიზინგის კლასიფიკაციას საოპერაციო ლიზინგად და ფინანსურ ლიზინგად, და ამ ორი ტიპის ლიზინგს განსხვავებულად აღრიცხვას.

კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ის გამოიყენებს სტანდარტს, მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მეთოდის გამოყენებით, შესადარისობის ხელახლა გაცხადების გარეშე. კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას, რაც შეადგენს 1,248 ათას ლარს, შესაბამისი ლიზინგის ვალდებულების საპირწონედ 2019 წლის 1 იანვარს. საოპერაციო ლიზინგის ვალდებულებები გამჟღავნებულია შენიშვნა 31-ში და ეს ვალდებულებები შემდეგია:

2018 წლის 31 დეკემბერი/
2019 წლის 1 იანვარი

სულ სამომავლო მინიმალური სალიზინგო გადახდები არაგაუქმებადი საოპერაციო ლიზინგებისთვის	1,241
ამაჟამინდელი ღირებულების დისკონტირების გავლენა	(138)
სულ, აქტივის გამოყენების უფლებით გავლენისა და ლიზინგის ვალდებულებების გავლენა	1,103

ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ - (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება, არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტირებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი სადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას, სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებას ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ კომპანიას ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების კომპანიიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული კომპანია ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს. კომპანია არ მოელის ახალი სტანდარტის რაიმე გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფაისკ 23 - „განუსაზღვრელობა მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით“ - (გამოცემულია 2017 წლის 7 ივნისს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს). ასს 12-ში მითითებულია, როგორ უნდა აღირიცხოს მიმდინარე და გადავადებული გადასახადი, მაგრამ არ არის განსაზღვრული, როგორ უნდა აისახოს გაურკვევლობის გავლენა. ამ ინტერპრეტაციაში განმარტებულია, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული ასს 12-ში მოცემული აღიარებისა და შეფასების მოთხოვნები, როდესაც გაურკვევლობა არსებობს, მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით. საწარმომ უნდა განსაზღვროს, თითოეული გაურკვეველი საგადასახადო მიდგომა განიხილოს ცალ-ცალკე, თუ ერთ ან მეტ გაურკვეველ საგადასახადო მიდგომასთან ერთად, იმის მიხედვით, თუ რომელი მიდგომა უზრუნველყოფს გაურკვევლობის გადაჭრის უკეთესად პროგნოზირებას. საწარმომ უნდა ივარაუდოს, რომ საგადასახადო ორგანო შეისწავლის იმ თანხებს, რომელთა შემოწმების უფლებაც გააჩნია და შემოწმებისას მას ეცოდინება ყველა დაკავშირებული ინფორმაცია. თუ საწარმო დაასკვნის, რომ მოსალოდნელი არ არის საგადასახადო ორგანოს მიერ გაურკვეველი გადასახადის მოცემული მიდგომის მიღება, გაურკვევლობის ეფექტი აისახება დაკავშირებული დასაბეგრი მოგების ან ზარალის, საგადასახადო ბაზის, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტის ან საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრაში ყველაზე მეტად სავარაუდო თანხის ან მოსალოდნელი ღირებულების გამოყენებით; ეს დამოკიდებულია საწარმოს მოლოდინზე იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი მეთოდით იქნება უზრუნველყოფილი გაურკვევლობის აღმოფხვრის უკეთესად განჭვრეტა. საწარმო სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით ასახავს ფაქტებისა ან გარემოებების ცვლილების ან ახალი ინფორმაციის გავლენას, რაც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ დაშვებებზე ან შეფასებებზე. კომპანია არ მოელის ამ ახალი სტანდარტის მასზე გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაში.

სააქციო საზოგადოება თიბისი ლიზინგი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები- 2018 წლის 31 დეკემბერი
 (თანხები მოცემულია ათასობით ქართულ ლარში)

7 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე ანგარიშები ბანკებში	18,639	7,865
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	18,639	7,865

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს თიბისი ბანკში კომპანიის მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულია 17,371 ათასი (2016: 6,920 ათასი ლარი) ლარის ოდენობის ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების ნაშთების საკრედიტო ხარისხი 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება შემდეგნაირად შეჯამდეს:

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
"BB-" "BB+" რეიტინგების მქონე ბანკებში მიმდინარე ანგარიშები	17,619	7,370
"B-" to "B+" რეიტინგების მქონე ბანკებში მიმდინარე ანგარიშები	26	185
რეიტინგის არმქონე ბანკებში მიმდინარე ანგარიშები	994	310
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	18,639	7,865

ბანკში განთავსებული გარკვეული ნაშთები დაგირავდა ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხების უზრუნველსაყოფად. ფულადი სახსრების ნაშთები, რომლებიც დაგირავებულია სესხების უზრუნველსაყოფად წინა წელს განმარტებულია შენიშვნა 17-ში.

ინფორმაცია დაკავშირებული მხარის ნაშთებსა და ოპერაციებთან დაკავშირებით მოცემულია შენიშვნაში 32.

8 ბანკებიდან მისაღები თანხები

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ბანკებში სამ თვით ან მეტი თავდაპირველი ვადით განთავსებული თანხები	-	4,432
შემცირებული: გაუფასურების ანარიცხით	-	-
სულ ბანკებიდან მისაღები თანხები	-	4,432

ბანკებიდან მისაღებ თანხებში შედის სამ თვეზე მეტი თავდაპირველი ვადით ბანკებში განთავსებული თანხები, რომლებიც დაგირავდა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, თუ ასეთს ადგილი ჰქონდა.

სააქციო საზოგადოება თიბისი ლიზინგი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები- 2018 წლის 31 დეკემბერი

(თანხები მოცემულია ათასობით ქართულ ლარში)

9 გადახდილი ავანსები

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
სალიზინგო აქტივების დაზღვევისთვის გადახდილი ავანსები	2,463	1,966
სხვა გადახდილი ავანსები	24	79
საოპერაციო ლიზინგით გასაცემი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები	3	968
სულ გადახდილი ავანსები	2,490	3,013

მონეტარული პოლიტიკის ნებისმიერმა ცვლილებამ, ლარის შედგომმა მატერიალურმა გაუფასურებამ აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში, ინლფაციის ზრდამ ან რაიმე სხვა, ნეგატიურმა ფაქტორებმა, გარე ფაქტორების ჩათვლით, შესაძლოა საქართველოს ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენა იქონიოს. ამან, თავის მხრივ, შეიძლება უარყოფითი მატერიალური გავლენა იქონიოს კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, საოპერაციო შედეგებსა და პერსპექტივებზე, ისევე, როგორც ობლიგაციების სავაჭრო ფასზე.

რისკის მართვა

თიბისი ლიზინგის კონტრაქტები მოიცავს ლიზინგის მიმღების ავანსად გადახდილ მოწყობილობის ღირებულების 20%-ს ლიზინგის დაწყებისას. კომპანიას აქვს ლიზინგით გადაცემული აქტივების განკარგვის უფლება საკონტრაქტო პერიოდში რომელსაც შემდგომ გადასცემს ლიზინგის მიმღებს. თიბისი ბანკის საკრედიტო კომიტეტი იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას ლიზინგების გაცემაზე, რომელიც აჭარბებს 300 000 აშშ დოლარის ღირებულებას. ლიზინგის რეკომენდაციები (ლიზინგის ლიმიტის დამტკიცება, ლიზინგის ხელშეკრულებების ჩასწორებები და ა.შ.) განიხილება და მტკიცდება კომპანიის საკრედიტო კომიტეტის მიერ.

სს თიბისი ლიზინგი, მმართველობითი ანგარიშგება

კომპანია აქტიურად მართავს მის ლიკვიდურობის რისკს, ახდენს რა საკმარისი ფინანსების ხელმისაწვდომობის გარანტირებას, რათა გადაფაროს ფინანსური ვალდებულებები, როცა მათი გადახდის დრო მოვა.

მმართველი საბჭო (რომელიც შედგება მთავარი აღმასრულებელი დირექტორისგან, მთავარი რისკების დირექტორისგან და მთავარი ფინანსური დირექტორისგან) აკონტროლებს ლიკვიდურობის რისკს დაფარვის ვადის ანალიზის და ლიკვიდურობის გეგმის მეშვეობით. კომპანია აქტიურ მონიტორინგს აწარმოებს სამომავლო მოსალოდნელ ფულად ნაკადებს კლიენტისა და კომპანოოს ოპერაციებზე.

ფინანსური რისკის მართვა

რისკის მართვის ფუნქცია კომპანიაში ფინანსურ რისკებთან მიმართებაში ხორციელდება. (საკრედიტო, ლიკვიდურობის და ბაზრის რისკების (სავალუტო კურსის რისკისა და საპროცენტო განაკვეთის რისკის ჩათვლით), გეოგრაფიული, საოპერაციო რისკები და სამართლებრივი რისკები. ფინანსური რისკების მართვის პირველადი მიზანია დაწესდეს რისკის ლიმიტები, და შემდეგ უზრუნველყოს, რომ რისკები ამ ზღვრებში ჯდება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის ფუნქციები განსაზღვრულია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადო ფუნქციონერობისთვის, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმალიზებისთვის.

საკრედიტო რისკი

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, ეს ის რისკია, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე, ვალდებულების ვერ შესრულებით გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის. საკრედიტო რისკი მაშინ დგება, როდესაც კომპანია იწყებს ფინანსურ ლიზინგის კონტრაქტს და სხვა ტრანზაქციებს კონტრაგენტებთან და ეს ფინანსური აქტივების ინიცირებას იწვევს. საკრედიტო რისკის დადგომის მაქსიმუმი უტოლდება ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებს და აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

რისკის მართვა და მონიტორინგი წარმოებულია უფლებამოსილების დადგენილ ზღვრებში, მშობელი კომპანიის საკრედიტო კომიტეტის მიერ და კომპანიის მმართველი საბჭოს მიერ. მშობელი კომპანიის საკრედიტო კომიტეტი ჩართულია იმ ლიზინგებზე გადაწყვეტილების მიღებაში, რომელიც აჭარბებს 300 000 აშშ დოლარს . სანამ საკრედიტო კომიტეტისთვის და კომპანიის მმართველი საბჭოს მიმართ რაიმე მიმართვა გაკეთდება, ყველა რეკომენდაცია ლიზინგის პროცესზე (ლიზინგის ზღვრები დაწესებულია ან ლიზინგის კონტრაქტის პირობები ჩასწორდა და ა.შ.) განხილული და დამტკიცებულია რისკ -მენეჯერის ან საკრედიტო დეპარტამენტის მიერ.

კომპანია მის ფინანსური ლიზინგის კონტრაქტებს ისეთ სტრუქტურაში ათავსებს, რომ ლიზინგის მიმღები ავანსად იხდის შესყიდვის ობიექტის ღირებულების 20%-ს ლიზინგის დაწყებისთანავე. კომპანიას აქვს ლიზინგის აქტივის განკარგვის უფლება ლიზინგის ვადების განმავლობაში. ფინანსური ლიზინგის აქტივების განკარგვის უფლება გადადის ლიზინგის მიმღებებზე ამ კონტრაქტების ვადების დასრულებისას.

რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ლიზინგის აქტივებთან, როგორცაა სხვადასხვა მიზეზით მიყენებული ზიანი, ქურდობა და სხვა, ზოგადად დაზღვეულია. ხელმძღვანელობა პერიოდულად

სს თიბისი ლიზინგი, მმართველობითი ანგარიშგება

აფასებს ლიზინგის მიმღებების ფინანსურ წარმადობას მათი ვალების დაფარვის მონიტორინგითა და ფინანსური ანგარიშების ანალიზით. მთავარი ფაქტორები კომპანიისთვის იმის გასათვლელად თუ რა სტატუსი აქვს ლიზინგს, გაუფასურდა თუ ვადაგასულია, არის ლიზინგის მიმღების წარმადობა და ლიკვიდურობა და ლიზინგის აქტივის ღირებულება. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფინანსურ ლიზინგში წმინდა ინვესტიციისთვის შექმნილი ანარიცხი ადექვატურია იმისათვის, რომ ლიზინგის პორტფელში არსებული პოტენციური ზარალი გადაიფაროს საანგარიშო თარიღისათვის.

ხელმძღვანელობა ასევე აფასებს სხვა ფინანსური აქტივების შეგროვებადობას კვარტლურად, მოვალეების ფინანსურ წარმადობაზე და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, როგორებიცაა სასამართლოში სადაო საქმეების შედეგები. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ სხვა ფინანსური აქტივებისთვის შექმნილი ანარიცხი ადექვატურია საანგარიშო თარიღისათვის.

საბაზრო რისკი. კომპანიას გააჩნია საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი ვალუტასა და საპროცენტო განაკვეთებში ღია პოზიციებიდან წარმოიშობა, და ამათგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიურ ბაზრის მოძრაობებს. ხელმძღვანელობა ადგენს ზღვარს რისკის ღირებულებაზე, რომელიც შესაძლოა მიღებული იყოს, რომელზე მონიტორინგიც ყოველთვიურად ხორციელდება. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება ვერ უზრუნველყოფს ზარალის პრევენციას ამ ზღვრების გარეთ, უფრო მნიშვნელოვანი ბაზრის მოძრაობის დროს.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი განსაზღვრულია ისეთ რისკად, რომლის დროსაც ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება მერყეობს უცხოური ვალუტის გავცლითი კურსის ცვლილების გამო. კომპანიამ შესაძლოა გამოსცადოს დომინანტი უცხოური ვალუტის გავცლითი კურსის რყევების გავლენა მის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულად ნაკადებზე.

მმართველი საბჭო აკონტროლებს და მართავს სავალუტო რისკს ღია სავალუტო პოზიციის, ქართული ლარის გაუფასურების შეფასებაზე და სხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, რაც კომპანიას საშუალებას აძლევს მინიმუმამდე დაიყვანოს ზარალი მნიშვნელოვანი კურსების რყევების დროს ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანიას გააჩნია დომინანტი დონეების საბაზრო საპროცენტო განაკვეთის რყევების მის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულად ნაკადებზე გავლენის რისკი. გამომუშავებულ ფინანსურ შემოსავალს და გადახდილ საპროცენტო ხარჯებს შორის მარჯა შეიძლება გაიზარდოს მსგავსი ცვლილებების გამო, მაგრამ შესაძლოა შემცირდეს ან წარმოქმნას ზარალი იმ დროს, როდესაც მოულოდნელ მოძრაობას ჰქონდა ადგილი.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ გააჩნდა რეალური ღირებულებით საპროცენტო განაკვეთის რისკი, რადგან ყველა მისი ფინანსური აქტივი და ვალდებულება აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით. ფულადი ნაკადების საპროცენტო რისკი 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩნდება ერთი ნასესხები სახსრიდან, ცვლადი საპროცენტო განაკვეთით. ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ვალდებულება ატარებს ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთს ან საერთოდ უპროცენტოა.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი ეხება ხელმისაწვდომობას საკმარის ფინანსებზე, იმ ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად, რომლებიც ასოცირდება ფინანსურ ინსტრუმენტებთან, რომლებიც ფაქტობრივად ვადაგასულია. მმართველი საბჭო (შიდა ორგანო, რომელიც შედგება მთავარი ადმინისტრაციული დირექტორისგან, რისკების დირექტორისგან, ფინანსური დირექტორისგან და რეგულაციებთან შესაბამისობის დირექტორისგან)

სს თიბისი ლიზინგი, მმართველობითი ანგარიშგება

კორპორაციული მმართველობა

თიბისი ლიზინგის კორპორაციული ორგანოებია: აქციონერთა საერთო ყრილობა („საერთო ყრილობა“), სამეთვალყურეო საბჭო და მმართველი საბჭო, თითოეული მისი პასუხისმგებლობებით და უფლებამოსილებით საქართველოს კანონის და კომპანიის წესდების შესაბამისად. აქციონერთა საერთო ყრილობა ირჩევს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, რომელიც პასუხისმგებელია კომპანიის მმართველი საბჭოს მეთვალყურეობაზე. კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს კომპანიის აღმასრულებელ დირექტორს და თავის მხრივ, აღმასრულებელი დირექტორი კომპანიის მმართველი საბჭოს წევრებს ნიშნავს, რომელიც კომპანიის აღმასრულებელი ორგანოა და პირდაპირ პასუხისმგებელია ყოველდღიურ საქმიანობაზე.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ბიოგრაფია

ვახტანგ ბუცხრიკიძე, თავმჯდომარე

ვახტანგ ბუცხრიკიძე შეუერთდა თიბისი ბანკს 1993 წელს, როგორც საკრედიტო დეპარტამენტის უფროსი მენეჯერი და არჩეული იქნა მმართველი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ 1994 წელს. 1996 წელს ის გახდა მმართველი საბჭოს თავმჯდომარე. 1998 წლიდან მოყოლებული, მას ეკავა თიბისი ბანკის აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობა და სათავეში ედგა თიბისის სხვადასხვა კომიტეტებს.

ბატონი ბუცხრიკიძე დაინიშნა კომპანიის აღმასრულებელ დირექტორად 2016 წლის მაისში და სამეთვალყურეო საბჭოს წევრად 2016 წლის სექტემბერში. ბატონი ბუცხრიკიძე აგრეთვე ისეთი ორგანიზაციებისა სამეთვალყურეო საბჭოების წევრია, როგორიცაა საქართველოს ბანკების ასოციაცია და ის, საქართველოს ბიზნესის ასოციაციის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა. 2011 წლიდან მას ასევე ეკავა საქართველოს საპატნიორო ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს წევრის თანამდებობაც. 2016 წელს, ბატონი ბუცხრიკიძე შეუერთდა ვიზას ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, შუა აღმოსავლეთის და აფრიკის (CEMEA) ბიზნეს საბჭოს.

ბატონმა ბუცხრიკიძემ ბიზნესის ადმინისტრაციის მაგისტრის წოდება თბილისში, მენეჯმენტის ევროპულ სკოლაში მოიპოვა 2001 წელს. მან დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1992 წელს ეკონომიკის განხრით და აქვს ეკონომიკის ინსტიტუტისა და მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტის კვალიფიკაცია.

ბადრი ჯაფარიძე, წევრი

ბადრი ჯაფარიძე დაინიშნა საგარეო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსად თიბისი ბანკში 1992 წელს და 1993 წელს გახდა ბანკის ვიცე პრეზიდენტი. 1996-2014 წლებში იგი იყო თიბისი TV-ს საბჭოს თავმჯდომარე. 1995 და 2003 წლებს შორის, ის იყო საქართველოს მინისა და მინერალური წყლების პრეზიდენტი, რისი თანადამფუძნებელიც ასევე იყო. კომპანიას შემდგომში სახელი შეეცვალა და IDS ბორჯომი გახდა, სადაც იგი იყო საბჭოს წევრი 2004-დან 2010 წლამდე.

1995 წელს, ბატონი ჯაფარიძე აირჩიეს თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოში და 1996 წლიდან ამ საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე იყო. 2004 წელს, იგი აგრეთვე აირჩიეს ამერიკის სავაჭრო პალატის

სს თიბისი ლიზინგი, მმართველობითი ანგარიშგება

დირექტორთა საბჭოს წევრად და ასევე საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების კომპანიაში, რისი თანადამფუძნებელიც თვითონ არის.

2016 წელს ბატონი ჯაფარიძე აირჩიეს EUGeorgian ბიზნეს საბჭოს სამეთვალყურეო საბჭოში და ამავდროულად გახდა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. 2018 წელს, ის გახდა ჯეოპლანტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, ამ თანამდებობას ის დღემდე იკავებს. ბატონი ჯაფარიძე აგრეთვე არის თიბისი კრედიტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და თიბისი ლიზინგის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. ბატონი ჯაფარიძე დაინიშნა თიბისი ბანკის საბჭოს თავმჯდომარედ 2016 წლის მაისში.

ბატონმა ჯაფარიძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტი 1982 წელს დაამთავრა და მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ასპირანტის კვალიფიკაცია გააჩნია. დამატებით, 2011 წელს, დაამთავრა მმართველი თანამდებობის პირების სასწავლო კურსი ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტიკური მეცნიერებების სკოლაში. 1990 და 1992 წლებს შორის, ბატონი ჯაფარიძე იყო საქართველოს პარლამენტის წევრი.

ნიკოლოზ ქურდიანი, წევრი

ნიკოლოზ ქურდიანს საბანკო ინდუსტრიაში 10 წელზე მეტი გამოცდილება აქვს, რაც მოიცავს 5 წლიან სამუშაო გამოცდილებას ავსტრიის, თურქეთისა და ყაზახეთის უნიკრედიტ ჯგუფში. სანამ 2014 წელს თიბისი ბანკს შეუერთდებოდა, ბატონი ქურდიანი იყო მმართველი დირექტორი კასპი ბანკში, საცალო ვაჭრობის ლიდერ ბანკში ყაზახეთში.

სანამ ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის წოდებას მიიღებდა 2007 წელს, საქართველოს რესპუბლიკა ბანკის საცალო ვაჭრობის ბანკინგის განყოფილების უფროსი იყო, ჯგუფი სოსიეტე ქენერალი, და ასევე ეკავა სხვადასხვა პოზიციები საქართველოს ბანკში 2003-2006 წლებში. მას გააჩნია ცოდნა და გამოცდილება შესყიდვის შემდგომი ინტეგრაციის და რესტრუქტურიზაციის სფეროში, ისევე, როგორც საცალო ვაჭრობის და მცირე და საშუალო საწარმოების ბანკინგის სფეროში. 2008-2010 წლებს შორის ბატონ ქურდიანს ეკავა უფროსი გაყიდვების მხარდაჭერის ექსპერტის თანამდებობა ავსტრიის ბანკის, უნიკრედიტ ჯგუფის, რომელიც პასუხისმგებელია თურქეთზე, ყაზახეთზე, უკრაინასა და სერბეთზე, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის საცალო ვაჭრობის განყოფილებაში. 2010 და 2013 წლებს შორის, საცალო ვაჭრობის განყოფილების უფროს იყო ATF ბანკში, ყაზახეთის უნიკრედიტ ჯგუფში.

ბატონმა ქურდიანმა ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის წოდება 2007 წელს, IE ბიზნესის სკოლაში მოიპოვა. მას აგრეთვე აქვს საერთაშორისო ეკონომიკის მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხი საერთაშორისო ეკონომიკაში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან და დაამთავრა ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრიატი გერმანიაში Ruhr-University Bochum-ში და კავკასიის ბიზნეს სკოლა.

მმართველი საბჭოს წევრების ბიოგრაფია

გაიოზ გოგუა, მთავარი აღმასრულებელი დირექტორი

გაიოზ (გოგა) გოგუა მუშაობს თიბისი ლიზინგის აღმასრულებელ დირექტორად 2017 წლის ნოემბრიდან. მის ამჟამინდელ თანამდებობამდე, ის მუშაობდა თიბისი ბანკში, რომელსაც ის შეუერთდა 2001 წელს, როგორც კრედიტ მენეჯერი. წლების განმავლობაში თიბისი ბანკში ის მუშაობდა სხვადასხვა

ქეთევან ჭეიქიძე

სს თიბისი ლიზინგი, მმართველობითი ანგარიშგება

მმართველობით პოზიციებზე, რეგიონალური დირექტორის, ფილიალის დირექტორის და ფილიალის საკრედიტო განყოფილების უფროსის თანამდებობებზე. ბატონ გაგუას გააჩნია ზონის ადმინისტრირების ბაკალავრის და ფიზიკის მაგისტრის ხარისხები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან და ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი თბილისის მენეჯმენტის ევროპული სკოლიდან.

ირაკლი ხატიაშვილი, კომერციული დირექტორი

ირაკლი ხატიაშვილი შეუერთდა თიბისი ლიზინგს 2018 წელს და წლების განმავლობაში ის მუშაობდა საქართველოს წამყვან ბანკებში საკრედიტო და კომერციულ დეპარტამენტებში მაღალ თანამდებობებზე. ბატონ ხატიაშვილს ბიზნესის ბაკალავრის ხარისხი აქვს გამოყენებად მათემატიკასა და კომპიუტერულ მეცნიერებებში საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტიდან.

ნუგზარ ლოლაძე, ფინანსური დირექტორი

ბატონი ლოლაძე შეუერთდა თიბისი ლიზინგს 2014 წელს როგორც ფინანსური დირექტორი. სანამ თიბისი ლიზინგში დაიწებდა მუშაობას, იგი მუშაობდა კომპანიაში Ernst & Young, უფროს აუდიტორად და მოგვიანებით გარიგებების საკონსულტაციო სერვისების ლიდერად. ბატონმა ლოლაძემ დაამთავრა კავკასიის ბიზნეს სკოლა.

გიორგი მაისურაძე, რისკების მთავარი ოფიცერი

ბატონი მაისურაძე შეუერთდა თიბისი ლიზინგს 2018 წლის დასაწყისში როგორც რისკების დირექტორი. მას ნამუშევარი აქვს საქართველოს სხვადასხვა კომერციულ ბანკებში, ამასთანავე, მუშაობდა საქართველოს ეროვნულ ბანკში, როგორც უფროს მენეჯერი ან დეპარტამენტის უფროსი. მას აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის და მაგისტრის ხარისხი მაკროეკონომიკაში.

ლევან აბაშიძე, ავტომობილების მთავარი ოფიცერი

ლევან აბაშიძე შეუერთდა თიბისი ლიზინგს როგორც ავტომობილების მთავარი ოფიცერი 2016 წლის ოქტომბერში. 2008 წლიდან ის მუშაობდა კომპანიაში ARVAL BNP Paribas, როგორც საკრედიტო რისკებისა და ფასწარმოქმნის დეპარტამენტის უფროსი და შემდეგ როგორც რემარკეტინგის უფროსი. 2006 წლის ნოემბრიდან 2007 წლის დეკემბრამდე ბატონი აბაშიძე მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის სესხების განყოფილების უფროსი იყო ქართუ ბანკში. მანამდე ის მუშაობდა როგორც საკრედიტო მრჩეველი EBRD-ის მცირე ბიზნესის სესხების პროგრამაზე, საქართველოს საზღვაო ბანკის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და კრედიტ ოფიცრად საქართველოს პროკრედიტ ბანკში. ბატონ აბაშიძეს სოფიას St. Kliment Ohridski-ს უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის და კავკასიის ბიზნეს სკოლის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხები აქვს, ასევე ამერიკის ბიზნესისა და ეკონომიკის ინსტიტუტი აქვს დამთავრებული.

ნანა შონია, იურიდიული საკითხების მთავარი ოფიცერი

ნანა შონია შეუერთდა თიბისი ლიზინგს 2007 წელს და 2013 წლის იანვრიდან მუშაობდა როგორც მთავარი იურიდიული საკითხების ოფიცერი. მანამდე, ქალბატონი შონია მუშაობდა როგორც საშტატო ადვოკატი და უფროსი იურისტი. კომპანიაში მოსვლამდე ის მუშაობდა როგორც იურისტი

ქეთევან ჭყეუშელაძე

სს თიბისი ლიზინგი, მმართველობითი ანგარიშგება

საქართველოს პროკრედიტ ბანკში 2005-2007 წლებში. ქალბატონი შონია ფლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურისპრუდენციის ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხს.

მმართველი საბჭოს თითოეული წევრის ბიზნეს მისამართი კომპანიის რეგისტრირებული ოფისის მისართია, ჭავჭავაძის გამზირი, 80, თბილისი, საქართველო

აღმასრულებელი დირექტორი

ფინანსური დირექტორი

გაიოზ გოგუა

ნუგზარ ლოლაძე

2019 წლის 16 აპრილი

სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის ნომერი

N191106125



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის თარიღი

11.09.2019 წ

სანოტარო მოქმედების
დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული
მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

სალომე სალუქვაძე

სანოტარო ბიუროს მისამართი

ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, I სართული,
კომერციული ფართი #4

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

597999990

სანოტარო მოქმედების
ინდივიდუალური ნომერი

08041645413719



ორიათას ცხრამეტი წლის თერთმეტ სექტემბერს მე, სალომე სალუქვაძე, ნოტარიუსი ქ. თბილისში, რომლის სანოტარო ბიუროს მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, I სართული, კომერციული ფართი #4-ში, ვამოწმებ თარგმანის ქეთევან ბეჟიტაშვილის, დაბ. 09.04.1979წ. პირადი #01018003510, პირადობის მოწმობა #11IB13032 /დიპლომი #AA 0067541, გაცემული ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2001წ./ ხელმოწერის ნამდვილობას, მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის - სს თიბისი ლიზინგი ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, თარგმანზე. მე ნოტარიუსმა გავაფრთხილე თარგმანი, რომ იგი პასუხს აკვებს თარგმანის სისწორეზე. მან დამიდასტურა, რომ ჭეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს. თარგმანი შესრულებულია ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე.

გადახდილია საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულებებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერს მიღებული #507-ე დადგენილების 31.3-ე მუხლის თანახმად 190.00 ლარი და 39.1. მუხლის თანახმად ელექტრონულ რეგისტრაციისათვის 2.00 ლარი. სულ გადახდილია 192 (ასოთხმოცდა ოთრმეტი) ლარი.

ნოტარიუსი სალომე სალუქვაძე

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მათი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დასკვნა ტელეფონზე: 595(32) 2 66 19 18





დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს თი ბი სი ლიზინგის აქციონერებსა და ხელმძღვანელობას

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგება“), ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სს თი ბი სი ლიზინგის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებს, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა („ფას“-ები) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტის საგანი

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისათვის;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისათვის;
- ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისათვის; და
- ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ, აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და შესაფერის საფუძველს წარმოადგენს.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლობა ვართ ჯგუფისა და კომპანიისგან ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული პროფესიულ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის („IESBA“-ის კოდექსი) მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული ნორმებით და IESBA-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს „მმართველობით ანგარიშგებას“ (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე გაცემულ ჩვენ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებებზე არ მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშგებას, და განვიხილოთ მმართველობითი ანგარიშგება არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა

შპს ფრანსიუთერკაუსკუპერს საქართველო; საქართველო, თბილისი 0171, მ. ალექსიძის ქ. №12, ბიზნეს ცენტრი King David, მე-7 სართული; ტელ: +995 (32) 250 80 50, www.pwcc.com/ge

მმართველობითი ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა მმართველობითი ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად სრულ ინფორმაციას.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობით ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად; და
- მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაფერის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებებთან მიმართებაში

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც ხელმძღვანელობა აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს ჯგუფისა და კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ან კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის და კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ას-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებებს.

ას-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი.
- იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის და კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ან კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი ან კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის შესაბამის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფის საწარმოების ან ბიზნეს საქმიანობის შესახებ ფინანსური ინფორმაციასთან დაკავშირებით რათა გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებებზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ ჯგუფის აუდიტის მიმართულებაზე, მეთვალყურეობასა და წარმადობაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველოს სახელით (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)

ლაშა ჯანელიძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-562091)

2019 წლის 16 აპრილი
თბილისი, საქართველო

სააქციო საზოგადოება თიბისი ლიზინგი

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო
სტანდარტების შესაბამისად მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნა

2018 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1	შესავალი	5
2	კომპანიის საოპერაციო გარემო	6
3	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	6
4	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკაში	22
5	ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება	25
6	საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები	27
7	ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	29
8	ბანკებიდან მისაღები თანხები	29
9	გადახდილი ავანსები	30
10	ლიზინგის ხელშეკრულებებისთვის გადახდილი ავანსები	30
11	წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	30
12	ძირითადი საშუალებები	35
13	არამატერიალური აქტივები	36
14	საინვესტიციო ქონება	36
15	შეწყვეტილი ლიზინგიდან დაბრუნებული აქტივები	38
16	სხვა ფინანსური აქტივები	38
17	სესხები ბანკებიდან და სხვა ფინანსური ინსტიტუტებიდან	41
18	კლიენტებისგან მიღებული ავანსები	42
19	გამოშვებული ფასიანი ქაღალდები	42
20	სუბორდინირებული სესხები	42
21	სხვა ვალდებულებები	43
22	სააქციო კაპიტალი	43
23	ფინანსური შემოსავალი ლიზინგიდან	43
24	სხვა შემოსავალი	43
25	ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები	44
26	წმინდა ვალის შეჯერება	44
27	ფინანსური რისკების მართვა	45
28	კაპიტალის მართვა	55
29	წარმოებული ფინანსური ინეტრუმენტები	55
30	ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება	56
31	გაუთვალისწინებელი მოვლენები და მოვალეობები	58
32	ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	59

სააქციო საზოგადოება თიბისი ლიზინგი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
(თანხები მოცემულია ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	7	18,639	7,865
ბანკებიდან მისაღები თანხები	8	-	4,432
გადახდილი ავანსები	9	2,490	3,013
საგადასახადო აქტივები, წმინდა		1,019	2,463
ლიზინგის ხელშეკრულებებისთვის გადახდილი ავანსები	10	36,068	25,758
წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	11	203,707	143,777
ძირითადი საშუალებები	12	9,278	3,128
არამატერიალური აქტივები	13	1,160	717
საინვესტიციო ქონება	14	2,100	2,299
შეწყვეტილი ლიზინგებიდან დაბრუნებული აქტივები	15	7,805	3,328
სხვა ფინანსური აქტივები	16	7,326	4,047
სხვა აქტივები		92	2
სულ აქტივები		289,684	200,829
ვალდებულებები			
სესხები ბანკებიდან და სხვა ფინანსური ინსტიტუტებიდან	17	204,369	135,782
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	18	17,726	12,907
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	19	8,094	7,798
სუბორდინირებული სესხი	20	29,247	15,685
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები		48	-
სხვა ვალდებულებები	21	5,483	9,257
სულ ვალდებულებები		264,967	181,429
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	22	3,059	3,059
დამატებით სააქციო კაპიტალის გადახდილი წილი		2,150	2,150
გაუნაწილებელი მოგება		19,508	14,192
სულ კაპიტალი		24,717	19,401
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		289,684	200,830

ადმასრულებელი დირექტორი
გაიოზ გოგუა

ფინანსური დირექტორი
ნუგზარ ლოლაძე

2019 წლის 16 აპრილი

სააქციო საზოგადოება თიბისი ლიზინგი
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
(თანხები მოცემულია ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი ფინანსური ლიზინგიდან	23	39,190	22,517
შემოსავალი საოპერაციო ლიზინგიდან		2,201	288
საპროცენტო ხარჯი		(15,356)	(9,345)
წმინდა ფინანსური შემოსავალი		26,035	13,460
ფინანსურ ლიზინგში წმინდა ინვესტიციების გაუფასურების ანარიცხი	11	(624)	(263)
ფინანსურ ლიზინგში წმინდა ინვესტიციების გაუფასურების ანარიცხის შემდეგ დარჩენილი წმინდა ფინანსური შემოსავალი		25,411	13,197
სხვა ფინანსურ აქტივებში გაუფასურების ანარიცხი	16	(4,262)	(1,993)
სხვა შემოსავალი	24	820	820
შემოსულობა დაბრუნებული აქტივების თავდაპირველ აღიარებაზე		294	308
დაბრუნებული აქტივების ჩამოწერა წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე	15	(506)	(449)
ზარალი გაყიდვებიდან და დაბრუნებული აქტივების გამოშვება	15	(378)	(111)
ზარალი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების წმინდა შემოსულობებიდან		(56)	-
სავალუტო კურსის კონვერტაციის შემოსულობები შემცირებული ზარალით		(227)	967
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	25	(14,803)	(8,977)
შემოსულობა/(ზარალი) საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან	14	(199)	323
მოგება დაბეგვრამდე		6,094	4,085
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება		6,094	4,085
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		6,094	4,085

სააქციო საზოგადოება თიბისი ლიზინგი
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
(თანხები მოცემულია ათასობით ქართულ ლარში)

	სააქციო კაპიტალი	დამატებით სააქციო კაპიტალის გადახდილი წილი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერს	3,059	2,150	10,107	15,316
სულ წლის სრული შემოსავალი	-	-	4,085	4,085
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	3,059	2,150	14,192	19,401
ფასს 9-ს მიღების გავლენა 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	(778)	(778)
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	3,059	2,150	13,414	18,623
სულ წლის სრული შემოსავალი	-	-	6,094	6,094
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	3,059	2,150	19,508	24,717

სააქციო საზოგადოება თიბისი ლიზინგი
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
(თანხები მოცემულია ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ფულადი სახსრების მიღება ლიზინგით მოსარგებლეებისგან		145,976	92,655
ფულადი სახსრების მიღება ლიზინგით მოსარგებლეებისგან როგორც საგირავნო დეპოზიტი		18,664	15,404
ფულადი სახსრების მიღება დაბრუნებული აქტივებისგან		3,208	1,298
ფულადი სახსრების მიღება შეწყვეტილი ლიზინგიდან დაბრუნებული აქტივებით		895	1,963
ლიზინგისთვის შემენილი აქტივებისთვის გადახდილი ფული		(200,544)	(145,217)
მიმწოდებლებისთვის გადახდილი ფული		(6,996)	(5,531)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფული		(2,703)	(1,936)
ოპერაციებში გამოყენებული ფულადი ნაკადები		(41,500)	(41,364)
სუბორდინირებულ სესხებზე გადახდილი პროცენტი	26	(1,908)	(1,757)
ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან აღებული სესხების გადახდილი პროცენტი	26	(11,712)	(5,412)
გამოცემულ სავალო ფასიან ქაღალდებზე გადახდილი პროცენტი	26	(394)	(585)
გადახდილი გადასახადები		(5,204)	(4,960)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(60,718)	(54,078)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
მიღებული პროცენტი		42	236
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	12	(7,976)	(275)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	13	(535)	(161)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(8,469)	(200)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
ბანკებისგან და ფინანსური ორგანიზაციებისგან მიღებული სესხები	26	137,414	119,604
სავალო ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვა		-	(4,877)
მიღებული სუბორდინირებული სესხები	26	28,604	-
გადაფარული სუბორდინირებული სესხები	26	(15,611)	-
დეპოზიტებიდან (ბანკების) მიღებული ფული		4,432	-
დეპოზიტებისთვის (ბანკების) გადახდილი ფული		-	(4,432)
ფულის გადინება წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან		(4)	-
გადაფარული სესხები ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან	26	(78,771)	(52,834)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		76,064	57,461
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებზე და ფულადი სახსრების ექვივალენტებზე		3,897	(595)
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა		10,774	2,588
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში	7	7,865	5,277
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს	7	18,639	7,865

სააქციო საზოგადოება თიბისი ლიზინგი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები- 2018 წლის 31 დეკემბერი

(თანხები მოცემულია ათასობით ქართულ ლარში)

1 შესავალი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობაში, 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის სააქციო საზოგადოება თიბისი ლიზინგისთვის (კომპანია)

კომპანია დაფუძნდა 2003 წელს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია წარმოადგენს აქციებით შეზღუდულ დახურულ სააქციო საზოგადოებას და დაფუძნებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რეგისტრირებულია ვაკე-საბურთალოს სასამართლოში საინდენტიფიკაციო ნომრით: 205016560.

ძირითადი საქმიანობა: კომპანიის ძირითადი ბიზნეს საქმიანობა ფინანსებისა და საოპერაციო ლიზინგის კომპანიებისა და ფიზიკური პირებისთვის მიწოდებაა. კომპანია ფართო სპექტრის სალიზინგო პროდუქციის ყველაზე დიდი მიმწოდებელია 2500-ზე მეტი დიდი, კორპორაციული, მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეობის (მმსმ) და ფიზიკური პირების კლიენტებისთვის მთელს საქართველოში. კომპანიის პროდუქტი მოიცავს ფინანსურ და საოპერაციო ლიზინგს აგრარულ, სამედიცინო, სამშენებლო, მომსახურების, სამრეწველო და საცალო ვაჭრობის სფეროებში. კომპანია, მის პროდუქციას მომხმარებელს სთავაზობს სხვადასხვა გაყიდვების არხების მეშვეობით, რომლებიც მოიცავს უშუალო მშობელ ბანკს, ოფიციალურ წარმომადგენლობებს, მიმწოდებლებს და პირდაპირი გაყიდვების არხებს. კომპანია ლიზინგის სახით გასცემს სხვადასხვა ტიპის აქტივებს, ინდუსტრიული აღჭურვილობიდან და საინფორმაციო ტექნოლოგიებში გამოყენებული აღჭურვილობიდან დაწყებული, ავტომობილებით დამთავრებული, რომლებიც შესყიდულია მომწოდებლებისგან საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. კომპანია პარტნიორია ისეთი სამთავრობო სააგენტოებისა, როგორებიცაა აწარმოე საქართველოში და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო (APMA), რომლებიც ახდენენ კომპანიების სუბსიდირებას მათი ბიზნესის ზრდის ხელშესაწყობად. კომპანიას მუდმივად ჰყავს 100-ზე მეტი თანამშრომელი და ოპერირებს სათაო ოფისში და ხუთ საცალო ვაჭრობის ფილიალში.

31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის აქციონერები წარმოადგენდნენ შემდეგს:

აქციონერები	2018	2017
	მფლობელობის წილი, %	მფლობელობის წილი, %
სს თიბისი ბანკი („მშობელი“)	99.61%	99.61%
უმცირესობის წილის მფლობელი – ინდივიდუალური	0.39%	0.39%
სულ	100%	100%

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი მაკონტროლებელი მხარე იყო საჯარო პასუხისმგებლობის კომპანია (PLC) თიბისი ბანკის კომპანია, რომელიც რეგისტრირებულია გაერთიანებულ სამეფოში.

რეგისტრაციის მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის ოფისის სარეგისტრაციო მისამართია 0160, ჭავჭავაძის გამზირი 76, თბილისი, საქართველო.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ათასობით ქართულ ლარში („GEL“), თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული.

2 კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საოპერაციო გარემო საქართველოს ფარგლებშია. ისეთი განვითარებადი ეკონომიკა, როგორც საქართველოს აქვს, სწრაფად ცვალებადი და მოწყვლადია მსოფლიო საბაზრო ეკონომიკის პირობებთან და ეკონომიკურ რეცესიებთან მიმართებაში. ამის შედეგად, საქართველოში წარმოებული ოპერაციები შესაძლოა დადგეს გარკვეული რისკების ქვეშ, რომლებიც, როგორც წესი, არ არის დამახასიათებელი განვითარებული ბაზრისთვის. მიუხედავად ამისა, ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს მთავრობამ გაატარა რიგი სამოქალაქო, საგადასახადო, სამართლებრივი, ადმინისტრაციული და კომერციული რეფორმები, რომლებმაც დადებითი გავლენა იქონიეს ქვეყნის საერთო საინვესტიციო გარემოზე. დღეს, საქართველოს გააჩნია ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს მქონე ქვეყნის რეპუტაცია. მსოფლიო ბანკისა (WB) და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) „ბიზნესის კეთება 2019“ ანგარიშის მიხედვით, საქართველო აგრძელებს წინსვლას, სადაც იკავებს მსოფლიოში მე-6 ადგილს 190-დან ბიზნესის კეთების სიმარტივით, წინა წლის ნმჩვენებელთან შედარებით, 7 საფეხურით წინ. ქვეყანამ გამოსწორა მისი რეიტინგი თითქმის ყველა კატეგორიაში, რითიც გაამყარა მისი პოზიცია როგორც რეგიონულმა ლიდერმა და წარმადობით გადააჭარბა ევროკავშირის ქვეყნების უმეტესობას. მთელი რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევების მიხედვით, საქართველოს ასევე შეუძლია იამაყოს კორუფციის დაბალი დონით, დაბალი საგადასახადო ტვირთით, სახელმწიფო სტრუქტურების მაღალი გამჭვირვალობით. შიდა ეკონომიკური მდგომარეობა სტაბილურია და საბანკო სექტორი აგრძელებს ზრდას, რაც, თავის მხრივ, ეყრდნობა უფრო ფართო მაკროეკონომიკურ სტაბილურობას და მიმზიდველ საინვესტიციო გარემოს. მაკროეკონომიკური წარმადობის, მოდინების მრავალფეროვანი წყაროებისა და წინდახედული მაკროეკონომიკური პოლიტიკის შედეგად, 2019 წლის 22 თებერვალს, Fitch რეიტინგებმა საქართველოს მიანიჭეს სუვერენული 'BB' რეიტინგი, ნაცვლად მანამდე არსებული 'BB-'-ისა, სტაბილური პერსპექტივით.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს“-ები) და საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად, ისტორიული ღირებულებების პრინციპების გათვალისწინებით. ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია ქვემოთ. ფასს 9 და ფასს 15 -ს მიღების შედეგად მიღებული ცვლილებების გარდა, რომელიც ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან, ეს პოლიტიკა თანმიმდევრულად ესადაგება ყველა წარდგენილ პერიოდს, თუ არ არის სხვაგვარად მითითებული. აღრიცხვის პოლიტიკის პრინციპები, ფინანსურ ინსტრუმენტებთან და ბრუნვის აღიარებასთან მიმართებაში რომელიც 2017 წლის 31 დეკემბრამდე იყო მიღებული, წარმოდგენილია ქვემოთ.

ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის, ხელმძღვანელობას მოეთხოვება შეფასებების, განსჯისა და დაშვებების გაკეთება აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, რომლებიც არ არის აშკარა სხვა წყაროებიდან. შეფასებები და მათთან ასოცირებული დაშვებები ემყარება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა შესაბამის ფაქტორებს.

შეფასებები და ქვემოთ მოყვანილი დაშვებები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება გადაიხდა, თუ გადახედვა მხოლოდ იმ პერიოდზე ახდენს გავლენას, ან გადახედვის პერიოდში და სამომავლო პერიოდებში, თუ გადახედვა გავლენას ახდენს ორივეზე, მიმდინარე და სამომავლო პერიოდებზე.

ახალი და შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები

ამ ფინანსურ ანგარიშგებაში, კომპანიამ პირველად გამოიყენა ფასს 9 და ფასს 15, რაც ეფექტურია 2018 წლის 1 იანვრიდან. კომპანიას მანამდე არ მიუღია სხვა რაიმე სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ შესწორება, რომელიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ეფექტური არ არის.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9-მ ასს 39 ჩაანაცვლა 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომი წლიური პერიოდებისთვის. კომპანიამ გამოიყენა ფასს 9 მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მიდგომით, რაც ნიშნავს, რომ მან არ გადააფასა შესადარისი ინფორმაცია 2017 წლისთვის, ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, ფასს 9-ს ფარგლებში. მაშასადამე, 2017 წლისთვის შესადარისი ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტებისთვის არ ედრება 2018 წლისთვის წარდგენილ ინფორმაციას. ფასს 9 მიღებით წარმოქმნილი განსხვავებები აღიარდა პირდაპირ გაუნაწილებელ შემოსულობებში 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და გამჟღავნებულია შენიშვნა 5-ში, გარდამავლობის ცხრილში.

ცვლილებები კლასიფიკაციასა და შეფასებაში

კლასიფიკაციისა და შეფასების კატეგორიის განსაზღვრად, ფასს 9 მოითხოვს კაპიტალის ინსტრუმენტებისა და წარმოებულების გარდა ყველა ფინანსური აქტივების შეფასებას საწარმოს აქტივებისა და ინსტრუმენტების სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლების მართვისა და ბიზნეს მოდელის კომბინაციაზე დაყრდნობით.

ასს 39 ფინანსური აქტივების შეფასების კატეგორიები (რეალური ღირებულება მოგება/ზარალის მეშვეობით (FVTPL), გასაყიდად არსებული (AFS), დაფარვის ვადამდე ფლობილი და ამორტიზირებული ღირებულება) ჩაანაცვლდა შემდეგით:

- სავალო ინსტრუმენტები ამორტიზირებული ღირებულებით
- სავალო ინსტრუმენტები რეალური ღირებულებით, სხვა სრული შემოსავლის მეშვეობით (FVOCI) შემოსულობები და ზარალი ჩაანაცვლებული მოგება-ზარალით აღიარების შეწყვეტაზე
- კაპიტალის ინსტრუმენტები რეალური ღირებულებით, სხვა სრული შემოსავლის მეშვეობით, რომელსაც არ გააჩნია გადამუშავებული შემოსულობები და ზარალი აღიარების შეწყვეტაზე მოგება-ზარალის მეშვეობით
- ფინანსური აქტივები FVTPL-ით

ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვა უმეტესად იგივე რჩება, როგორც ეს ასს 39-ით იყო, იმ შემოსულობების და ზარალის გარდა, რომელიც წარმოიქმნა საწარმოს საკრედიტო ზარალისგან, რომელიც დაკავშირებულია ვალდებულებებთან, რომელიც განსაზღვრულია FVTPL-ით. მსგავსი მოძრაობები წარდგენილია სხვა სრულ შემოსავალში, შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი რეკლასიფიკაციის გარეშე.

ცვლილებები გაუფასურების დაანგარიშებაში

ფასს 9-ს მიღებამ კომპანიის ბუღალტერიაში ფუნდამენტური ცვლილებები გამოიწვია წმინდა ინვესტიციებისთვის ფინანსურ ლიზინგში (NIFL) ზარალის გაუფასურებით ასს 39-ს გაწეული ზარალის მიდგომის წინდახედული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მიდგომით ჩაანაცვლებით. ფასს 9 კომპანიისგან მოითხოვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხის აღრიცხვას ყველა NIFL-სთვის და სხვა ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც არ არის ფლობილი FVTPL-ით, ლიზინგის ვალდებულებებთან და ფინანსური გარანტიების ხელშეკრულებებთან ერთად. ანარიცხი ეფუძნება მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რომელიც ასოცირდება დეფოლტის ალბათობასთან მომდევნო თორმეტი თვის განმავლობაში, თუ არ ყოფილა მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის ზრდა, წარმოქმნიდან მოყოლებული.

3 მნიშვნელოვანი საღარიბო პოლიტიკა (გაგრძელება)

რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადახდებოდა ვალდებულების გადასაცემად შეფასების თარიღით, ბაზრის მონაწილეებს შორის გარიგებისას. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიურია ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ. იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებითაც ვაჭრობენ აქტიურ ბაზარზე, ფასდება ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კვოტირებული ფასის გამრავლებით საწარმოს მიერ ფლობილ რაოდენობაზე. ეს ასეა მაშინაც კი, როდესაც ბაზრის ჩვეულებრივი დღიური ვაჭრობის მოცულობა საკმარისი არ არის ფლობილი რაოდენობის ასათვისებლად და ერთი გარიგებით პოზიციის გაყიდვის დაკვეთამ შეიძლება გავლენა იქონიოს კვოტირებულ ფასზე.

შეფასების ისეთი ხერხები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან თავისუფალ, მხოლოდ საკუთარი ინტერესის მქონე პირებს შორის გარიგებები, ან ინვესტიციის მიმღების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება, გამოიყენება იმ კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთა საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონეა იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება; (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მესამე დონის შეფასებებია, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არადაკვირვებადი რესურსი). რეალური ღირებულების იერარქიის დონეებს შორის ტრანსფერები მიიჩნევა, რომ გამოჩნდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს. იხილეთ შენიშვნა 30.

ტრანზაქციის დანახარჯები ზრდადი დანახარჯებია, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასვლას. ზრდადია დანახარჯი, რომელიც არ გაიწეოდა, მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. გარიგების დანახარჯები მოიცავს სააგენტოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟისთვის გადახდილ საფასურს და საკომისიოს, ასევე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობის დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარდა საწყისი აღიარებისას, შემცირებული ძირითადი თანხის ნებისმიერი გადახდით, მიმატებული დაგროვილი პროცენტი და ფინანსური აქტივები, შემცირებული ანარიცხებით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის (“ECL”). დაგროვილი პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერ პრემიას ან დისკონტს ვადის დაფარვამდე,

ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დაგროვილი საპროცენტო შემოსავალი და დაგროვილი საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დაგროვილი კუპონი და ამორტიზებული დისკონტი, ან პრემია (წარმოშობისას გადავადებული საფასურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს) ცალკე არ აისახება და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების დაკავშირებული მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამისი პერიოდზე გადანაწილების მეთოდი ისე, რომ მიღწეულ იქნეს მუდმივი პროცენტი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთია ის, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება შეფასებული სამომავლო ფულადი გადახდები ან ფულის მიღება (სამომავლო საკრედიტო ზარალის გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, საჭიროებისამებრ, ფინანსური ინსტრუმენტის ბრუტო საბალანსო ღირებულებამდე.

3 მნიშვნელოვანი საღირებვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მერყევ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების (“POCI”) შემთხვევაში თავდაპირველი აღიარებისას უნდა განისაზღვროს საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, მაგალითისთვის, სახელშეკრულებო გადახდების ნაცვლად, ის თავდაპირველი აღიარებისას მოსალოდნელი ფულადი სახსრების საფუძველზე გამოითვლება.

ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტები რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL) თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, კორექტირებული გარიგების დანახარჯებით. საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. საწყისი აღიარებაზე შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც რეალური ღირებულება და გარიგების ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იმავე ინსტრუმენტის სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო ოპერაციები, ან შეფასების ხერხი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების გამოყენებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით (AC) და სავალო ინსტრუმენტებში ინვესტიციებისთვის, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI), რაც გამოიწვევს მყისეულ საბუღალტრო ზარალს.

ფინანსური აქტივების ნებისმიერი შესყიდვა და გაყიდვა, რაც მოითხოვს რეგულაციის მიერ, ან ბაზრის პრინციპების მიერ დადგენილ ვადებში (შესყიდვები და გაყიდვები „რეგულარულად“) მიწოდებას, არღიცხულია, როგორც ვაჭრობის თარიღი, რომელიც, თავის მხრივ ის თარიღია, როდესაც კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს ფინანსური აქტივის მიწოდება. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება მაშინ, როდესაც საწარმო ხდება მხარე ინსტრუმენტის სახელშეკრულებო უზრუნველყოფისთვის.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები. კომპანია ფინანსურ აქტივებს შემდეგ შეფასების კატეგორიებად აჯგუფებს: რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით, რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და ამორტიზებული ღირებულებით (FVTPL, FVOCI და AC). სავალო ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია (i) კომპანიის ბიზნეს მოდელზე მართვისთვის და დაკავშირებული აქტივების პროტფელზე და (ii) აქტივის დამახასიათებელ ფულად ნაკადებზე.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნეს-მოდელი. ბიზნეს-მოდელი ასახავს, როგორ მართავს კომპანია თავის აქტივებს ფულადი ნაკადების წარმოსაქმნელად - კომპანიის მიზანია (i) აქტივიდან მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება (“სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ფლობილი”), თუ (ii) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ისე აქტივების გაყიდვიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების მიღება (“სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად და გასაყიდად ფლობილი”) ან, თუ არც (i) და არც (ii) შესაფერისი არ არის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „სხვა“ ბიზნეს-მოდელში და შეფასდება რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით.

აქტივების ჯგუფის (პორტფელის დონეზე) ბიზნეს-მოდელი განისაზღვრება კომპანიის მიერ შეფასების თარიღით ხელმისაწვდომი პორტფელისთვის დადგენილი მიზნების მისაღწევად განხორციელებული საქმიანობის შესახებ შესაფერისი მტკიცებულების საფუძველზე. კომპანიის მიერ ბიზნეს-მოდელის განსაზღვრისთვის გათვალისწინებული ფაქტორები მოიცავს პორტფელის დანიშნულებას და

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

შემადგენლობას, წარსულ გამოცდილებას იმასთან დაკავშირებით, როგორ მიიღებოდა ფულადი ნაკადები შესაბამისი აქტივებიდან, როგორ ხდება რისკების შეფასება და მართვა, როგორ ხდება აქტივების შედეგების შეფასება და როგორ ხდება ხელმძღვანელების ანაზღაურება.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები. როდესაც ბიზნეს-მოდელი გულისხმობს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად და გასაყიდად, მაშინ კომპანია შეაფასებს ფულადი ნაკადები წარმოადგენენ თუ არა მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდას (“SPPI”). ფინანსური აქტივების, ჩართული წარმოებულებით, მთლიანად გათვალისწინება ხდება იმის განსაზღვრისას, ფულადი ნაკადები შესაბამისობაშია თუ არა SPPI-მახასიათებელთან. შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები საბაზისო სასესხო ხელშეკრულების თანმიმდევრულია თუ არა, ანუ პროცენტში მხოლოდ საკრედიტო რისკი და ფულის დროითი ღირებულებაა გათვალისწინებული თუ სხვა საბაზისო რისკები და მოგების მარჟა.

როდესაც სახელშეკრულებო პირობები მოიცავს რისკს ან ცვალებადობას, რომელიც საბაზისო სასესხო ხელშეკრულებასთან არათავსებადია, მაშინ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და შეფასდება, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგება-ზარალში ასახვით. SPPI-ს შეფასება ხდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდეგ მისი ხელახლა შეფასება არ ხდება. იხილეთ შენიშვნა 3 კომპანიის მიერ თავის ფინანსურ აქტივებზე SPPI-ის ტესტის ჩატარებისას გამოყენებული კრიტიკული განსჯის შესახებ ინფორმაციისთვის.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია. ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან. საწარმოს არ შეუცვლია თავისი ბიზნეს-მოდელი მიმდინარე და შესადარის პერიოდებში და არ განუხორციელებია რეკლასიფიკაცია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის. კომპანია პერსპექტიულ საფუძველზე აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ამორტიზებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, შეფასებული სავალო ინსტრუმენტებისთვის, ისევე როგორც სასესხო ვალდებულებისა და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი რისკისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის. კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღით აფასებს ფინანსური და სახელშეკრულებო აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს წმინდა გაუფასურების ზარალს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში აისახება: (i) მიუკერძოებელი და ალბათობით შეწონილი თანხა, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების სპექტრის შეფასებით, (ii) ფულის დროითი ღირებულება და (iii) ყველა მიზანშეწონილი და დასაბუთებადი ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მეტისმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარსული მოვლენების, არსებული მდგომარეობისა და სამომავლო ვითარების პროგნოზის შესახებ.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები და სახელშეკრულებო აქტივები კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხის გარეშე. რაც შეეხება სალიზინგო ვალდებულებებსა და ფინანსურ გარანტიებს, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცალკე ანარიცხი აღიარდება ვალდებულების სახით კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, შეფასებული სავალო ინსტრუმენტებისთვის ამორტიზებული ღირებულების ცვლილება, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხის გარეშე, აღიარდება მოგება-ზარალში, ხოლო საბალანსო ღირებულების სხვა ცვლილებები სხვა სრულ შემოსავალში აღიარდება შემოსულობის სახით, შემცირებული რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, შეფასებული სავალო ინსტრუმენტებიდან წარმოქმნილი ზარალით.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კომპანია გაუფასურების სამეტაპიან მოდელს იყენებს, თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო ხარისხის ცვლილების საფუძველზე. ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გაუფასურებული არ არის თავდაპირველი აღიარებისას, კლასიფიცირდება 1-ელ ეტაპზე. 1-ლი ეტაპის ფინანსური აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდება თანხით, რომელიც უტოლდება სასარგებლო მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის იმ ნაწილს, რომელიც წარმოიქმნება მომდევნო 12 თვეში ან სახელშეკრულებო ვადის განამგლობაში, რომელიც უფრო ხანმოკლეა, დეფოლტის შემთხვევაში („12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“). თუ კომპანია გამოავლენს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მაშინ აქტივი გადააქვთ მე-2 ეტაპზე და მისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდება სასარგებლო მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე, ანუ სახელშეკრულებო ვადის ამოწურვამდე, მაგრამ მოსალოდნელი ავანსის გადახდების გათვალისწინებით, თუ ასეთი არსებობს (სასარგებლო მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“). იმის აღწერა, როგორ განსაზღვრავს კომპანია, რომ რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მოცემულია 27-ე შენიშვნაში. თუ კომპანია განსაზღვრავს, რომ ფინანსური აქტივის გაუფასურებულია, მაშინ ეს აქტივი მე-3 ეტაპზე გადააქვთ და მისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდება, როგორც სასარგებლო მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. აქტივების გაუფასურებისა და დეფოლტის კომპანიას განმარტებები ახსნილია 27-ე შენიშვნაში. შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივებისთვის („POCI“ აქტივები) მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ყოველთვის სასარგებლო მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით შეფასდება. 27-ე შენიშვნაში მოცემულია ინფორმაცია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლისას გამოყენებული მონაცემების, დაშვებებისა და შეფასების მეთოდების შესახებ, მათ შორის იმის ახსნა, კომპანია როგორ ითვალისწინებს პერსპექტიულ ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის მოდელში.

გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, როგორიცაა მაგალითად საკრედიტო ბარათები, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ როგორც სესხის, ისე უცნობი ვალდებულების კომპონენტი, კომპანია გამოიყენებს სახით მოსალოდნელ საკრედიტო რისკს შეაფასებს იმ პერიოდზე, როდესაც კომპანიის წინაშე საკრედიტო რისკია, ანუ მანამ, სანამ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არ შემცირდება საკრედიტო რისკის მართვის ღონისძიებებით, თუნდაც ეს პერიოდი მაქსიმალურ სახელშეკრულებო პერიოდს სცილდებოდეს. აღნიშნულის მიზეზია ის, რომ თანხის დაბრუნებისა და უცნობი ვალდებულების გაუქმების მოთხოვნის სახელშეკრულებო შესაძლებლობით საკრედიტო ზარალის რისკი არ შემოიფარგლება მსგავსი სახელშეკრულებო პერიოდით.

ფინანსური აქტივები – ჩამოწერა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ ასეობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას. კომპანიამ შეიძლება ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომელთა მიმართ აღსრულების ღონისძიებები ჯერ კიდევ ხორციელდება, როდესაც კომპანია ცდილობს იმ თანხების ამოღებას, რომელთა გადახდის სახელშეკრულებო ვადა დადგა, თუმცა, არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. კომპანია ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია ან აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღება სხვაგვარად შეწყდება ან (ბ) კომპანიას გადაცემული აქვს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადებული აქვს საკვალიფიკაციო გამტარი გარიგება, რომლითაც (i) გადაცემულია აგრეთვე აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად მთელი რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული. კონტროლი შენარჩუნებულია, როდესაც პარტნიორს არ გააჩნია აქტივის მთლიანობაში დაუკავშირებელ მესამე მხარეზე მიყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები – მოდიფიცირება. ზოგჯერ კომპანია ფინანსური აქტივების სხელშეკრულებო პირობებთან დაკავშირებით ხელახლა მოილაპარაკებს ან სხვაგვარად ახორციელებს მის მოდიფიცირებას. კომპანია შეაფასებს, სახელშეკრულებო პირობების ეს მოდიფიცირება არსებითია თუ არა, სხვა ფაქტორებთან ერთად შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: ნებისმიერი ახალი სახელშეკრულებო პირობა, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აქტივის რისკის პროფილზე (მაგ., მოგების წილი ან კაპიტალზე დაფუძნებული უკუგება), საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელოვანი ცვლილება, სხვა ვალუტაში გამოსახვა, ახალი გირაო ან საკრედიტო გაუმჯობესება, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აქტივთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკზე ან სესხის მნიშვნელოვნად გაზრდა, როდესაც მსესხებელი ფინანსურ სირთულეებს არ განიცდის.

თუ მოდიფიცირებული პირობები არსებითად განსხვავებულია, თავდაპირველი აქტივიდან ფულად ნაკადებზე უფლება შეწყდება და კომპანია შეწყვეტს თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარებას და ახალ აქტივს აღიარებს რეალური ღირებულებით. აღიარების თარიღად მიიჩნევა თავდაპირველი აღიარების თარიღი გაუფასურების შემდგომი გამოთვლის მიზნებისათვის, მათ შორის იმის განსაზღვრისთვის, ჰქონდა თუ არა ადგილი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან გაზრდას. კომპანია შეაფასებს ასევე ახალი სესხი ან სავალო ინსტრუმენტი აკმაყოფილებს თუ არა მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდის (“SPPI”) კრიტერიუმებს. აღიარებაშეწყვეტილი თავდაპირველი აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ახალი, მნიშვნელოვნად მოდიფიცირებული აქტივის რეალურ ღირებულებას შორის ნებისმიერი სხვაობა მოგება-ზარალში აღიარდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს განსხვავება მიეკუთვნება მფლობელებთან კაპიტალ-ოპერაციას.

ისეთ ვითარებაში, როდესაც ხელახლა მოლაპარაკება გამოწვეული იყო პარტნიორის ფინანსური სირთულეებით და თავდაპირველად შეთანხმებული გადახდების განხორციელების უუნარობით, კომპანია შეადარებს თავდაპირველ და გადასინჯულ ფულად ნაკადებს, რათა შეაფასოს აქტივის რისკები და უკუგება მნიშვნელოვნად განსხვავებულია თუ არა ხელშეკრულების მოდიფიცირების შედეგად. თუ რისკები და უკუგება არ იცვლება, მაშინ მოდიფიცირებული აქტივი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება თავდაპირველი აქტივისგან და მოდიფიცირება აღიარების შეწყვეტას არ გამოიწვევს. კომპანია ხელახლა გამოითვლის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებას მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ან კრედიტით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივებისთვის (“POCI” აქტივები) დისკონტირებით და მოდიფიცირების შემოსულობა ან ზარალს მოგება-ზარალში აღიარებს.

ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, გარდა (i) რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა: ეს კლასიფიკაცია მოიცავს წარმოებულებს, სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებს (მაგ., ფასიანი ქაღალდების მოკლე პოზიცია), პირობით ანაზღაურებას, რომელიც შემდგომი მიერ არის აღიარებული საწარმოთა გაერთიანებისას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებსაც ეს კატეგორია აქვთ მინიჭებული თავდაპირველი აღიარებისას და (ii) ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოწურება).

კომპანიასა და მის თავდაპირველ გამსესხებლებს შორის მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობების მქონე სავალო ინსტრუმენტების გაცვლა, ასევე არსებული ფინანსური ვალდებულებების პირობების მნიშვნელოვანი მოდიფიცირება, აღიარდება, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები მნიშვნელოვნად განსხვავებულია, თუ ახალი პირობებით ფულადი ნაკადების დისკონტირებული ახლანდელი ღირებულება, გადახდილი საკომისიოს ჩათვლით და მიღებული საკომისიოს გამოკლებით, რომელიც დისკონტირებულია

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, სულ მცირე 10%-ით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ახლანდელი ღირებულებისგან. როდესაც სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების მოდიფიცირება დაფარვის სახით აღირიცხება, ნებისმიერი გაწეული დანახარჯი ან საკომისიო აღიარდება დაფარვისას წარმოქმნილ შემოსულობის ან ზარალის ნაწილად. თუ გაცვლა ან მოდიფიცირება დაფარვის სახით არ აღირიცხება, ნებისმიერი დანახარჯით ან საკომისიოთი კორექტირდება ვალდებულების საბალანსო ღირებულება და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების დარჩენილ ვადაში.

ვალდებულებების მოდიფიცირება, რომელიც არ იწვევს დაფარვას, აღირიცხება, როგორც შეფასების ცვლილება, კუმულაციური ამოქაჩვის მეთოდით, შემოსულობის ან ზარალის მოგება-ზარალში ასახვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა ეკონომიკური შინაარსით მიეკუთვნება მფლობელებთან კაპიტალ-ოპერაციას.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან: (i) ისინი ფლობილია სახელშეკრულებო და იმ ფულადი ნაკადის მიღებისთვის, რომელიც მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდას ("SPPI") წარმოადგენს, და (ii) მათ მინიჭებული არა აქვთ რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულის კატეგორია.

ლიზინგის დასაწყისი. ლიზინგის დასაწყისად ითვლება ლიზინგის ხელშეკრულების გაფორმების, ან ვალდებულების აღების თარიღი, თუ ეს უკანასკნელი უფრო ადრე მოხდა. ამ განმარტების მიზნებისათვის, ვალდებულების აღება ხდება წერილობით, გარიგებაში მონაწილე მხარეთა ხელმოწერის საფუძველზე, და მასში კონკრეტულად არის აღწერილი გარიგების ძირითადი პირობები.

ლიზინგის ვადის ათვლა. ლიზინგის ვადის ათვლა იწყება იმ თარიღიდან, როცა ლიზინგის მიმღებს მიენიჭება ლიზინგის საფუძველზე გადაცემული აქტივით სარგებლობის უფლება. ეს არის ლიზინგის თავდაპირველი აღიარების თარიღი.

ფინანსური ლიზინგი. ფინანსური ლიზინგი არის ლიზინგის ტიპი, რომლის ფარგლებშიც ხდება აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა შემთხვევითი რისკის თუ სარგებლის არსებითად გადაცემა. საკუთრების უფლების გადაცემა, საბოლოო ჯამში, ან ხდება, ან არა. ლიზინგი ფინანსური იქნება თუ საოპერაციო, ეს დამოკიდებულია ტრანზაქციის არსზე და არა, კონტრაქტის ფორმაზე. ლიზინგი კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ლიზინგი იმ შემთხვევაში, თუ:

- ლიზინგის ხელშეკრულებით აქტივის საკუთრების უფლება ლიზინგის მიმღებს გადაეცემა ლიზინგის ვადის დასრულებისას;
- ლიზინგის მიმღებს აქვს აქტივის ყიდვის შესაძლებლობა იმ ფასად, რაც მოსალოდნელია, რომ იქნება საკმარისად დაბალი იმ რეალურ ღირებულებასთან შედარებით, რომელიც დაფიქსირდება ოფციის განხორციელების შესაძლებლობის თარიღზე, ისე რომ ლიზინგის დაწყებისას, გონივრული ჩანს ოფციის განხორციელების შესაძლებლობა;
- ლიზინგის ვადა აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადის ძირითად ნაწილს შეეხება, იმის მიუხედავად საკუთრების უფლების გადაცემა განხორციელებულია თუ არა;
- ლიზინგის დაწყებისას ლიზინგის მინიმალური შენატანების მიმდინარე ღირებულება მინიმუმ ლიზინგით შესაძენი აქტივის რეალური ღირებულების ტოლია; და/ან
- ლიზინგით შესაძენი აქტივი ისეთი სპეციფიკური ტიპის საგანია, რომლის გამოყენებაც მხოლოდ ლიზინგის მიმღებს შეუძლია ძირეული მოდიფიკაციის გარეშე.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური შემოსავალი ლიზინგით გათვალისწინებული ძირითადი თანხისა და პროცენტის საფუძველზე იანგარიშება და მისი აღიარება სისტემატურად ხდება ლიზინგის ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში.

საოპერაციო ლიზინგი. ამ შემთხვევაში კომპანია არის ლიზინგის გამცემი ლიზინგის ხელშეკრულების შესაბამისად და არ ხდება კომპანიის მიერ ლიზინგის მიმღებისათვის ლიზინგის საგნის ფლობასთან დაკავშირებული ყველა სახის შემთხვევითი რისკისა თუ სარგებლის არსებითი ფორმით გადაცემა, ხოლო ლიზინგის შენატანებიდან მისაღები თანხები აღიარებულია, როგორც ლიზინგის ვადის განმავლობაში მისაღები საიჯარო შემოსავლის წრფივი მეთოდით შემცირება. ლიზინგის ვადა ის პერიოდია, რომელიც გაუქმებას არ ექვემდებარება და რომლის განმავლობაშიც ლიზინგის მიმღები ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე მიიღებს აქტივს სხვა პირობების ამოქმედების პარალელურად, რომელთა ფარგლებშიც ლიზინგის მიმღებს აქვს აქტივის ლიზინგის წესით ფლობის გაგრძელების შესაძლებლობა, მომდევნო შენატანების პირობებში ან მათ გარეშე, ისე რომ ლიზინგის დაწყებისას განივრული ჩანს ლიზინგის მიმღების მიერ ამ შესაძლებლობის განხორციელების შესაძლებლობა. სააღრიცხვო პოლიტიკა საოპერაციო ლიზინგის ქვეშ აქტივებისთვის განსაზღვრულია ძირითად საშუალებებში, ქვემოთ. სხვა შემოსავალი ლიზინგის აქტივების შესაკეთებელი და საექსპლუატაციო ხარჯების დასაფარად შეყვანილია შემოსავალში საოპერაციო ლიზინგიდან.

წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში / ფინანსური შემოსავლის აღიარება. წმინდა ინვესტიციებს ფინანსურ ლიზინგში კომპანია ლიზინგში წმინდა ინვესტიციის ღირებულებით ასახავს. ლიზინგში წმინდა ინვესტიცია გამოიანგარიშება, როგორც ლიზინგის მინიმალური შენატანების ჯამი, რომელიც ლიზინგის მიმღების მიერ გარანტირებული თანხები და სხვა ნებისმიერი არაგარანტირებული ნარჩენი ღირებულება (ლიზინგში მთლიან ინვესტიციასთან ერთად), რომლის დისკონტირებაც ლიზინგში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით ხდება. ლიზინგში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი დისკონტირების ის განაკვეთია, რომელიც ლიზინგის დაწყებისას, ლიზინგში მთლიანი ინვესტიციის მიმდინარე ღირებულებას ლიზინგით შესაძენი აქტივის რეალური ღირებულებას უტოლებს.

განსხვავება ლიზინგში მთლიან ინვესტიციასა და წმინდა ინვესტიციას შორის არის არარეალიზებული ფინანსური შემოსავალი. არარეალიზებული ფინანსური შემოსავლის ამორტიზება ლიზინგის ვადის განმავლობაში ლიზინგის ხელშეკრულებით ნაგულისხმევი დისკონტრების განაკვეთის გამოყენებით ხდება.

ლიზინგის დაწყებამდე მომწოდებლებისათვის გადახდილი ავანსი აისახება, როგორც ლიზინგის ხელშეკრულებისათვის გადახდილი ავანსები, ან წინასწარ გადახდილი თანხები, როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი. ლიზინგის დაწყებამდე ლიზინგის მიმღებისგან კომპანიის მიერ მიღებული თანამონაწილობის თანხა აისახება, როგორც ლიზინგის ვადის დაწყებისას ფინანსურ ლიზინგში წმინდა ინვესტიციებით დაკორექტირებული კლიენტებისგან მიღებული ავანსები.

ლიზინგის ხელშეკრულებებისათვის გადახდილი ავანსები. ეს ავანსები მოიცავს ლიზინგის ფარგლებში გადასაცემი აქტივების შესასყიდად პროცენტთან საავანსო გადახდებს. ამგვარი ავანსების აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით და შემცირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სხვაობის სახით. ლიზინგის დაწყებისას, ლიზინგის კონტრაქტისათვის გადახდილი ავანსები ფინანსური ლიზინგში წმინდა ინვესტიციის სახით აღირიცხება.

შეწყვეტილი ლიზინგის ხელშეკრულებებიდან მისაღები თანხები. შეწყვეტილი კონტრაქტებიდან მისაღები თანხებს კომპანია აღიარებს ლიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტიდან. ამ მისაღები თანხების აღიარება ხდება იმ ოდენობით, რომელიც უდრის დარიცხული/მიღებული ფინანსური შემოსავლისა და ლიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის ლიზინგის მიმღების მიერ გადასახდელი ლიზინგის მინიმალური შენატანების დაუფარავი ნაწილის ჯამს. მისაღები თანხების ასახვა ამორტიზებული ღირებულებისა და შემცირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სხვაობის სახით ხდება.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ლიზინგის მიმღებზე გაცემული სესხები. შეწყვეტილი ლიზინგის ხელშეკრულებებიდან მისაღები თანხები გარკვეულ შემთხვევებში (როცა ისინი ვადაგადაცილებული ხდება) რეკლასიფიცირდება, როგორც ლიზინგის მიმღებებისათვის გაცემული სესხები და ყოფილ ლიზინგის მიმღებსა და კომპანიას შორის არსებობს შეთანხმება, რომლის თანახმადაც ძირითადი თანხის გადახდა დარიცხულ პროცენტთან ერთად უნდა მოხდეს. სესხების აღიარება საწყის ეტაპზე ხდება, როგორც მისაღები თანხების ღირებულებისა და გაუფასურების ზარალის სხვაობისა, ხოლო შემდგომ - როგორც ამორტიზებული ღირებულებისა და გაუფასურების ზარალის სხვაობა.

წინასწარ გადახდილი თანხები. წინასწარ გადახდილ თანხებში ძირითადად შედის სალიზინგო აქტივების დაზღვევისთვის გადახდილი ავანსები, საოპერაციო ლიზინგის ხელშეკრულების შესაბამისად ლიზინგით შესაძენი აქტივები და სხვა წინასწარ გადახდილი თანხები. წინასწარ გადახდილი თანხების ასახვა გაუფასურების შემცირებული ანარიცხის ოდენობით ხდება. თუ წინასწარ გადახდილი თანხების ამოღებადი ნაწილი ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, წინასწარ გადახდილი თანხის საბალანსო ღირებულება ამოღებად ღირებულებამდე მცირდება. მიღებული სხვაობის, ანუ გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება იმ წლის მოგებასა თუ ზარალში, რომელშიც ის წარმოიშვა. წინასწარგადახდილი თანხების გაუფასურების შეფასება ინდივიდუალურ დონეზე ხდება.

სხვა მოთხოვნები თავდაპირველად სხვა მოთხოვნების აღიარება რეალური ღირებულებით ხდება, შემდგომ კი - ამორტიზებული ღირებულებით ფასდება ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, შემცირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხით. მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი დგინდება მაშინ, როცა არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ კომპანიას არ შეეძლება ყველა მისაღები თანხის ამოღება ასეთი თანხებისთვის განსაზღვრული თავდაპირველი პირობებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ნიშნებად სახელდება დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური პრობლემები, დებიტორის გაკოტრების თუ ფინანსური რეოგრანიზაციის ალბათობა, და დაუფარავი თუ ვადაგადაცილებული ვალდებულებები.

ანარიცხის ოდენობა განისაზღვრება, როგორც აქტივის საბალანსო ღირებულებისა და სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების სხვაობა, რომელიც დისკონტირებულია საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის გამოყენებით, და ზარალის ოდენობის აღიარება ხდება მოგებასა და ზარალში. როცა სხვა მოთხოვნები ამოუღებადია, მათი ჩამოწერა სხვა მოთხოვნებისთვის არსებული სარეზერვო ანგარიშის გაქვითვის გზით ხდება. ადრე ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგებასა და ზარალში აისახება.

შეწყვეტილი ლიზინგის ხელშეკრულებების საფუძველზე დასაკუთრებული აქტივები. ლიზინგის ხელშეკრულებების შეწყვეტის შედეგად დაბრუნებული აქტივები ითვლება ისეთ აქტივებად, რომელთა გაყიდვა თუ ლიზინგით გადაცემა ხელახლა არის შესაძლებელი. თუ აქტივების გადაცემა საოპერაციო ლიზინგის წესით ხდება, ლიზინგის შენატანებიდან მისაღები თანხები აღიარებულია, როგორც ლიზინგის ვადის განმავლობაში მისაღები საიჯარო შემოსავლის წრფივი მეთოდით შემცირება. საწყის ეტაპზე, ლიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღისათვის, შეწყვეტილი ხელშეკრულებებიდან მიღებული აქტივების აღიარება რეალური ღირებულებით ხდება, ხოლო შემდგომ ხელახლა ფასდება ღირებულებისა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულების შედარებით მიღებული უმცირესი ოდენობით.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვა. ფინანსური მდგომარეობის ამსახველ ანგარიშგებაში ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვა და ასახვა ხდება მაშინ, როცა კომპანიას აქვს აღიარებული თანხების გაქვითვის კანონიერი უფლება და ასევე განზრახული აქვს, რომ ან მოახდინოს ანგარიშსწორება წმინდა ღირებულებით ან გაყიდოს აქტივი და პარალელურად დაფაროს ვალდებულება.

გაქვითვის ასეთი უფლება (a) არ უნდა იყოს დამოკიდებული სამომავლო მოვლენებზე და (b) უნდა იყოს იურიდიულად გამხოციელებადი მომდევნო გარემოებებში: (i) ბიზნესის წარმოების ჩვეულ პროცესში (ii) დეფოლტის შემთხვევაში და (iii) გადახდის უუნარობასა და ბანკროტის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებების ასახვა ხდება შემდეგნაირად: ღირებულებას აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ანგარიშგების თითოეული თარიღისათვის ხელმძღვანელობა აფასებს, ჩანს თუ არა ქონებისა და მანქანა-დანადგარების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა აფასებს ამოღებადი თანხის ოდენობას, რომელიც შემდეგნაირად გამოითვლება: ერთმანეთს ედრება აქტივის რეალური ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობა და გამოყენებითი ღირებულება და გამოიყენება უფრო დიდი სიდიდე. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებადი თანხამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალის უწყისში. წინა წლებში აქტივის აღიარებული გაუფასურების ზარალის უკუგატარება ხდება მაშინ, როცა იცვლება აქტივის გამოყენებითი ღირებულების განსაზღვრისათვის გაკეთებული შეფასება ან აქტივის სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯების სიდიდე.

გაყიდვიდან მიღებული თანხებისა და საბალანსო ღირებულების შედარებით განსაზღვრული ნამეტისა თუ ზარალის (დანაკარგის) აღიარება მოგებასა თუ ზარალში ხდება.

ცვეთა. მიწის ნაკვეთი არ ცვდება. ძირითადი საშუალებების სხვა საგნების ცვეთა წრფივი მეთოდის გამოყენებით შემდეგნაირად იანგარიშება მათი ღირებულების განაწილებისათვის ნარჩენ ღირებულებასთან მიმართებაში სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში:

	წლები
კომპიუტერები და საოფისე აღჭურვილობა	5
მანქანები და საოპერაციო ლიზინგის ფარგლებში გაცემული მანქანები	5
ავეჯი და აპარატურა	5
ლიზინგის ფარგლებში ჩატარებული სარემონტო სამუშაოები	6.5

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის ის თანხა, რომელიც შემდეგნაირად გამოითვლება: აქტივის განკარგვის შედეგად კომპანიის მიერ მიმდინარე პერიოდში მიღებულ თანხას გამოკლებული განკარგვის ხარჯები, თუ აქტივი უკვე მოძველებულია და ამჟამად მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს მოსალოდნელ მდგომარეობაშია. აქტივის ნარჩენი ღირებულება ნულის ტოლია, თუ კომპანია აქტივის გამოყენებას მისი ფიზიკური არსებობის ბოლომდე აპირებს. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო გამოყენების ვადები განხილვას და კორექტირებას ექვემდებარება, ანგარიშგების თითოეული თარიღისათვის, შესაძლებლობის ფარგლებში.

არამატერიალური აქტივები. კომპანიის არამატერიალურ აქტივებს შეზღუდული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვთ და ძირითადად მოიცავს კაპიტალიზებულ კომპიუტერულ პროგრამებს და ლიცენზიებს.

შეძენილი კომპიუტერული პროგრამებისა და ლიცენზიების კაპიტალიზაცია მათ შესაძენად და გამოსაყენებლად გაწეული ხარჯების კაპიტალიზაციის შედეგად ხდება.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ერთეულის მიერ კონტროლირებად, იდენტიფიცირებად და უნიკალურ პროგრამებთან უშუალოდ ასოცირებული განვითარების ხარჯები აისახება როგორც არამატერიალური აქტივები, თუ არსებობს იმის ალბათობა, რომ სტაბილურად მზარდი ეკონომიკური სარგებლის შემოსული ნაკადები ხარჯებს აღემატება. კაპიტალიზებულ ხარჯებში შედის პროგრამის შემქმნელი გუნდის თანამშრომელთა ხარჯები და შესაბამისი ზედნადები ხარჯების სათანადო წილი. კომპიუტერულ პროგრამასთან ასოცირებული ყველა სხვა ხარჯის, მაგალითად, მოვლა-შენახვის, გატარება მისი გაწევისას ხდება.

არამატერიალური აქტივების ღირებულების შემცირება წრფივი მეთოდის გამოყენებით ხდება სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში:

ლიზინგის ERP პროგრამა
სხვა არამატერიალური აქტივები

წლები:
10
5-7

გაუფასურების შემთხვევაში, არამატერიალური აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება შემდეგნაირად: ერთმანეთს ედრება გამოყენებითი ღირებულება და რეალური ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობა და იზომება უდიდესით.

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონებას კომპანია ფლობს საიჯარო შემოსავლის მისაღებად ან იმ კაპიტალის ღირებულების გასაზრდელად და რომელიც არ არის კომპანიის მიერ დაკავებული. საინვესტიციო ქონების აღიარება თავდაპირველად ხდება მისი ღირებულებით (ამაში შედის ტრანზაქციის ხარჯებიც) და შემდგომ, ხდება მისი ხელახალი შეფასება რეალური ღირებულებით, რომელიც თავის მხრივ საბაზრო პირობების გათვალისწინებით კორექტირდება ანგარიშგების პერიოდის ბოლოს.

საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება არის ის ფასი, რომლის სანაცვლოდაც შესაძლებელია მისი გაცვლა ინფორმირებულ, მხოლოდ საკუთარი ინტერესის მქონე პირებს შორის გარიგებების ფარგლებში.

აქტიურ ბაზარზე ფასების არარსებობის პირობებში, კომპანია იყენებს სხვადასხვა წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას, მათ შორის:

- (ა) სხვადასხვა ტიპის, მდგომარეობის თუ ლოკაციის მქონე ქონებისთვის დაწესებული ფასები აქტიურ ბაზარზე, რომლებიც სწორედ ამ განსხვავებების ასახვის მიზნით არის დაკორექტირებული;
- (ბ) მსგავსი ქონებისთვის ნაკლებად აქტიურ ბაზრებზე დაწესებული ბოლოდროინდელი ფასები, რომლებიც ტრანზაქციის თარიღიდან მოყოლებული ეკონომიკურ პირობებთან მიმართებაში განხორციელებული ცვლილებების ასახვის მიზნით არის დაკორექტირებული; და
- (გ) სანდო წყაროების მეშვეობით შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებული საპროგნოზო მაჩვენებლები, რომლებიც დასტურდება ნებისმიერი ლიზინგის თუ სხვა არსებული კონტრაქტების პირობებით და (შესაძლებლობის ფარგლებში) გარე წყაროებით, როგორებიცაა მაგალითად იმავე ლოკაციაზე და პირობებში, მსგავსი ქონებისთვის განსაზღვრული მიმდინარე საბაზრო იჯარის ოდენობა, და რომლის ფარგლებშიც ფულადი ნაკადების ოდენობისა და დროის გამოსაანგარიშებლად გაურკვევლობის მიმდინარე საბაზრო შეფასების ამსახველი დოსკონტირების განაკვეთები გამოიყენება.

კომპანიის საინვესტიციო ქონების საბაზრო ღირებულება დამოუკიდებელი შემფასებლების ანგარიშებზე დაყრდნობით განისაზღვრება. ხსენებულ შემფასებლებს გააჩნიათ აღიარებული და რელევანტური პროფესიული კვალიფიკაცია და წარსული გამოცდილება მსგავს ლოკაციაზე განთავსებულ და მსგავს კატეგორიას მიკუთვნებულ ქონების შეფასებასთან მიმართებაში.

საინვესტიციო ქონების საბაზრო ღირებულების ცვლილებების შედეგად მიღებული შემოსულობისა თუ დანაკარგის ასახვა მოგებასა თუ ზარალის წლიურ მაჩვენებელში ხდება და წარდგენილია ცალკე.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კლიენტებისგან მიღებული ავანსები. ლიზინგის მიმღებებისგან მიღებული ავანსები წარმოადგენს ლიზინგის ვადის დაწყებამდე მიღებულ შენატანებს, რომელთა გატარებაც ამორტიზებული ღირებულებით ხდება. ეს ავანსები ფინანსურ ლიზინგში წმინდა ინვესტიციებით იქვითება კლიენტის მიერ გადასახდელი პირველი სალიზინგო შენატანის თარიღზე.

ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები აისახება მაშინ, როცა კონტრაქტები შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. სავაჭრო და სხვა კრედიტორების ასახვა ამორტიზებული ღირებულებით ხდება.

სესხები ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან. ბანკებიდან მიღებული სესხების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით. შესაბამისად, გადასახდელი თანხები ამორტიზებული ღირებულებით გატარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის შესაბამისად.

სუბორდინირებული სესხები. სუბორდინირებული სესხები მოიცავს გრძელვადიან საბანკო სესხებს და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის შესაბამისად. სუბორდინირებული სესხების დაფარვა ნაკლებად პრიორიტეტულია ყველა სხვა კრედიტორთან შედარებით ლიკვიდაციის შემთხვევაში.

გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები კომპანიის მიერ გამოშვებული ობლიგაციებია. მათი ასახვა ამორტიზებული ღირებულებით ხდება. თუ კომპანია შეისყიდის მის მიერვე გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებს, მათი ამოღება ხდება ფინანსური მდგომარეობის ამსახველი ანგარიშგებიდან და ვალდებულების საბალანსო ღირებულებისა და ანაზღაურების სხვაობა აისახება ვალის განულების შედეგად მიღებულ ნამეტ შემოსავალში.

რეზერვები. რეზერვების აღიარება ხდება მაშინ, როცა კომპანიას წარსული შემთხვევებიდან გამომდინარე წარმოეშვა იურიდიული თუ კონსტრუქციული ვალდებულება და არსებობს ალბათობა იმისა, რომ ეკონომიკური სარგებლების მქონე რესურსების გადინება იქნება საჭირო ხსენებული ვალდებულების შესასრულებლად, ხოლო ამ უკანასკნელის შეფასება სანდო წყაროებით არის შესაძლებელი.

სააქციო კაპიტალი. სააქციო კაპიტალის აღიარება მისი ღირებულებით ხდება. ნაღდი ფულის ნაცვლად კაპიტალში აქტივების სახით განხორციელებული შენატანი მისი განხორციელების თარიღისათვის განსაზღვრული რეალური ღირებულებით აისახება.

პირობითი ვალდებულებები. პირობითი ვალდებულებების აღიარება არ ხდება ფინანსურ უწყისებში, თუ არ არსებობს ალბათობა იმისა, რომ რესურსების გადინება იქნება საჭირო ვალდებულების შესასრულებლად, ხოლო ამ უკანასკნელის შეფასება სანდო წყაროებით არის შესაძლებელი. პირობითი აქტივის აღიარება არ ხდება ფინანსურ უწყისებში, არამედ აისახება მაშინ, როცა წარმოიშვა ეკონომიკური სარგებლების გადინების ალბათობა.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები. დერივაციული ფინანსური ინსტრუმენტები რეალური ღირებულებით აღირიცხება. ვალუტის გაცვლის მიზნით კომპანია კონტრაქტს ბანკებთან ახორციელებს ანაბრების ჩათვლას. ამგვარი ანაბრები, თუმცა სამართლებრივად განცალკევებულია, აგრეგირებულია და ერთ წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტად აღირიცხება (სავალუტო სვოპი) ნეტოს საფუძველზე, როდესაც (i) ანაბრები ფორმდება ერთსა და იმავე დროს და ერთმანეთის გათვალისწინებით, (ii) მათი კონტრაქტები ერთი და იგივე მხარეა, (iii) ისინი დაკავშირებულია ერთსა და იმავე რისკთან, და (iv) არ არსებობს ცალსახა ბიზნეს მიზანი იმისათვის, რომ ეს ოპერაციები ცალ-ცალკე იყოს სტრუქტურირებული, რადგან მიზნის მიღწევა ერთი ოპერაციის ფარგლებშიც არის შესაძლებელი. ყველა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი აქტივებად აღირიცხება, თუ რეალური ღირებულება დადებითია, ხოლო ვალდებულებებად - თუ უარყოფითი. ცვლილებები წარმოებული ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებაში შედის მოგებაში ან ზარალში. კომპანია არ იყენებს ჰეჯირების აღრიცხვას.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მოგების გადასახადი. ფინანსურ ანგარიშგებებში მოგების გადასახადები ასახულია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსათვის მიღებული ან არსებითად მიღებული კანონმდებლობის საფუძველზე.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცვლილებები, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (გარდა ბანკებისა, საკრედიტო კავშირებისა, სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებულ მოგებაზე, თუ არ მოხდა ამ უკანასკნელის განაწილება ან დივიდენდის სახით განაწილების დაგეგმვა.

15 % საშემოსავლო გადასახადი ერიცხება სრულ თანხას (ე.ი. წმინდა დივიდენდს ემატება 5%-იანი წყაროსთან დაკავების გადასახადი, ასეთი არსებობის შემთხვევაში და გაიყოფა 0.85-ზე) ფიზიკური პირებისა თუ არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში. 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებული მოგებიდან რეზიდენტი იურიდიული პირებისათვის გადახდილი დივიდენდები საგადასახადო დაბეგვრას არ ექვემდებარება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში მიღებული მოგებიდან განაწილებული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით სრულ თანხაზე, რომელსაც აკლდება შესაბამისი საგადასახადო კრედიტი, რომელიც თავის მხრივ შემდეგნაირად გამოითვლება: დეკლარირებული და დასაბეგრი მოგებისთვის გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე პერიოდის მთლიან წმინდა მოგებაში, და შემდეგ გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდის განაწილებისთვის დაკისრებულ რეალურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილების მოგების გადასახადი ხარჯად აისახება იმ პერიოდში, როცა მოხდება დივიდენდების დეკლარირება, იმისდამოკიდებულად, თუ რეალურად როდის ან რომელი პერიოდისთვის განხორციელდება გადახდა.

დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი მაინც ერიცხება ხარჯებს თუ სხვა სახის გადახდილ თანხებს, რომლებიც არაეკონომიკურ აქტივობებს უკავშირდება, იქნება ეს აქტივების თუ მომსახურებების უფასო მიწოდება თუ წარმომადგენლობითი ხარჯების გადაცემა, და თუ ეს აჭარბებს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულ თანხას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე ქვეყნებში დარეგისტრირებული პირებისათვის გადახდილი ყველა სახის ავანსი და ამ პირებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ტიპის ოპერაციები, ისევე როგორც ფიზიკური პირებისა თუ არარეზიდენტებისათვის გაცემული სესხები ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. ეს გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც საგადასახადო კრედიტების გამოკლების შედეგად არის დაკორექტირებული შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე ქვეყნებში დარეგისტრირებული პირებისთვის გადახდილი ავანსების ან ფიზიკურ პირებსა თუ არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების სანაცვლოდ მიღებულ აქტივებთან თუ მომსახურებებთან მიმართებაში, აისახება გადასახადებში გარდა მოგების გადასახადისა საოპერაციო ხარჯების ფარგლებში.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გაურკვეველი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის გაურკვეველი საგადასახადო პოზიციების ხელახალი შეფასება ხელმძღვანელობის მიერ ხდება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებების ასახვა ხდება მოგების გადასახადის პოზიციებისთვის, რასაც ხელმძღვანელობა უფრო მოელოდება, ვიდრე იმას, რომ არ მოხდეს დამატებითი გადასახადების დაკისრება საგადასახადო ორგანოების მიერ პოზიციების ექვექცეუ დაყენების შემთხვევაში. შეფასება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციიდან გამომდინარეობს, რომელიც მიღებული ან არსებითად მიღებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ან ამ საკითხებთან დაკავშირებით მიღებულ სასამართლო თუ სხვა სახის გადაწყვეტილებებს ეფუძნება. ვალდებულებები ჯარიმების, პროცენტის თუ გადასახადებისთვის, გარდა მოგების გადასახადისა, აისახება ხელმძღვანელობის მიერ სანდო წყაროების გამოყენებით პროგნოზების გაკეთების შედეგად იმ ხარჯებთან მიმართებაში, რომლებიც საანგარიშო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების შესრულებას ხმარდება.

გაურკვეველი საგადასახადო პოზიციების კორექტირებები მოგების დასაბეგრ გადასახადში აისახება.

დამატებითი ღირებულების გადასახადი (“დღგ”). დასაბეგრი დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება ან (ა) მომხმარებლებისგან მისაღები თანხების ამოღებისას ან (ბ) მომხმარებლებისათვის საქონლის თუ მომსახურებების მიწოდებისას, შედარებით ადრე დამდგარი მოვლენის დროს. ჩასათვლელი დამატებითი ღირებულების გადასახადის გამოყენება კი, როგორც წესი, დასაბეგრი დღგ-ს გადასაფარავად ხდება ამ უკანასკნელის შემცირების მიზნით, დღგ-ს ანგარიშგაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები დღგ-ს გადახდას წმინდა ღირებულებით ითხოვენ. ძირითადი საშუალებების შეძენასთან დაკავშირებული ჩასათვლელი დღგ-ს გადავადება 5-დან 10 წლამდე ხდება ისეთი პირების შემთხვევაში, რომელთა ბრუნვის 20%-ს დღგ-სგან გათავისუფლება ეხება ჩათვლის უფლებით.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება. შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება დარიცხვის მეთოდით ხდება, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ხდება ნასესხები თანხებისთვის გადახდილი სესხის გაცემის საკომისიოების (თუ ასეთი თანხების ოდენობა დიდია) გადავადება (სხვა დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებთან ერთად) და აღიარება სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირების სახით. საკომისიო შემოსავლების/ხარჯების აღიარებისას დარიცხვის მეთოდი გამოიყენება.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. კომპანიის საოპერაციო და საანგარიშო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიყვანება ქართულ ლარში საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სპოტკურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები იმ პრევალირებადი სავალუტო კურსის მიხედვით აისახება, რომელიც ოპერაციის თარიღზე ფიქსირდება. კურსების გადაყვანის შედეგად მიღებული მოგება და ზარალი კი შევა უცხოური ვალუტის გაცვლითი ოპერაციების შედეგად მიღებულ წმინდა ნამეტ შემოსავალში.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დასრულებული გაცვლითი კურსი, რომელიც გამოყენებულ იქნა უცხოური ვალუტის ბალანსების კონვერტაციისთვის შემდეგნაირად დაფიქსირდა: 1 აშშ დოლარი = 2. 2.6766 ლარი (2017: 1 აშშ დოლარი = 2.5922ლარი); 1 ევრო= 3.0701 ლარი (2017: 1 ევრო = 3.1044ლარი).

პერსონალის ხარჯები და პერსონალთან დაკავშირებული შენატანები. ხელფასები, ანაზღაურებადი შვებულებები და ბიულეტენები, ბონუსები და არაფულადი სარგებლები აისახება იმ წელიწადში, როდესაც შესაბამისი მომსახურებების გაწევა მოხდა კომპანიის თანამშრომლების მიერ.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2018 წლის 1 იანვრამდე მიღებული პრინციპები (მხოლოდ შესადარისები)

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და შეფასება (მხოლოდ შესადარისები). კომპანია ფინანსურ აქტივებს და ვალდებულებებს აღიარებს მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც ის ხდება მონაწილე მხარე ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებებში. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ჩვეულებრივი გზით შეძენა და გაყიდვა აისახება ვაჭრობის თარიღით. ჩვეულებრივი გზით ფინანსური ინსტრუმენტების შეძენა შემდგომში შეფასდება რეალური ღირებულებით, ვაჭრობის თარიღსა და განხორციელების თარიღს შორის და აღირიცხება იმავე გზით, როგორც შეძენილი ფინანსური ინსტრუმენტები.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, იმ შემთხვევაში თუ ფინანსური აქტივი ან ვალდებულება არ არის აღიარებული რეალური ღირებულებით, მოგება ზარალის მეშვეობით, დამატებული ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც პირდაპირ მიკუთვნებადი შენაძენთან ან ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების გამოცემასთან. სააღრიცხვო პოლიტიკა ამ საგნების შემდგომი გადაფასებისთვის გამჟღავნებულია რეტროსპექტიულ სააღრიცხვო პოლიტიკაში, რომელიც ამ შენიშვნაშია განმარტებული.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა (მხოლოდ შესადარისები). კომპანია ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია ან აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღება სხვაგვარად შეწყდება ან (ბ) კომპანიას გადაცემული აქვს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადებული აქვს საკვალიფიკაციო გამტარი გარიგება, რომლითაც (i) გადაცემულია აგრეთვე აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად მთელი რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

გაუფასურების ზარალი ფინანსურ აქტივებზე აღირიცხება ამორტიზირებულ ღირებულებაში. (მხოლოდ შესადარისები). გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში მაშინ, როდესაც წარმოიქმნება ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად („ზარალის გამომწვევი მოვლენები“), რომელიც მოხდა ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარების შემდეგ და რომლისაც გავლენა აქვს ისეთ ფინანსური აქტივების ან ფინანსური აქტივების ჯგუფის დადგენილ სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობასა და დროზე, რომლებიც შესაძლოა სარწმუნოდ შეფასდეს. კომპანია მისგან ლიზინგის მიმღებებს კლასიფიცირებას უკეთებს როგორც მნიშვნელოვან და არა მნიშვნელოვანს, გაუფასურების ანარცხის დადგენის მიზნით და აფასებს გაუფასურებისთვის ინდივიდუალურად ან კოლექტიურად.

გარკვეული თვისობრივი და რაოდენობრივი მოვლენები არის გამოვლენილი როგორც გაუფასურების მტკიცებულება ინდივიდუალურად და კოლექტიურად შეფასებული მეიჯერებისთვის, იმაში დასარწმუნებლად, რომ ზარალის გამომწვევი მოვლენა გამოვლენილია რაც შეიძლება ადრე.

თუ არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ გაუფასურების ზარალის გამომწვევმა მოვლენამ მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის დაკისრება გამოიწვია, კომპანია აფასებს მისგან ლიზინგის მიმღებებს ინდივიდუალურ საფუძველზე და აფასებს ზარალის ოდენობას, როგორც სხვაობას, აქტივის საბალანსო ღირებულებასა და დადგენილი სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულს შორის. კომპანია იყენებს მის საუკეთესო შეფასებას სამომავლო აღდგენის შესაფასებლად, სცენარის ანალიზისა და შესაბამისი არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით საანგარიშო პერიოდზე, რაც მოიცავს ნეგატიურ ცვლილებებს ზოგად მაკროეკონომიკურ გარემოში ან ინდუსტრიაში, რომელშიც მსესხებელი აწარმოებს საქმიანობას.

კომპანია განსაზღვრავს, რომ არ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ინდივიდუალურად შეფასებულმა ფინანსურმა აქტივმა გამოიწვია გაუფასურება, მნიშვნელოვანი თუ არამნიშვნელოვანი, ის აფასებს მსგავს აქტივს გაუფასურებად კოლექტიურად.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

იმისათვის, რომ გამოითვალოს გაუფასურების ანარიცხი კოლექტიურად შეფასებული ლიზინგის პორტფელისთვის, კომპანია ადგენს შემდგომ რისკის პარამეტრებს: დეფოლტის და დეფოლტის შედეგად გამოწვეული ზარალის ალბათობას, რომელიც ემყარება ისტორიულ გამოცდილებას. შიდა თუ გარე გარემოებების შეცვლის შემთხვევაში, მაშინ, როდესაც ისტორიული მონაცემები აღარ ასახავს მიმდინარე სიტუაციას, კომპანია აკორექტირებს რისკის პარამეტრებს მიმდინარე დაკვირვებადი მონაცემების მიხედვით, რათა აისახოს იმჟამინდელი მდგომარეობა, რომელმაც არ იმოქმედა წარსულ მოვლენებზე და იმისათვის, რომ მოიცვალოს წარსული მდგომარეობის გავლენები, რომლებიც უკვე აღარ არსებობს.

კომპანია აუქმებს მანამდე აღიარებულ გაუფასურების ზარალს თუ, ერთხელ უკვე გამოვლენილი გაუფასურების ზარალის ოდენობა მცირდება და ეს შემცირება დაკავშირებულია ობიექტურ მოვლენასთან. მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი უქმდება ანარიცხის აღრიცხვის კორექტირებით, მოგება ზარალის მეშვეობით. იმისათვის, რომ გაუქმდეს ანარიცხები ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ლიზინგის მიმღებებისთვის უნდა არსებობდეს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ლიზინგის მიმღებების ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესდა ან გაუმჯობესება არის უზრუნველყოფის დაფარვაში.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

კომპანიის ხელმძღვანელობა აკეთებს გათვლებს და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს მომდევნო საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების აღრიცხვაზე. მუდმივად ხდება გათვლებისა და დასკვნების შეფასება ხელმძღვანელობასს გამოცდილებიდან და სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე, მათ შორის მომავალში მოსალოდნელი ისეთი ფაქტების გათვალისწინებით, რომლებიც გარკვეული გარემოებების გათვალისწინებით გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელად მიიჩნევა. სააღრიცხო პოლიტიკების გამოყენებისას, გარდა გათვლებისა, ხელმძღვანელობა ასევე აკეთებს გარკვეულ დასკვნებს. იმ დასკვნებში, რომლებსაც ყველაზე ხელშესახები ეფექტის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებებში ასახულ ოდენობებზე შეუძლიათ, ხოლო გათვლებში, რომლებიც მნიშვნელოვნად ცვლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას მომდევნო საანგარიშგებო წლის განმავლობაში მოიაზრება შემდეგი:

საინვესტიციო ქონების შეფასება. საინვესტიციო ქონება აღირიცხება რეალური ღირებულებით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საერთაშორისო შემფასებელი კომპანიის მიერ მომზადებული ანგარიშების საფუძველზე.

არსებული ეკონომიკური გარემოდან გამომდინარე, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ტრანზაქციების სიხშირე დაბალია საქართველოს საფონდო ბაზარზე. ამის მიუხედავად, ხელმძღვანელობის შეფასების მიხედვით, საკმარისია ბაზარზე განხორციელებული აქტივობები მსგავს ქონებებთან დაკავშირებით მარტივი ოპერაციების შესადარისი ფასების გასარკვევად, რაც თავის მხრივ საჭიროა კომპანიის საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების განსასაზღვრად. დეტალური ინფორმაცია მოცემულია შენიშვნაში 14.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკაში (გაგრძელება)

ლიზინგის შეწყვეტილი ხელშეკრულებების საფუძველზე დასაკუთრებული აქტივები. ამ აქტივების რეალურ ღირებულებას კომპანია ადგენს ლიზინგის შესაბამისი ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღზე გარე შემფასებლის მიერ ჩატარებული შეფასების საფუძველზე. წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას კომპანია განსაზღვრავს საანგარიშგებო თარიღისათვის, რაც შემდეგნაირად გამოითვლება: შეფასებულ გასაყიდ ფასს აკლდება გაყიდვასთან დაკავშირებით შეფასებული ყველა სახის ხარჯი. რეალური ღირებულება და გასაყიდი ფასი შიდა და გარე შემფასებლების მიერ საბაზრო შედარების მიდგომის გამოყენებით განისაზღვრება. საგადასახადო ანგარიშგების მიზნებისათვის, აქტივების კლასიფიკაცია ხდება ფიქსირებულ აქტივებად და მათი საწყისი ღირებულება განისაზღვრება საქართველოს საგადასახადო კოდექსის მუხლების შესაბამისად, ხოლო ამორტიზებული ღირებულება კი იანგარიშება კომპანიის მიერ იჯარით გასაცემი აქტივის ყიდვის თარიღიდან.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება მნიშვნელოვანი შეფასებაა და გულისხმობს სამომავლო ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზირებას, რაც უფრო გრძელვადიანია პროგნოზების ვადები, მით უფროა გამოყენებული ხელმძღვანელობის განსჯა და ეს განსჯები შესაძლოა იყოს გაურკვევლობის წყარო. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ ინფორმაცია გაქვეყნებულია 27-ე შენიშვნაში. საკრედიტო ზარალის ანარიცხზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს შემდეგ კომპონენტებს: დეფოლტის განმარტება, მნიშვნელოვნად გაზრდილი საკრედიტო რისკი (SICR), დეფოლტის ალბათობა (“PD”), დეფოლტის რისკი (“EAD”) და ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (“LGD”), ისევე როგორც მაკროეკონომიკური სცენარების მოდელები. ჯგუფი რეგულარულად მიმოიხილავს და ამტკიცებს მოდელებსა და მონაცემებს, რათა შეამციროს სხვაობები მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებებსა და ფაქტობრივ საკრედიტო ზარალს შორის.

მაკრო-ეკონომიკური სცენარები: კომპანია შეიმუშევს საპროგნოზო ინფორმაციას სამი მაკროეკონომიკური სცენარით იმისათვის, რომ გათვალისწინოს მიუკერძოებელი და ალბათობით შეწონილი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. ისინი წარმოადგენენ საბაზისო სცენარს (მაღალი ხარისხის ალბათობის მქონე) და ორ ნაკლებად სავარაუდო სცენარს, რომლებიც მოიხსენიება როგორც ოპტიმისტური (მაღალი ხარისხის ალბათობით მოსალოდნელზე უკეთესი) და პესიმისტური (მაღალი ხარისხის ალბათობით მოსალოდნელზე უარესი). საბაზისო სცენარის შეწონილი მაჩვენებელი დადგენილია 50% და 25% ესადაგება მარალი ხარისხის ალბათობით მოსალოდნელზე უარეს სცენარს.

ფასს 9-ის გაუფასურების მეთოდოლოგიის მიხედვით, კომპანია თავისი პორტფელის კლასიფიცირებას ახდენს სამ ეტაპად:

- ეტაპი I – აქტივები, რომელთა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა არ დაფიქსირებულა თავდაპირველი აღიარების შემდეგ;
- ეტაპი II – აქტივები, რომელთა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ;
- ეტაპი III – საკრედიტო გაუფასურების მქონე დავალიანებები.

ეტაპზე I განთავსებული დავალიანებებისთვის კომპანია აღრიცხავს 12 თვის მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს, ხოლო ეტაპებზე II და III მოცემული დავალიანებებისთვის - არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკაში (გაგრძელება)

ფასს 9-ის ძირითადი ეფექტი უკავშირდება ეტაპი II-ისათვის განსაზღვრულ კლასიფიცირებას და საპროგნოზო ინფორმაციის შეტანას რეზერვების კალკულაციაში. ეტაპისთვის I რაიმე სახის დამატება არ მომხდარა, რადგან ბასს 39-ის მეთოდოლოგიის შესაბამისად, კომპანია ისედაც იყენებდა 12 თვის დანაკარგების იდენტიფიცირების პერიოდს (LIP).

ეტაპი II-ზე კლასიფიცირების მიზნებისათვის, კომპანია იყენებს როგორც რაოდენობრივ, ისე თვისობრივ კრიტერიუმებს, მათ შორის, და არა მხოლოდ:

- 30 დღიანი ვადაგადაცილება;
- მსესხებლის რისკის კატეგორიის გაუარესება თავდაპირველი აღიარების შემდგომ;

ფასს 9-ის მეთოდოლოგიის შესაბამისად, კომპანიამ ასევე შეცვალა დეფოლტის განმარტების კრიტერიუმი ამ უკანასკნელის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად კომპანიის შიდა სახელმძღვანელო პრინციპებთან. დეფოლტის განახლებული განმარტება შემდეგ კრიტერიუმებს მოიცავს: (i) 90 დღიანი ვადაგადაცილება (ii) პრობლემური რესტრუქტურისა და (iii) სხვა კრიტერიუმები, რომლებიც მიუთითებენ მსესხებლის უუნარობის ალბათობაზე ვალდებულებების დაფარვასთან მიმართებაში.

რეზერვების დონეზე ფასს 9-ის ეფექტის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საფუძველი საპროგნოზო ინფორმაციის დამატებაა (FLI). კომპანია საპროგნოზო ინფორმაციას იყენებს როგორც ინდივიდუალური ასევე კოლექტიური შეფასების პროცესში. საპროგნოზო ინფორმაციის გათვალისწინების მიზნებისათვის, კომპანია შემდეგ სამ სცენარს განიხილავს:

- საბაზისო (მაღალი ხარისხის ალბათობის მქონე)
- ოპტიმისტური (მაღალი ხარისხის ალბათობით მოსალოდნელზე უკეთესი)
- პესიმისტური (მაღალი ხარისხის ალბათობით მოსალოდნელზე უარესი)

კომპანია ამზადებს საბაზისო მაკრო სცენარს და ითვალისწინებს სხვადასხვა წყაროებიდან - საქართველოს ეროვნული ბანკი, ფინანსთა სამინისტრო, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ასევე სხვა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები მიღებულ პროგნოზებს ზოგადად აღიარებულ საბაზრო მოლოდინებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

საბაზისო საპროგნოზო მაკრო-ეკონომიკური დაშვებებისთვის მიკუთვნებული შეწონილის ცვლილება 10%-ით დაუყოვნებლივი პესიმისტური დაშვების დონის მიმართ გამოიწვევდა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზრდას 13 ათასი ლარით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შესაბამისი ცვლილება ოპტიმისტური დაშვებებისთვის გამოიწვევდა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შემცირებას 6 ათასი ლარის ოდენობით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

10%-ანი ზრდა ან შემცირება PD შეფასებებში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოიწვევდა მთლიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხების ზრდას ან შემცირებას 41 ათასი (40 ათასი ლარის) ოდენობით. 10%-იანი ზრდა ან შემცირება LGD შეფასებებში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოიწვევდა მთლიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხების ზრდას ან შემცირებას 165 ათასი ლარის ოდენობით (165 ათასი ლარი).

კომპანია ითვლის გაუფასურების ზარალის ოდენობას თითოეული სცენარის შემთხვევაში. საკრედიტო ზარალის საბოლოოდ მოსალოდნელი ციფრების მისაღებად იყენებს ალბათობის საშუალო შეწონილი სიდიდის მიდგომას, რომლის მიხედვითაც თითოეული სცენარის ალბათობები შეწონილი სიდიდის სახით გამოიყენება.

5 ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ - მიღება. კომპანიამ „ფასს“ 9 - ფინანსური ინსტრუმენტები - 2018 წლის 1 იანვარს მიიღო. კომპანიამ აირჩია არ შეეცვალა შესადარისი ციფრები და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების კორექტირებები აღიარა გაუნაწილებელი მოგების საწყის ნაშთში, სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღით, 2018 წლის 1 იანვარი. შედეგად, ფასს 7-ის - ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები - გამოყენებულ იქნა მხოლოდ მიმდინარე პერიოდში. შესადარისი პერიოდის განმარტებითი შენიშვნებში გამეორებულია გასული წლის განმარტებითი შენიშვნებში ასახული ინფორმაცია.

მიმდინარე პერიოდში მიღებული ახალი სააღრიცხვო პოლიტიკა აღწერილია მე-3 შენიშვნაში. 2018 წლის 1 იანვრამდე გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც შესადარის ინფორმაციაზე ვრცელდება, აღწერილია მე-3 შენიშვნაში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯერებულია „ასს“ 39-ის შესაბამისად შეფასებული კომპანიის ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება და ახალი შეფასების კატეგორიები „ფასს“ 9-ის შემოღებისას, 2018 წლის 1 იანვარს.

შეფასების კატეგორია			საბალანსო ღირებულება ბასს 39-ის მიხედვით (საბოლოო ნაშთი 2017 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით)	შედეგი				საბალანსო ღირებულება ფასს 9-ის მიხედვით (საწყისი ნაშთი 2018 წ. 1 იანვრის მდგომარეობით)
ბასს ფასს 9 39			ხელახალი შეფასება ECL*	სხვა	სავალდებულო	ნებაყოფლობითი	რეკლასიფიკაცია	
ათასობით ლარში								
ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	FLR	AC	145,236	-	-	-	-	145,236
გაუფასურების ანარიცხი			(1,459)	(778)	-	-	-	(2,237)
სულ ინვესტიცია ფინანსური ლიზინგში			143,777	(778)	-	-	-	142,999

5 ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)

ფასს 15, „შემოსავლები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან „ (გამოიცა 2014 წლის 28 მაისს და ძალაშია 2018 წლის პირველი იანვრიდან დაწყებულ შემდგომ წლიურ პერიოდებზე) და შესწორებები ფასს 15-ში „შემოსავლები მომხმარებელთან გაფორმებული კონტრაქტებიდან“ (გამოიცა 2016 წლის 12 აპრილს და ძალაშია 2018 წლის პირველი იანვრიდან დაწყებულ შემდგომ წლიურ პერიოდზე). კომპანიამ მიიღო ფასს 15, მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან შემოსავალი თავდაპირველი ამიღების თარიღით 2018 წლის 1 იანვარი. ახალი სტანდარტი მიღებულ იქნა მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მეთოდის გამოყენებით, კუმულაციური გავლენით, რომელიც აღიარებულია გადაუნაწილებელ მოგებაში 2018 წლის 1 იანვარს. სტანდარტმა შემოიღო ის ძირითადი პრინციპი, სადაც შემოსავალი აღიარებული უნდა იყოს მაშინ, როდესაც საქონელი ან მომსახურება გადაეცემა მომხმარებელს გარიგების ფასში. ნებისმიერი განსხვავებული საქონლის ან მომსახურების კომპლექტი, უნდა აღიარდეს ცალკე, და ყველა ფასდათმობა და დაქვითვა სახელშეკრულებო ფასიდან უნდა იყოს ზოგადად განაწილებული განცალკევებით ელემენტებთან. როდესაც გათვალისწინება იცვლება ნებისმიერი მიზეზით, უნდა აღიარდეს მინიმალური თანხები, თუ ისინი არ არიან ანულირების მნიშვნელოვანი რისკის ქვეშ. მომხმარებელთან ხელშეკრულებების უზრუნველსაყოფად გამოწვეული ხარჯები უნდა იყოს კაპიტალიზირებული და ამორტიზირებული იმ პერიოდზე, როდესაც ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სარგებელი მოხმარებადია. სტანდარტს კომპანიისათვის მატერიალური გავლენა არ ჰქონია.

ქვემოთ ჩამოთვლილი შესწორებული სტანდარტები კომპანიისთვის ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ არ ჰქონია გავლენა:

- ფასს 2-ის შესწორებები, აქციებზე დაფუძნებული გადახდა (გამოცემულია 2016 წლის 20 ივნისს და ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ შემდგომ წლიურ პერიოდებზე).
- ფასს 4-ის შესწორებები, - „ფასს 9-ს მიღება ფინანსური ინსტრუმენტები ფასს 4 სადაზღვევო ხელშეკრულებებთან ერთად“ (გამოცემულია 2016 წლის 12 სექტემბერს და ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ შემდგომ წლიურ პერიოდებზე იმ საწარმოებისთვის, რომლებმაც არჩიეს მიეღოთ დროებითი გამონაკლისის შესაძლებლობა ან როდესაც სწარმო პირველად იყენებს ფასს 9 იმ საწარმოთათვის, რომლებმაც არჩიეს შესწორების გამოყენების შერეული მიდგომა).
- ფასს-ების ყოველწლიური გაუმჯობესება, 2014-2016 წლების ციკლი - ფასს 1-ის და ბასს 28-ის შესწორებები (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს და ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ შემდგომ წლიურ პერიოდებზე).
- IFRIC (საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების კომიტეტი) ფაისკ 22-ის „უცხოური ვალუტის ტრანზაქციები და წინასწარი გათვალისწინება“ (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს და ძალაშია 2018 წლის იანვრიდან დაწყებულ შემდგომ წლიურ პერიოდებზე)
- შესწორებები ბასს 40-ზე- „ტრანსფერები და საინვესტიციო ქონება“ (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს და ძალაშია 2018 წლის იანვრიდან დაწყებულ შემდგომ წლიურ პერიოდებზე)

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

გამოცემულ იქნა გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული პერიოდებისთვის და რომლებიც კომპანიამ მანამდე არ შემოიღო. მცირე შესწორებები ფასს-ებში

ფასს 16, „ლიზინგი“ (გამოცემულია 2016 წლის 13 იანვარს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ახალი სტანდარტით დადგენილია ლიზინგის აღიარების, შეფასების, წარდგენის და გამჟღავნების პრინციპები. ყველა ლიზინგის შედეგია ლიზინგის გამცემის მიერ აქტივის გამოყენების უფლების მიღება სალიზინგო ურთიერთობის დასაწყისში და როდესაც ლიზინგის გადახდები დროთა განმავლობაში ხორციელდება, დაფინანსების მიღება. შესაბამისად, ფასს-ით 16 გამოცემულია ლიზინგის კლასიფიკაცია საოპერაციო ლიზინგად და ფინანსურ ლიზინგად, როგორც ეს მოითხოვებოდა ასს-ით 17 და სანაცვლოდ შემოღებულია ლიზინგის აღრიცხვის ერთი მოდელი. ლიზინგის გამცემს მოეთხოვება აღიაროს: (ა) აქტივები და ვალდებულებები ყველა ლიზინგისთვის, რომელთა ხანგრძლივობა აღემატება 12 თვეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბაზისო აქტივის ღირებულება დაბალია; და (ბ) სალიზინგო აქტივების ცვეთა შემოსავლის ანგარიშგებაში განაცალკევოს სალიზინგო ვალდებულებების პროცენტისაგან. ფასს 16 არსებითად გადააქვს ასს 17-ში მოცემული ლიზინგის მიმღების აღრიცხვის მოთხოვნები. შესაბამისად, ლიზინგის მიმღები განაგრძობს თავისი ლიზინგის კლასიფიკაციას საოპერაციო ლიზინგად და ფინანსურ ლიზინგად, და ამ ორი ტიპის ლიზინგს განსხვავებულად აღრიცხვას.

კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ის გამოიყენებს სტანდარტს, მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მეთოდის გამოყენებით, შესადარისობის ხელახლა გაცხადების გარეშე. კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას, რაც შეადგენს 1,248 ათას ლარს, შესაბამისი ლიზინგის ვალდებულების საპირწონედ 2019 წლის 1 იანვარს. საოპერაციო ლიზინგის ვალდებულებები გამჟღავნებულია შენიშვნა 31-ში და ეს ვალდებულებები შემდეგია:

2018 წლის 31 დეკემბერი/ 2019 წლის 1 იანვარი	
სულ სამომავლო მინიმალური სსალიზინგო გადახდები არაგაუქმებადი საოპერაციო ლიზინგებისთვის	1,241
ამაჟამინდელი ღირებულების დისკონტირების გავლენა	(138)
სულ, აქტივის გამოყენების უფლებით გავლენისა და ლიზინგის ვალდებულებების გავლენა	1,103

ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ - (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება, არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი სადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას, სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებას ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ კომპანიას ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების კომპანიიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული კომპანია ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს. კომპანია არ მოელის ახალი სტანდარტის რაიმე გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფაისკ 23 - „განუსაზღვრელობა მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით“ - (გამოცემულია 2017 წლის 7 ივნისს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს). ასს 12-ში მითითებულია, როგორ უნდა აღირიცხოს მიმდინარე და გადავადებული გადასახადი, მაგრამ არ არის განსაზღვრული, როგორ უნდა აისახოს გაურკვევლობის გავლენა. ამ ინტერპრეტაციაში განმარტებულია, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული ასს 12-ში მოცემული აღიარებისა და შეფასების მოთხოვნები, როდესაც გაურკვევლობა არსებობს, მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით. საწარმომ უნდა განსაზღვროს, თითოეული გაურკვეველი საგადასახადო მიდგომა განიხილოს ცალ-ცალკე, თუ ერთ ან მეტ გაურკვეველ საგადასახადო მიდგომასთან ერთად, იმის მიხედვით, თუ რომელი მიდგომა უზრუნველყოფს გაურკვევლობის გადაჭრის უკეთესად პროგნოზირებას. საწარმომ უნდა ივარაუდოს, რომ საგადასახადო ორგანო შეისწავლის იმ თანხებს, რომელთა შემოწმების უფლებაც გააჩნია და შემოწმებისას მას ეცოდინება ყველა დაკავშირებული ინფორმაცია. თუ საწარმო დაასკვნის, რომ მოსალოდნელი არ არის საგადასახადო ორგანოს მიერ გაურკვეველი გადასახადის მოცემული მიდგომის მიღება, გაურკვევლობის ეფექტი აისახება დაკავშირებული დასაბეგრი მოგების ან ზარალის, საგადასახადო ბაზის, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტის ან საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრაში ყველაზე მეტად სავარაუდო თანხის ან მოსალოდნელი ღირებულების გამოყენებით; ეს დამოკიდებულია საწარმოს მოლოდინზე იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი მეთოდით იქნება უზრუნველყოფილი გაურკვევლობის აღმოფხვრის უკეთესად განჭვრეტა. საწარმო სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით ასახავს ფაქტებისა ან გარემოებების ცვლილების ან ახალი ინფორმაციის გავლენას, რაც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ დაშვებებზე ან შეფასებებზე. კომპანია არ მოელის ამ ახალი სტანდარტის მასზე გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაში.

სააქციო საზოგადოება თიბისი ლიზინგი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები- 2018 წლის 31 დეკემბერი
(თანხები მოცემულია ათასობით ქართულ ლარში)

7 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე ანგარიშები ბანკებში	18,639	7,865
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	18,639	7,865

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს თიბისი ბანკში კომპანიის მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულია 17,371 ათასი (2016: 6,920 ათასი ლარი) ლარის ოდენობის ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების ნაშთების საკრედიტო ხარისხი 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება შემდეგნაირად შეჯამდეს:

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
"BB-" "BB+" რეიტინგების მქონე ბანკებში მიმდინარე ანგარიშები	17,619	7,370
"B-" to "B+" რეიტინგების მქონე ბანკებში მიმდინარე ანგარიშები	26	185
რეიტინგის არმქონე ბანკებში მიმდინარე ანგარიშები	994	310
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	18,639	7,865

ბანკში განთავსებული გარკვეული ნაშთები დაგირავდა ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხების უზრუნველსაყოფად. ფულადი სახსრების ნაშთები, რომლებიც დაგირავებულია სესხების უზრუნველსაყოფად წინა წელს განმარტებულია შენიშვნა 17-ში.

ინფორმაცია დაკავშირებული მხარის ნაშთებსა და ოპერაციებთან დაკავშირებით მოცემულია შენიშვნაში 32.

8 ბანკებიდან მისაღები თანხები

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ბანკებში სამ თვით ან მეტი თავდაპირველი ვადით განთავსებული თანხები	-	4,432
შემცირებული: გაუფასურების ანარიცხით	-	-
სულ ბანკებიდან მისაღები თანხები	-	4,432

ბანკებიდან მისაღებ თანხებში შედის სამ თვეზე მეტი თავდაპირველი ვადით ბანკებში განთავსებული თანხები, რომლებიც დაგირავდა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, თუ ასეთს ადგილი ჰქონდა.

სააქციო საზოგადოება თიბისი ლიზინგი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები- 2018 წლის 31 დეკემბერი
(თანხები მოცემულია ათასობით ქართულ ლარში)

9 გადახდილი ავანსები

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
სალიზინგო აქტივების დაზღვევისთვის გადახდილი ავანსები	2,463	1,966
სხვა გადახდილი ავანსები	24	79
საოპერაციო ლიზინგით გასაცემი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები	3	968
სულ გადახდილი ავანსები	2,490	3,013

10 ლიზინგის ხელშეკრულებებისათვის გადახდილი ავანსები

ლიზინგის ხელშეკრულებებისათვის გადახდილი ავანსები წლის ბოლოს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 36,068 ათას ლარს (2017: 25,758 ათასი ლარი). ლიზინგის ხელშეკრულებებისათვის გადახდილი ყველა ავანსი მიმდინარეა, და შესაბამისად კლასიფიცირდება, როგორც წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში, როგორც წესი, ანგარიშგების თარიღიდან ორი თვის განმავლობაში.

შენიშვნაში 30 მოცემულია ლიზინგის ხელშეკრულებებისათვის გადახდილი ავანსების რეალური ღირებულება.

11 წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში

წმინდა (ნეტო) და მთლიანი (ბრუტო) ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში:

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
მთლიანი ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	270,870	191,707
გამოუმუშავებელი ფინანსური შემოსავალი	(64,706)	(46,471)
ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	206,164	145,236
გაუფასურების ანარიცხი	(2,457)	(1,459)
სულ წმინდა ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში	203,707	143,777

მთლიანი ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში:

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
1 წლის ვადაში გადასახდელი თანხები	122,218	85,818
1-დან 5 წლამდე ვადაში გადასახდელი თანხები	148,652	105,889
სულ მთლიანი ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში	270,870	191,707

ქვემოთ მოცემული ცხრილი მოიცავს ფინანსური ლიზინგის მოთხოვნის საკრედიტო რისკის ანალიზს. ფინანსური ლიზინგის მოთხოვნის საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ქვემოთ ასევე წარმოადგენს კომპანიის მაქსიმალურ რისკს ამ აქტივებზე:

სააქციო საზოგადოება თიბისი ლიზინგი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები- 2018 წლის 31 დეკემბერი
(თანხები მოცემულია ათასობით ქართულ ლარში)

11 წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში (გაგრძელება)

	ეტაპი 1 (12 თვიანი ECL)	ეტაპი 2 (მუდმივი ECL SICR-ისათვის)	ეტაპი 3 (მუდმივი ECL საკრედიტო გაუფასურებულ ისთვის)	სულ
<i>ათასობით ლარი</i>				
ფინანსურ ლიზინგში ინვესტიციების რისკის კატეგორია				
- ძალიან დაბალი	143,980	-	-	143,980
- დაბალი	32,951	2,350	-	35,301
- საშუალო	-	6,712	-	6,712
- მაღალი	-	1,799	-	1,799
- დეფოლტი	-	-	18,372	18,372
მთლიანი საბალანსო ღირებულება	176,931	10,861	18,372	206,164
საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(629)	(230)	(1,598)	(2,457)
საბალანსო ღირებულება	176,302	10,631	16,774	203,707

მომდევნო ცხრილი ასახავს ფინანსურ ლიზინგში ინვესტიციების საკრედიტო ზარალის ანარიცხის და მთლიანი საბალანსო ღირებულების ცვლილებებს საანგარიშო პერიოდის დასაწყისსა და ბოლოს შორის:

	საკრედიტო ზარალის ანარიცხი				მთლიანი საბალანსო ღირებულება			
	ეტაპი 1 (12 თვიანი ECL)	ეტაპი 2 (მუდმივი ECL SICR-ისათვის)	ეტაპი 3 (მუდმივი ECL საკრედიტო გაუფასურებულ ისთვის)	სულ	ეტაპი 1 (12 თვიანი ECL)	ეტაპი 2 (მუდმივი ECL SICR-ისათვის)	ეტაპი 3 (მუდმივი ECL საკრედიტო გაუფასურებულ ისთვის)	სულ
<i>ათასობით ლარი</i>								
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობი თ	480	50	929	1,459	128,604	11,471	5,161	145,236
<i>ფასს 9-ს გავლენა</i>	355	411	12	778	-	-	-	-
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობი თ	835	461	941	2,237	128,604	11,471	5,161	145,236

ტრანსფერები:

სააქციო საზოგადოება თიბისი ლიზინგი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები- 2018 წლის 31 დეკემბერი

(თანხები მოცემულია ათასობით ქართულ ლარში)

	საკრედიტო ზარალის ანარიცხი				მთლიანი საბალანსო ღირებულება			
	ეტაპი 1 (12 თვიანი ECL)	ეტაპი 2 (მუდმივი ECL SICR-ისათვის))	ეტაპი 3 (მუდმივი ECL საკრედიტო გაუფასურებუ ლისთვის)	სულ	ეტაპი 1 (12 თვიანი ECL)	ეტაპი 2 (მუდმივი ECL SICR-ისათვის)	ეტაპი 3 (მუდმივი ECL საკრედიტო გაუფასურებუ ლისთვის)	სულ
ათასობით ლარი								
- 12 თვიან მოსალოდნე საკრედიტო ზარალში მე-2 და მე-3 ეტაპიდან პირველ ეტაპზე	357	(357)	-	-	1,052	(1,033)	(19)	-
- მუდმივი საკრედიტო ზარალში პირველი და მე-3 ეტაპიდან მე-2 ეტაპზე	(9)	9	-	-	(3,996)	4,078	(82)	-
- საკრედიტო- გაუფასურებუ ლში (პირველი და მე-2 ეტაპიდან მე-3 ეტაპზე)	(367)	(20)	387	-	(10,605)	(4,533)	15,138	-
ახალი წარმოშობილი ი ან შესყიდული პერიოდის განმავლობაში შეწყვეტილი ალიარება	472	95	240	807	119,650	7,347	5,228	132,225
ნაწილობრივი ხელახალი გადახდა	(103)	(81)	(717)	(901)	(36,040)	(5,373)	(3,541)	(44,954)
უცხოური ვალუტის გავლენა	-	-	-	-	(24,985)	(1,468)	(4,887)	(31,340)
საკრედიტო ხარისხის ცვლილებისგა ნ	-	-	-	-	1,250	94	289	1,633
გამოწვეული ცვლილებები	(558)	122	748	312	-	-	-	-
სხვა მომდროებები	-	-	-	-	2,003	277	1,085	3,365
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობი თ	627	229	1,599	2,455	176,933	10,860	18,372	206,165

სააქციო საზოგადოება თიბისი ლიზინგი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები- 2018 წლის 31 დეკემბერი
(თანხები მოცემულია ათასობით ქართულ ლარში)

11 წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში (გაგრძელება)

ფინანსურ ლიზინგში წმინდა ინვესტიციების გაუფასურების ანარიცხებში მოძრაობები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	2017 წლის 31 დეკემბერი
გაუფასურების ანარიცხი წლის დასაწყისში	1,292
გაუფასურების ანარიცხი წლის განმავლობაში	263
წლის განმავლობაში ამოუღებელი ჩამოწერილი თანხები	(96)
გაუფასურების ანარიცხი წლის ბოლოს	1,459

ფინანსური ლიზინგის წმინდა ინვესტიციების საკრედიტო ხარისხის ანალიზი შემდეგია:

	2017 წლის 31 დეკემბერი
არც ვადაგადაცილებულ არც გაუფასურებული	
ორ წელზე მეტი გამოცდილების მქონე კლიენტები	38,071
ახალი კლიენტები	78,409
სულ მიმდინარე და არ გაუფასურებული	116,480
ვადაგადაცილებული მაგრამ არ გაუფასურებული	
- 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	16,653
- 30-დან 90 დღემდე ვადაგადაცილება	8,480
სულ ვადაგადაცილებული მაგრამ არ გაუფასურებული	25,133
გაუფასურებული ხელშეკრულებები-მთლიანად	
- 30-დან 90 დღემდე ვადაგადაცილება	343
- 90-დან 180 დღემდე ვადაგადაცილება	2,223
- 180-დან 360 დღემდე ვადაგადაცილება	339
- 360 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	718
სულ გაუფასურებული(*)	3,623
სულ ფინანსურ ლიზინგში ინვესტიცია-მთლიანად	145,236
გაუფასურების ზარალის ანარიცხი	(1,459)
სულ ფინანსურ ლიზინგში წმინდა ინვესტიცია	143,777

(*)სულ გაუფასურებული ლიზინგები მოიცავს ორივეს, კოლექტიურად და ინდივიდუალურად გაუფასურებულ ლიზინგებს.

კომპანიის პოლიტიკა იყო გაეკეთებინა ყოველი ლიზინგის კლასიფიცირება როგორც „მიმდინარე, არა გაუფასურებულისა“ ან „ვადაგადაცილებულის, მაგრამ არ გაუფასურებულისა“ სანამ არ გამოვლინდება ლიზინგის გაუფასურების გარკვეული ობიექტური მტკიცებულება. პირველადი ფაქტორები, რის მიხედვითაც კომპანიამ ჩათვალა, რომ ლიზინგი გაუფასურებულია იყო ლიზინგის მიმღების ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, მისი ვადაგადაცულებულის სტატუსი და სალიზინგო აქტივის სარეალიზაციო უნარი.

ჩვეულებრივ, კომპანია სტრუქტურირებას ახდენს მისი ფინანსური ლიზინგის ხელშეკრულებებისა ისე, რომ ლიზინგის მიმღები ავანსად იხდის მინიმალურ გადასახადს, რომელიც შეადგენს აღჭურვილობის შესასყიდი თანხის მინიმალურ 20% ლიზინგის პირობების დაწყებისთვის. კომპანია კანონიერად განკარგავს ლიზინგის აქტივებს სალიზინგო პერიოდის განმავლობაში. ფინანსური ლიზინგის კონტრაქტით გათვალისწინებული აქტივის განკარგვის უფლება გადაეცემა ლიზინგის მიმღებს საკონტრაქტო ვადის ბოლოს, და ექვემდებარება სალიზინგო ვალდებულებების სრულ გადახდას. ზოგადად, ლიზინგის ვადები 5 წლამდეა.

სააქციო საზოგადოება თიბისი ლიზინგი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები- 2018 წლის 31 დეკემბერი

(თანხები მოცემულია ათასობით ქართულ ლარში)

11 წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში (გაგრძელება)

მოთხოვნილი გირაოს ტიპი და ოდენობა დამოკიდებულია კონტრაქტის საკრედიტო რისკის შეფასებაზე. მოპოვებული გირაოს ძირითადი ტიპებია:

- ლიზინგის აქტივები (ინვენტარი და მოწყობილობა)
- პირველადი შენატანი
- უძრავი ქონება

გირაოს ფინანსური გავლენა წარმოდგენილია გირაოს ღირებულების გამჟღავნებით (i) იმ აქტივებისთვის, რომლების უზრუნველყოფაც და სხვა საკრედიტო გაუმჯობესებაც ტოლია ან აჭარბებს აქტივის საბალანსო ღირებულებას (ქარბად უზრუნველყოფილი აქტივები) და (ii) იმ აქტივებისთვის, რომლების უზრუნველყოფაც და სხვა საკრედიტო გაუმჯობესებაც ნაკლებია აქტივის საბალანსო ღირებულებაზე (არასაკმარისად უზრუნველყოფილი აქტივები).

გირაოს გავლენა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ქარბად უზრუნველყოფილი აქტივები		არასაკმარისად უზრუნველყოფილი აქტივები	
	აქტივების საბალანსო ღირებულება	უზრუნველყოფის რეალური ღირებულება	აქტივების საბალანსო ღირებულება	უზრუნველყოფის რეალური ღირებულება
ფინანსურ ლიზინგში ინვესტიცია - მთლიანად	166,476	253,613	39,688	33,460

გირაოს გავლენა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ქარბად უზრუნველყოფილი აქტივები		არასაკმარისად უზრუნველყოფილი აქტივები	
	აქტივების საბალანსო ღირებულება	უზრუნველყოფის რეალური ღირებულება	აქტივების საბალანსო ღირებულება	უზრუნველყოფის რეალური ღირებულება
ფინანსურ ლიზინგში ინვესტიცია - მთლიანად	126,186	194,471	19,049	14,390

გარკვეული ლიზინგის მოთხოვნა და გადახდილი ავანსები ლიზინგის კონტრაქტების მიმართ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაგირავდა ბანკებისგან და სხვა ფინანსური ინსტიტუტებისგან აღებული სესხების უზრუნველსაყოფად. (შენიშვნა 17)

გირაოს რეალური ღირებულება ვადაგადაცილებულ მაგრამ არ გაუფასურებულ ლიზინგების მოთხოვნებთან მიმართებაში და გაუფასურებულ ლიზინგის მოთხოვნებთან მიმართებაში, შეფასებული შიდა შემფასებლების მიერ, საკრედიტო განყოფილებაში, ყოველწლიურ საფუძველზე 31 დეკემბერს იყო:

	2017 წლის 31 დეკემბერი
გირაოს რეალური ღირებულება - ვადაგადაცილებული მაგრამ არ გაუფასურებული	37,891
გირაოს რეალური ღირებულება- გაუფასურებული	5,117

სააქციო საზოგადოება თიბისი ლიზინგი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები- 2018 წლის 31 დეკემბერი
(თანხები მოცემულია ათასობით ქართულ ლარში)

12 ძირითადი საშუალებები

	მიწა	კომპიუტერები და საოფისე აღჭურვილობა	ავეჯი და უძრავი ინვენტარი	ავტომობი ლები	საოპერაციო ლიზინგით გაცემული ავტომობილები	სალიზინგო ღირებულების მატება	სულ
თვითღირებულება 2017							
წლის 1 იანვრის							
მდგომარეობით	10	125	209	123	-	160	627
დაგროვილი ცვეთა	-	(51)	(30)	(29)	-	(25)	(135)
საბალანსო ღირებულება							
2017 წლის 1 იანვარს	10	74	179	94	-	135	492
დამატებები	-	108	42	188	2,436	92	2,866
გასვლები	-	(3)	-	(19)	-	-	(22)
(თვითღირებულება)	-	(27)	(44)	(21)	(88)	(35)	(215)
ცვეთის ხარჯი	-	2	-	5	-	-	7
გასვლები (დაგროვილი ცვეთა)	-						
საბალანსო ღირებულება							
2017 წლის 31 დეკემბრის	10	154	177	247	2,348	192	3,128
მდგომარეობით							
თვითღირებულება 2017							
წლის 31 დეკემბრის							
მდგომარეობით	10	230	251	292	2,436	252	3,471
დაგროვილი ცვეთა	-	(76)	(74)	(45)	(88)	(60)	(343)
საბალანსო ღირებულება							
2017 წლის 31 დეკემბრის	10	154	177	247	2,348	192	3,128
მდგომარეობით							
დამატებები	-	30	81	212	7,566	87	7,976
გასვლები	-	-	-	(52)	(236)	(221)	(509)
(თვითღირებულება)	-	-	-	-	(514)	-	(514)
ტრანსფერი ფინანსურ	-	-	-	-	(815)	(35)	(985)
ლიზინგში და	-	-	-	-	80	80	182
დაბრუნებულ აქტივებში	-	(32)	(42)	(61)			
ცვეთის ხარჯი	-	-	-	22			
გასვლები (დაგროვილი ცვეთა)	-						
საბალანსო ღირებულება							
2018 წლის 31 დეკემბრის	10	152	216	368	8,429	103	9,278
მდგომარეობით							
თვითღირებულება 2018							
წლის 31 დეკემბრის							
მდგომარეობით	10	260	332	452	9,252	118	10,424
დაგროვილი ცვეთა	-	(108)	(116)	(84)	(823)	(15)	(1,146)
საბალანსო ღირებულება							
2018 წლის 31 დეკემბრის	10	152	216	368	8,429	103	9,278
მდგომარეობით							

სააქციო საზოგადოება თიბისი ლიზინგი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები- 2018 წლის 31 დეკემბერი

(თანხები მოცემულია ათასობით ქართულ ლარში)

13 არამატერიალური აქტივები

					ლიზინგის ERP პროგრამა	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
თვითღირებულება	2017 წლის 1 იანვრის				486	36	522
მდგომარეობით							
დაგროვილი ამორტიზაცია					-	(14)	(14)
საბალანსო ღირებულება	2017 წლის 1 იანვრის				486	22	508
მდგომარეობით							
დამატებები					227	-	227
ამორტიზაციის ხარჯი					-	(18)	(18)
საბალანსო ღირებულება	2017 წლის 31 დეკემბრის				713	4	717
მდგომარეობით							
თვითღირებულება	2017 წლის 31 დეკემბრის				713	36	749
მდგომარეობით							
დაგროვილი ამორტიზაცია					-	(32)	(32)
საბალანსო ღირებულება	2017 წლის 31 დეკემბრის				713	4	717
მდგომარეობით							
დამატებები					432	21	453
ამორტიზაციის ხარჯი					(9)	(1)	(10)
საბალანსო ღირებულება	2018 წლის 31 დეკემბრის				1,136	24	1,160
მდგომარეობით							
თვითღირებულება	2018 წლის 31 დეკემბრის				1,145	57	1,202
მდგომარეობით							
დაგროვილი ამორტიზაცია					(9)	(33)	(42)
საბალანსო ღირებულება	2018 წლის 31 დეკემბრის				1,136	24	1,160
მდგომარეობით							

2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ლიზინგის ERP (საწარმოს რესურსების დაგეგმვის) კომპიუტერული პროგრამა სატესტო რეჟიმში მუშაობდა და შესაბამისად საამორტიზაციო ხარჯი არ დარიცხულა.

14 საინვესტიციო ქონება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საინვესტიციო ქონება შედგება მიწის ნაკვეთისგან (10,839 კვ.მ.) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებისგან (2,847 კვ.მ.), რომელიც კომპანიამ საჯარო აუქციონზე 2012 წლის 25 დეკემბერს შეიძინა. შესასყიდი ფასი 890,513 ლარს შეადგენდა. თავდაპირველად ქონების აღიარება მოხდა ლიზინგის შეწყვეტილი ხელშეკრულებების შედეგად დასაკუთრებული აქტივების სახით ლიზინგის მიმღების (გლდანულა სს) მიერ ფინანსურ ლიზინგში განხორციელებული წმინდა ინვესტიციის დაუფარავი ნაშთის გასასწორებლად. თუმცა, ლიზინგის მიმღებმა უარი თქვა არსებული ვალდებულების დაფარვაზე და აუქციონის შედეგების გასაუქმებლად მიმართა სასამართლოს. 2016 წელს სასამართლომ გადაწყვეტილება კომპანიის სასარგებლოდ გამოიტანა და აქედან გამომდინარე, კომპანიის ხელმძღვანელობას მიერ ხელახლა მოხდა ქონების ფლობის მიზანშეწონილობის შეფასება და გადაწყვიტა მისი საკუთრებაში დატოვება კაპიტალის გაზრდის მიზნებისათვის, ამრიგად, მოხდა ქონების რეკლასიფიკაცია საინვესტიციო ქონებად. 2017 და 2018 წლებში წინა ლიზინგის მიმღებთან დაკავშირებულმა პირმა გამოიყენა უფლება და გაასაჩივრა ზემოხსენებული სასამართლო გადაწყვეტილება სააპელაციო და უზენაეს სასამართლოებში მაგრამ ორივე ინსტანციამ კომპანიის სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღო ისევ. 2019 წლის თებერვალში, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით, ქონებას მოეხსნა ყადაღა. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ დაუწყია რაიმე სახის დეველოპერული თუ სამშენებლო

14 საინვესტიციო ქონება (გაგრძელება)

სამუშაოები მის კუთვნილ საკუთრებაზე და არც მისი სამომავლო გამოყენება გადაუწყვიტავს. როგორც ასეთი, მიღებული საკუთრება ითვლება კაპიტალის შენამატად ფლობილად.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება 2,100 ათას ლარად შეფასდა. შეფასება განახორციელა აღიარებული და შესაბამისი პროფესიონალური კვალიფიკაციით გამორჩეულმა შემფასებლების დამოუკიდებელმა კომპანიამ, რომელსაც მსგავსი მდებარეობისა და კატეგორიის აქტივების შეფასების წარსული გამოცდილება გააჩნია. შედარების პროცესში შემფასებლებმა გამოიყენეს სამი შესადარისი ანალოგი (რეგისტრირებული გაყიდვა და/ან გაყიდვის შეთავაზება), რისთვისაც კომპანიის აქტივებსა და შესადარის ანალოგებს შორის არსებული განსხვავებების საფუძველზე მოახდინეს ფასების კორექტირება გარკვეულ დონეზე. რეალური ღირებულების იერარქიაში რეალური ღირებულება მესამე დონის შეფასებას მიეკუთვნება. საინვესტიციო ქონების გადაფასების შედეგად მიღებული 199 ათასი ლარის ოდენობის ზარალის აღიარება რეალური ღირებულებით 2018 წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მოხდა.

თვითღირები ლებით გადატანილი დასაკუთრებუ ლი აქტივებიდან	რეალური ღირებულებ ა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეო ბით	შეფასების მეთოდი	სხვა საკვანძო ინფორმაც ია	არადაკვირ ვებადი მონაცემებ ი	არადაკვირვებადი მონაცემების დიაპაზონი (შეწონილი საშუალო)	
საინვესტიცი ო ქონება	891	2,100	გაყიდვების შედარების მიდგომა	მიწა და შენობა- ნაგებობებ ი	ფასი კვადრატუ ლობის მიხედვით	120 - 170

საინვესტიციო ქონება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით :

თვითღირები ლებით გადატანილი დასაკუთრებუ ლი აქტივებიდან	რეალური ღირებულებ ა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეო ბით	შეფასების მეთოდი	სხვა საკვანძო ინფორმაც ია	არადაკვირ ვებადი მონაცემებ ი	არადაკვირვებადი მონაცემების დიაპაზონი (შეწონილი საშუალო)	
საინვესტიცი ო ქონება	891	2,299	გაყიდვების შედარების მიდგომა	მიწა და შენობა- ნაგებობებ ი	ფასი კვადრატუ ლობის მიხედვით	130 - 180

სააქციო საზოგადოება თიბისი ლიზინგი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები- 2018 წლის 31 დეკემბერი
(თანხები მოცემულია ათასობით ქართულ ლარში)

15 შეწყვეტილი ლიზინგებიდან დაბრუნებული აქტივები

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
საბალანსო ღირებულება წლის დასაწყისში	3,328	2,573
წლის განმავლობაში ლიზინგის შეწყვეტილი ხელშეკრულებების შედეგად დასაკუთრებული აქტივები რეალური ღირებულებით	13,044	4,917
აქტივების რეალიზაცია	(2,736)	(1,596)
განკარგვა ახალი ლიზინგების გადაცემით	(5,325)	(2,117)
წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერა	(506)	(449)
საბალანსო ღირებულება წლის ბოლოს	7,805	3,328

ჩამოწერა წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე - 506 ათასი ლარი (2017: 449 ათასი ლარი) ლიზინგის შეწყვეტილი ხელშეკრულებების შედეგად დასაკუთრებული აქტივების წმინდა სარეალიზაციო ღირებულების ხელახალი შეფასების შედეგად ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის მოხდა, რაც სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად ძირითადი საშუალებების სახით აისახება. დასაკუთრებული აქტივების გაყიდვასა და გათავისუფლებასთან დაკავშირებულმა ზარალმა 378 ათასი ლარი და 111 ათასი ლარი შეადგინა შესაბამისად 2018 და 2017 წლებში.

16 სხვა ფინანსური აქტივები

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
შეწყვეტილი ლიზინგის ხელშეკრულებების მთლიანი მოთხოვნები	11,740	4,742
შემცირებული: შეწყვეტილი ლიზინგის ხელშეკრულებების მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი	(7,651)	(3,403)
სულ შეწყვეტილი ხელშეკრულების მოთხოვნის საბალანსო ღირებულება ამორტიზირებული ღირებულებით	4,089	1,339
სხვა მოთხოვნები მთლიანად	4,379	3,380
სხვა მოთხოვნების ანარიცხი, შემცირებული	(2,550)	(1,722)
სულ სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება	1,829	1,658
ლიზინგის მიმღებებისთვის გადაცემული სესხები, მთლიანად	3,425	3,881
ლიზინგის მიმღებებისათვის გადაცემული სესხების ანარიცხი, შემცირებული	(2,017)	(2,831)
სულ ლიზინგის მიმღებებისათვის გადაცემული სესხების საბალანსო ღირებულება ამორტიზირებული ღირებულებით	1,408	1,050
სულ სხვა ფინანსური აქტივები	7,326	4,047

სხვა ფინანსური აქტივების მთლიანი საბალანსო ღირებულების და საკრედიტო ზარალი ანარიცხის წარდგენის ეტაპები ფასს- 9 მეშვეობით შემდეგია:

სააქციო საზოგადოება თიბისი ლიზინგი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები- 2018 წლის 31 დეკემბერი
(თანხები მოცემულია ათასობით ქართულ ლარში)

16 სხვა ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

	საკრედიტო ზარალის ანარიცხი				მთლიანი საბალანსო ღირებულება			
	ეტაპი 1 (12 თვის ECL)	ეტაპი 2 (მუდმივი ECL SICR- სთვის)	ეტაპი 3 (მუდმივი ECL საკრედიტო გაუფასურებ ულისთვის)	სულ	ეტაპი 1 (12 თვის ECL)	ეტაპი 2 (მუდმივი ECL SICR- სთვის)	ეტაპი 3 (მუდმივი ECL საკრედიტო გაუფასურებ ლისთვის)	სულ
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	7,956	7,956	-	-	12,003	12,003
<i>ფასს 9 გავლენა</i>	-	-	-	-	-	-	-	-
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	7,956	7,956	-	-	12,003	12,003
ტრანსფერები:								
- 12 თვის მოსალოდნე საკრედიტო ზარალში მე-2 და მე- 3 ეტაპიდან პირველ ეტაპზე	-	-	-	-	-	-	-	-
- მუდმივი საკრედიტო ზარალში პირველი და მე-3 ეტაპიდან მე- 2 ეტაპზე	-	-	-	-	-	-	-	-
- საკრედიტო- გაუფასურებულში (პირველი და მე-2 ეტაპიდან მე-3 ეტაპზე)	-	-	-	-	-	-	-	-
ახალი წარმოშობილი ან შესყიდული	-	-	6,755	6,755	-	-	11,673	11,673
პერიოდის განმავლობაში შეწყვეტილი აღიარება	-	-	(2,073)	(2,073)	-	-	(3,566)	(3,566)
ნაწილობრივი ხელახალი გადახდა უცხოური ვალუტის გავლენა	-	-	-	-	-	-	-	-
საკრედიტო ხარისხის ცვლილებისგან გამოწვეული ცვლილებები	-	-	(420)	(420)	-	-	-	-
სხვა მოძრაობები	-	-	-	-	-	-	(566)	(566)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	12,218	12,218	-	-	19,544	19,544

სააქციო საზოგადოება თიბისი ლიზინგი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები- 2018 წლის 31 დეკემბერი
(თანხები მოცემულია ათასობით ქართულ ლარში)

16 სხვა ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

სხვა ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	2017 წლის 31 დეკემბერი
სულ არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული	-
ვადაგადაცილებული მაგრამ არ გაუფასურებული	
სხვა მოთხოვნები	1,240
- 90 დღეზე ნაკლებ ვადაგადაცილებული	1,240
სულ ვადაგადაცილებული მაგრამ არ გაუფასურებული (მთლიანად)	1,240
მოთხოვნები, რომლებიც ინდივიდუალურად განსაზღვრულია რომ გაუფასურდება	
ლიზინგის შეწყვეტილი ხელშეკრულებების მოთხოვნები	4,742
- 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	4,742
სხვა მოთხოვნები	2,140
- 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	2,140
ლიზინგის მიმრეებლისთვის გაცემული სესხები	3,881
- 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	3,881
სულ ინდივიდუალურად გაუფასურებული (მთლიანად)	10,763
შემცირებული გაუფასურების ანარიცხით	(7,956)
სულ სხვა ფინანსური აქტივები	4,047

სააქციო საზოგადოება თიბისი ლიზინგი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები- 2018 წლის 31 დეკემბერი
(თანხები მოცემულია ათასობით ქართულ ლარში)

17 სესხები ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან

	საბოლოო დაფარვის თარიღი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
თიბისი ბანკის სესხები	04.12.2020	45,359	21,542
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) სესხები	01.02.2021	4,384	4,237
BSTDB-ის სესხები	21.12.2020	10,682	-
ResponsAbility-ის სესხები	01.09.2019	8,402	25,721
Microwest- ის სესხები	22.11.2021	9,260	-
Symbiotic-ის სესხები	09.07.2021	34,127	30,410
Triple Jump-ის სესხები	15.12.2020	18,789	22,104
Pasha Bank - ის სესხები	25.12.2020	14,725	3,897
BlueOrchard-ის სესხები	04.12.2020	8,997	12,984
ვითიბი ბანკის სესხები	17.08.2020	14,894	3,199
თიბისი კრედიტის სესხები	10.08.2018	-	5,198
ფონდი მწვანე ზრდისთვის სესხები	15.09.2020	5,410	6,490
იმ ბანკის სესხები	08.05.2020	10,313	-
ლიბერთი ბანკის სესხები	25.02.2019	8,028	-
ქართუ ბანკის სესხები	16.11.2019	3,012	-
ხალიკ ბანკის სესხები	19.12.2019	7,987	-
სულ სესხები ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან		204,369	135,782

ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან აღებული სესხები უზრუნველყოფილია გარკვეული ფულადი სახსრებით და მათი ეკვივალენტებით, გარკვეული იჯარებიდან მისაღები თანხებითა და ლიზინგის ხელშეკრულებების ფარგლებში გადახდილი ავანსებით, რაც დეტალურად აღწერილია შენიშვნებში 7 და 11. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უზრუნველყოფის სახით დაგირავებული ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შეადგენს 0 ლარს (2017: 36 ათასი ლარი); ბანკებიდან მისაღები უზრუნველყოფის სახით დაგირავებული თანხები შეადგენს 0 ლარს (2017: 4,432 ათასი ლარი), უზრუნველყოფის სახით დაგირავებული მთლიანი ინვესტიციის თანხა შეადგენს 193,356 ათას ლარს (2017: 145,249 ათასი ლარი), ხოლო უზრუნველყოფის სახით დაგირავებული ლიზინგის ხელშეკრულებების საფუძველზე გადახდილი ავანსების თანხა - 24,962 ათას ლარს (2017: 6,284 ათასი ლარი). 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კი არ მომხდარა ლიზინგის ხელშეკრულებების საფუძველზე გადახდილი ავანსების თანხის დაგირავება უზრუნველყოფის სახით.

კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს სასესხო ხელშეკრულებებით განსაზღვრული ფინანსური პირობების შესრულება. 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანია ხსენებულ პირობებს ასრულებს.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადასახდელი დარიცხული პროცენტები, რომლებიც ასახულია ბანკებისა და ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებულ სესხებში, შეადგენს 1,726 ათას ლარს (2017: 936 ათასი ლარი).

ბანკებისა და ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხების რეალური ღირებულება მოცემულია შენიშვნაში 30. ინფორმაცია დაკავშირებული მხარეების ნაშთებისა და ოპერაციების შესახებ განმარტებულია შენიშვნაში 32.

სააქციო საზოგადოება თიბისი ლიზინგი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები- 2018 წლის 31 დეკემბერი

(თანხები მოცემულია ათასობით ქართულ ლარში)

18 კლიენტებისგან მიღებული ავანსები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წლის ბოლოს კლიენტებისგან მისაღები ავანსები 17,726 ათას ლარს შეადგენს (2017: 12,907 ათასი ლარი). კომპანია კლიენტებისგან ითხოვს ლიზინგით გაცემული აქტივის ღირებულების მინიმუმ 20%-ის ავანსად გადახდას. ამ თანხებს კომპანიის კლიენტები ლიზინგის ხელშეკრულებების გაფორმებისთანავე წინასწარ იხდიან და განათავსებენ კომპანიის ანგარიშზე, საგირავნო დეპოზიტის სახით კლიენტის ვალდებულებების უზრუნველსაყოფად ლიზინგით გაცემული აქტივების კლიენტისათვის გადაცემამდე. ლიზინგით გაცემული აქტივების ფიზიკური გადაცემის შემდგომ, კლიენტებისგან ავანსის სახით მიღებული თანხები იქვითება იმავე კლიენტების მიერ საიჯარო მოთხოვნის სახით განხორციელებულ წმინდა ინვესტიციებში. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 9,522 ათასი ლარი (2017: 10,294 ათასი ლარი) არის კლიენტებისგან წინასწარ მიღებული საგირავნო დეპოზიტი, ხოლო ნაშთის დარჩენილი ნაწილი წინასწარ გადახდილი სალიზინგო შენატანები და დასაკუთრებული აქტივების გაყიდვიდან მიღებული ავანსებია.

19 გამოშვებული ფასიანი ქაღალდები

	ვალუ ტა	საბოლოო დაფარვის თარიღი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ადგილობრივ ბაზარზე გამოშვებული ობლიგაციები	USD	22.07.2019	8,094	7,798
სულ გამოშვებული ფასიანი ქაღალდები			8,094	7,798

შენიშვნაში 30 მოცემულია გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების რეალური ღირებულების განმარტება.

20 სუბორდინირებული სესხები

	საბოლოო დაფარვის თარიღები	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
სუბორდინირებული სესხები თიბისი ბანკიდან	31.07.2023	2,445	13,072
სუბორდინირებულ სესხები ოფორთიუნითიდან	05.12.2018	-	2,613
სუბორდინირებული ობლიგაციები	25.01.2023	26,802	-
სულ სუბორდინირებული სესხები		29,247	15,685

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სუბორდინირებულ სესხებში ასახული გადასახდელი დარიცხული პროცენტები შეადგენს 307 ათას ლარს (2016: 108 ათასი ლარი).

სუბორდინირებული სესხების რეალური ღირებულების შეფასება მოცემულია შენიშვნაში 30. ინფორმაცია დაკავშირებული მხარეების ნაშთებსა და ოპერაციებთან დაკავშირებით განმარტებულია შენიშვნაში 32.

სააქციო საზოგადოება თიბისი ლიზინგი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები- 2018 წლის 31 დეკემბერი
(თანხები მოცემულია ათასობით ქართულ ლარში)

21 სხვა ვალდებულებები

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ვალდებულებები აქტივების მომწოდებლების წინაშე	3,695	8,181
დარიცხული ხარჯები	355	172
ვალდებულებები მომსახურების მომწოდებლების წინაშე	589	419
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,639	8,772
გადასახდელი ბონუსები	844	485
სხვა ვალდებულებები	5,483	9,257

ვალდებულებები აქტივების მომწოდებლების წინაშე წარმოადგენს ლიზინგის მიზნებისათვის მიღებული აქტივების სანაცვლოდ წარმოშობილი კრედიტორული დავალიანების ნაშთს.

22 სააქციო კაპიტალი

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სააქციო კაპიტალი 3,059 ათას ლარს შეადგენს (2017: 3,059 ათასი ლარი). ავტორიზებული, გამოცემული და გადახდილი აქციების ოდენობა იყო 3,059 ჩვეულებრივი აქცია, ნომინალური ღირებულებით 1000 ლარი თითოეულ აქციაზე. თითოეულ აქციას ერთი ხმის უფლება შეესაბამება. 2017 და 2018 წლების განმავლობაში სააქციო კაპიტალის ცვლილება არ განხორციელებულა.

23 შემოსავალი ფინანსური ლიზინგიდან

	2018	2017
საპროცენტო შემოსავალი ფინანსური ლიზინგიდან	37,337	21,395
შემოსავალი ფინანსური ლიზინგის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ჯარიმებისგან	1,853	1,122
სულ შემოსავალი ფინანსური ლიზინგიდან	39,190	22,517

24 სხვა შემოსავალი

	2018	2017
ანაბარზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	327	166
შემოსავალი დისკონტებისგან	197	-
შემოსავალი შეთანხმებისგან	135	-
სადაზღვევო კომპანიებიდან მიღებული ანაზღაურება და ბონუსის სახით მიღებული შემოსავალი	70	624
შემოსავალი ჯარიმებიდან	61	20
სხვა შემოსავალი	30	10
სულ სხვა შემოსავალი	820	820

სააქციო საზოგადოება თიბისი ლიზინგი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები- 2018 წლის 31 დეკემბერი
(თანხები მოცემულია ათასობით ქართულ ლარში)

25 ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	2018	2017
თანამშრომელთა ხელფასის დანახარჯები	3,937	2,641
დაზღვევის ხარჯები	3,476	1,875
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა	2,289	1,410
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	996	233
პროფესიული მომსახურების ხარჯები	926	666
განთავსება და იჯარა	511	286
აქტივების მოვლა-შენახვის ხარჯები	504	109
სარეკლამო ხარჯები	424	305
ლიზინგით გაცემული აქტივების რეგისტრაციის საკომისიო	311	319
ბანკის საკომისიოები	165	127
მიწისა და შენობა-ნაგებობების მოვლა-შენახვის ხარჯები	52	20
არარეზიდენტების სამემოსავლო (წყაროსთან დაკავების) გადასახადი	10	63
სხვა ხარჯები	1,202	923
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	14,803	8,977

26 წმინდა ვალის შეჯერება

	საფინანსო ოპერაციებიდან წარმოშობილი ვალდებულებები			
	სესხები ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან	გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	სუბორდინირებული სესხი	ჯამი
წმინდა ვალი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	135,782	7,798	15,685	159,265
ფულადი ნაკადები	51,363	(394)	11,085	62,054
უცხოური ვალუტის გაცვლის ოპერაციების კორექტირებები	4,924	93	352	5,369
სხვა არაფულადი ცვლილებები	12,300	597	2,125	15,022
წმინდა ვალი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	204,369	8,094	29,247	241,710

ზემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ჩვენი ვალისა და წარმოდგენილ თითოეულ პერიოდში ვალთან მიმართებაში მომხდარი ცვლილებების ანალიზი. ვალის მუხლები ფულადი ნაკადების ანგარიშგების ფინანსური საქმიანობის ნაწილში არის ასახული.

27 ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ფინანსურ (საკრედიტო, ლიკვიდურობის და საბაზრო რისკები (მათ შორის, სავალუტო და საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული რისკები)), გეოგრაფიულ, საოპერაციო და სამართლებრივ რისკებთან მიმართებაში ხორციელდება. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი მიზანი რისკების ლიმიტების განსაზღვრა და იმის უზრუნველყოფაა, რომ რისკის დონე ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის მართვა უზრუნველყოფს შიდა პოლიტიკების და პროცედურების ადეკვატურ ფუნქციონირებას საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შემცირების მიზნებისათვის.

საკრედიტო რისკი. კომპანია იღებს საკრედიტო რისკს, რაც ნიშნავს იმას, ფინანსური ინსტრუმენტის მონაწილე მხარემ შეიძლება მეორე მხარეს მიაყენოს ფინანსური ზარალი თავისი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკი დეგრა კომპანიის მიერ ფინანსური ლიზინგის ხელშეკრულების გაფორმების და კონტრაქტებთან სხვა ტრაზაქციების წარმოების შედეგად, რაც ფინანსურ აქტივებს წარმოშობს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური დონე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულების ტოლია.

რისკების მართვა და მონიტორინგი დედა კომპანიის საკრედიტო კომიტეტის და კომპანიის მმართველი საბჭოს მიერ წინასწარ დადგენილი ლიმიტების ფარგლებში ხორციელდება. დედა კომპანიის კომიტეტი გადაწყვეტილებებს იღებს იმ იჯარების გაცემაზე, რომელთა ღირებულება 300,000 დოლარს აღემატება. საკრედიტო კომიტეტზე თუ კომპანიის მმართველ საბჭოზე განაცხადის წარდგენამდე, ყველა რეკომენდაციას ლიზინგის პროცესებთან დაკავშირებით (ლიზინგის მიმღების ლიმიტების დამტკიცება, ცვლილებები ლიზინგის ხელშეკრულებებში, და ა.შ.) განიხილავს და ამტკიცებს საკრედიტო დეპარტამენტის რისკების მართვის მენეჯერი.

კომპანია, როგორც წესი, ისე ახდენს თავისი ფინანსური ლიზინგის ხელშეკრულებების სტრუქტურირებას, რომ ლიზინგის მიმღები მოწყობილობის ღირებულების 20%-ს სალიზინგო ვადის დაწყებისთანავე იხდის. ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემულ აქტივზე საკუთრების უფლება კომპანიას სალიზინგო ვადის განმავლობაში უნარჩუნდება. ხსენებული ხელშეკრულების ვადის ამოწურვისას ლიზინგის მიმღებს გადაეცემა ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემულ აქტივზე საკუთრების უფლება.

როგორც წესი, ხდება ლიზინგით გაცემულ აქტივებთან დაკავშირებული ისეთი რისკების დაზღვევა, როგორებიცაა: სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული დაზიანება, ქურდობა და სხვა. ხელმძღვანელობა პერიოდულად აფასებს ლიზინგის მიმღების ფინანსურ მდგომარეობას არსებული ვალების მონიტორინგისა და ფინანსური ანგარიშების ანალიზის გზით. იჯარის გაუფასურების ძირითად ფაქტორებში კომპანია მოიაზრებს ვადაგადაცილების სტატუსს, ლიზინგის მიმღების ფინანსურ მდგომარეობას, ლიკვიდურობას და ლიზინგით გაცემული აქტივის ღირებულებას. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფინანსურ ლიზინგში წმინდა ინვესტიციისათვის შექმნილი ანარიცხი ადეკვატურად ფარავს ანგარიშგების თარიღისათვის ლიზინგის პორტფელში არსებულ პოტენციურ დანაკარგებს.

ხელმძღვანელობა კვარტალურად ასევე აფასებს სხვა ფინანსური აქტივების ამოღებადობას დებიტორების ფინანსური მდგომარეობისა და სხვა ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა სასამართლო საქმეების შედეგები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ სხვა ფინანსური აქტივებისათვის ადეკვატური რეზერვია შექმნილი საანგარიშო თარიღისთვის თარიღისათვის.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება : მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის სამომავლო ფულადი სახსრების დეფიციტის იმჟამინდელი ღირებულების ალბათობით შეწონილი შეფასება. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება მიუყვრძობელია და განსაზღვრულია მთელი რიგი შესაძლო შედეგების შეფასებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება ემყარება კომპანიის მიერ გამოყენებულ ოთხ კომპონენტს: დეფოლტის ალბათობა("PD"), დეფოლტის რისკის დადგომა("EAD"), დეფოლტის შემთხვევაში ზარალი("LGD") და დისკონტირების განაკვეთი. შეფასებები ეყრდნობა საპროგნოზო ინფორმაციას, რომელიც, თავის მხრივ, ასახავს ალბათობით შეწონილ მთავარ მაკროეკონომიკური განვითარების ცვლადებს, რომლებსაც აქვთ გავლენა საკრედიტო რისკზე.

27 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

კომპანია, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, იყენებს 3 ეტაპიან მოდელს და კლასიფიცირებას უკეთებს მის მსესხებლებს ამ სამი ეტაპის მიხედვით: კომპანია კლასიფიცირებას უკეთებს რისკებს პირველ ეტაპში, თუ არ მომხდარა მნიშვნელოვანი საკრედიტო ხარისხის გაუარესება თავდაპირველი აღიარებიდან და თუ ინსტრუმენტი არ იყო საკრედიტო-გაუფასურებული მაშინ, როდესაც თავდაპირველად აღიარდა. რისკზე დაქვემდებარება კლასიფიცირდება მეორე ეტაპში თუ გამოვლინდა საკრედიტო ხარისხის მნიშვნელოვანი გაუარესება თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მაგრამ ფინანსური ინსტრუმენტი არ ტვლება კრედიტ-გაუფასურებულად. ის რისკები, რომლებისთვისაც გამოვლინდა კრედიტ-გაუფასურების ინდიკატორები, კლასიფიცირებულ იქნა მესამე ეტაპის ინსტრუმენტებში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობა განსხვავებულია რისკების ერთერთ ეტაპზე განთავსების მიხედვით. პირველი ეტაპის ინსტრუმენტების შემთხვევაში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს მუდმივი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის იმ ნაწილს, რომელიც მიკუთვნებადია საანგარიშო დღის მომდევნო 12 თვის განმავლობაში მომხდარ დეფოლტის მოვლენებზე.

მეორე ეტაპის ინსტრუმენტების შემთხვევაში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს მუდმივ მოსალოდნე საკრედიტო ზარალს, ანუ იმ საკრედიტო ზარალებს, რომლებიც მიკუთვნებადია ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მთელ პერიოდში შესაძლო დეფოლტის მოვლენებზე. ისეთი ფაქტორები, როგორიცაა სახელშეკრულებო ხალახლა გადახდის განრიგების არსებობა, ხელახლა გადახდის დაფარვის ვადების გაზრდის საშუალება და კომპანიის მიერ წარმოებული მონიტორინგის პროცესის გავლენა მუდმივობის განსასაზღვრად. მესამე ეტაპის ინსტრუმენტების შემთხვევაში, დეფოლტი უკვე მოხდა და მუდმივი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასებულია მოსალოდნელი აღდგენების საფუძველზე.

კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად იყენებს ორ მიდგომას-ინდივიდუალური და კოლექტიური მიდგომა. ინდივიდუალური შეფასება ძირითადად გამოიყენება კრედიტ-გაუფასურებისთვის ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი მსესხებლებისთვის. დამატებით, კომპანიას შეუძლია არბიტრალურად მიაკუთვნოს არჩეული რისკები ECL ინდივიდუალურ შეფასებას კომპანიის საკრედიტო რისკის ხელმძღვანელობას საფუძველზე ან დამზღვევი დეპარტამენტების გადაწყვეტილების საფუძველზე.

კომპანია იყენებს დიკონტრირებული ფულადი სახსრების ნაკადების (DCF) მეთოდს ამოღებადი თანხების განსასაზღვრად ინდივიდუალური შეფასებისას. იმისათვის, რომ ამოღებადი თანხების შეფასება იყოს დანამდვილებით ზუსტი, კომპანიამ შეიძლება გამოიყენოს სცენარის ანალიზის მიდგომა. სცენარები შეიძლება განისაზღვროს ინდივიდუალური მსესხებლის სამომავლო პერსპექტივების მახასიათებლების გათვალისწინებით, მსესხებლის საოპერაციო სექტორის, მისი საგირავნო უზრუნველყოფის ცვლილების გათვალისწინებით. სცენარის ანალიზის შემთხვევაში კომპანია პროგნოზირებს ამოღებად თანხას ყველა სცენარისთვის და აფასებს შესაბამის ზარალს. საბოლოო ECL გამოითვლება, როგორც ყოველი სცენარისთვის მოსალოდნელი ზარალის შეწონილი საშუალო, რომელიც შეწონილია სცენარის მოხდენის ალბათობით.

27 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

დეფოლტის რისკი (EAD). დეფოლტის დროს რისკი წარმოადგენს საკრედიტო რისკს დეფოლტის დროს, რომელსაც ადგილი აქვს ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე. დეფოლტის რისკის პარამეტრები, რომლებიც გამოიყენება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად, დროზეა დამოკიდებული, ანუ, კომპანია პარამეტრის სხვადასხვა ღირებულებებს აძლევს გამოყენების უფლებას შესაბამის დროის პერიოდებზე, რისკის არსებობის მანძილზე. დეფოლტის რისკის ასეთი სტრუქტურა გამოიყენება პირველი და მეორე ეტაპის ყველა ფინანსურ ინსტრუმენტზე, დეფოლტის რისკის ვექტორი არის მიმდინარე დეფოლტის რისკის ერთი ელემენტი, როგორც ერთადერთი ღირებულება.

დეფოლტის ალბათობა (PD). დეფოლტის ალბათობის პარამეტრი აღწერს საწარმოს დეფოლტის ალბათობას დროის გარკვეულ პერიოდში. ის გვაწვდის იმ ალბათობის შეფასებას, სადაც მსესხებელს არ ექნება სახელშეკრულებო ვალის ვალდებულებების შესრულების უნარი. PD პარამეტრი დროზეა დამოკიდებული (ანუ აქვს სპეციფიური ვადების სტრუქტურა) და გამოიყენება ყველა არადეფოლტირებულ ხელშეკრულებაზე.

მოდელი ეფუძნება მოკლევადიან და გრძელვადიან PD შეფასებების გათვალისწინებას. პირველი შეფასებულია დეფოლტის ყოველწლიურ განაკვეთზე, რომელიც შეიმჩნეოდა იმ პერიოდისთვის, რომელიც ითვლება მოკლევადიან დეფოლტისკენ მიდრეკილების წარმომადგენლად. ლიზინგის მიმღების რისკ ჯგუფი ცვლის მესამე პარამეტრს. მეორე - ლიზინგის კომპანიის კლიენტების, გრძელვადიანი დეფოლტისკენ მიდრეკილების წარმომადგენელია, მიუხედავად მათი რისკ ჯგუფის დავალებისა.

სალიზინგო კომპანია საზღვრავს რისკ ჯგუფებს შერჩეული კატეგორიების მიხედვით: (მაგ. ლიზინგის მიმღების მიმდინარე დღეების ვადაგადაცილების სტატუსი) ისე, რომ ცალკე რისკ ჯგუფები მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით მოქმედებენ დეფოლტისკენ მიდრეკილებისას. მოდელი აკეთებს დაშვებას, რომ PD მომავალი წლიური პერიოდისთვის საანგარიშო დღის შემდგომ უტოლდება მოკლევადიან PD შეფასებას და დამოკიდებულია რისკ ჯგუფის დავალებაზე. გრძელვადიანი PD შეფასება გამოიყენება იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება საანგარიშო დღის მეოთხე წელს, როდესაც დეფოლტის ალბათობის წრფივი ინტერპოლაცია სავარაუდოდ შუაშია. გრძელვადიანი PD შეფასების მიზნით, სალიზინგო კომპანია იყენებს მზა განაკვეთებს. მზა განაკვეთები გამოითვლება, როგორც დეფოლტირებული რისკების მოცულობა პერიოდში, გაყოფილი მთლიანად მოქმედი რისკებით, პერიოდის დასაწყისში.

დეფოლტის შემთხვევაში ზარალი (LGD). LGD პარამეტრი წარმოადგენს რისკის იმ წილს, რომელიც დაუბრუნებლად დაიკარგება იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი დეფოლტირებს. პირველი და მეორე ეტაპების ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, LGD ფასდება ინსტრუმენტის არსებობის ყოველ პერიოდზე და ასახავს მოსალოდნელ EAD -ს იმ პერიოდისთვის, რომელიც არ ექვემდებარება აღდგენას ინსტრუმენტის დარჩენილ არსებობის დროს, დეფოლტის დღის შემდგომ. მესამე ეტაპის ფინანსური ინსტრუმენტებისთვის LGD წარმოადგენს EAD-ის წილს, საანგარიშო დღის მდგომარეობით, რომელიც არ დაექვემდებარება აღდგენას ინსტრუმენტის არსებობის პერიოდში.

LGD-ს შესაფასებლად, სალიზინგო კომპანია აფასებს გირაოს თანხის ამოღებად ნაწილს. გირაოს თანხის ამოღებადი ნაწილის შესაფასებლად სალიზინგო კომპანია ადგენს გაცემული ლიზინგების აქტივების ფასს და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ახდენს მათ დისკონტირებას სარეალიზაციო პერიოდში. სალიზინგო კომპანია ითვლის LGD-ს, რომელიც დროზე დამოკიდებულია იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია ახდენს გირაოს ღირებულების პროექტირებას დროის განმავლობაში. გირაოთი უზრუნველყოფა კორექტირდება ამორტიზაციის კოეფიციენტის საფუძველზე. კოეფიციენტი ემყარება ექსპერტულ განსჯას დაქვანსხვავებულია აქტივის ტიპის მიხედვით.

სააქციო საზოგადოება თიბისი ლიზინგი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები- 2018 წლის 31 დეკემბერი

(თანხები მოცემულია ათასობით ქართულ ლარში)

27 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი. კომპანიას ასევე გააჩნია საბაზრო რისკები. ეს რისკები ღია სავალუტო და საპროცენტო განაკვეთების პოზიციების შედეგად წარმოიშვება, რაც ბაზარზე ზოგად და კონკრეტულ ცვლილებებს უკავშირდება. რისკის ფასთან მიმართებაში ხელმძღვანელობა აწესებს დასაშვებ ლიმიტებს, რომლებიც კვარტალურად მოწმდება. ამის მიუხედავად, უფრო სერიოზული საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში ამ მიდგომის გამოყენება ვერ ახდენს დანაკარგების პრევენციას დაწესებული ლიმიტების მიღმა.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების ცვლილებამ განაპირობოს ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების შეცვლა. კომპანია დგას დომინანტი ვალუტის გაცვლითი კურსების მერყეობის შედეგების ასახვის საფრთხის წინაშე თავის ფინანსურ პოზიციასა და ფულად ნაკადებზე.

მმართველი საბჭო სავალუტო რისკებს ღია სავალუტო პოზიციის მართვის გზით აკონტროლებს ქართული ლარის გაუფასურების პროგნოზებისა და სხვა მაკროეკონომიკური ინდიკატორების გათვალისწინებით, რაც კომპანიას საშუალებას აძლევს შეამციროს დანაკარგები ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში უცხოური ვალუტის კურსების მნიშვნელოვანი რხევებიდან გამომდინარე.

უცხოური ვალუტის გაცვლით კურსთან მიმართებაში კომპანიის რისკები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასე გამოიყურება:

	აშშ				
	ლარი	დოლარი	ევრო	სხვა	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6,866	11,117	605	51	18,639
ბანკებიდან მისაღები თანხები	-	-	-	-	-
წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	63,740	116,997	22,970	-	203,707
ლიზინგის ხელშეკრულებების საფუძველზე მიღებული ავანსები	17,382	11,173	7,513	-	36,068
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3,642	4,599	-	-	8,241
სხვა ფინანსური აქტივები	2,667	3,679	980	-	7,326
სულ ფინანსური აქტივები	94,297	147,565	32,068	51	273,981
სესხები ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან	79,940	107,475	16,954	-	204,369
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	8,094	-	-	8,094
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	12,477	4,058	1,191	-	17,726
სუბორდინირებული სესხი	2,445	26,802	-	-	29,247
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	-	-	8,289	-	8,289
სხვა ფინანსური ვალდებულებები	1,960	320	3,203	-	5,483
სულ ფინანსური ვალდებულებები	96,822	146,749	29,637	-	273,208
წმინდა ღია სავალუტო პოზიცია	(2,525)	816	2,431	51	773

კომპანიის რისკი უცხოური ვალუტის გაცვლის კურსებთან მიმართებაში 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვედა ცხრილში:

სააქციო საზოგადოება თიბისი ლიზინგი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები- 2018 წლის 31 დეკემბერი

(თანხები მოცემულია ათასობით ქართულ ლარში)

27 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სხვ	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,712	5,104	15	34	7,865
ბანკებიდან მისაღები თანხები	4,432	-	-	-	4,432
წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	34,856	108,354	567	-	143,777
ლიზინგის ხელშეკრულებების საფუძველზე მიღებული ავანსები	6,029	19,729	-	-	25,758
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	-	-	-	-	-
სხვა ფინანსური აქტივები	493	3,554	-	-	4,047
სულ ფინანსური აქტივები	48,522	136,741	582	34	185,879
სესხები ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან	30,722	105,060	-	-	135,782
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	7,798	-	-	7,798
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	6,752	6,155	-	-	12,907
სუბორდინირებული სესხი	7,858	7,827	-	-	15,685
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	-	-	-	-	-
სხვა ფინანსური ვალდებულებები	2,539	6,718	-	-	9,257
სულ ფინანსური ვალდებულებები	47,871	133,558	-	-	181,429
წმინდა ღია სავალუტო პოზიცია	651	3,183	582	34	4,450

სავალუტო რისკების მართვის მიზნით, ხელმძღვანელობა აწესებს ლიმიტებს და ყოველთვიურად განიხილავს მოკლე და გრძელ სავალუტო პოზიციებს ამ ლიმიტების ფარგლებში.

ვალუტის სენსიტიურობის ანალიზი. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის სენსიტიურობა ლართან მიმართებაში აშშ დოლარის კურსის 10%-იანი (2017: 10%) ზრდისა და კლების თვალსაზრისით. 10% არის სენსიტიურობის ის განაკვეთი, რომელსაც მაღალი დონის ხელმძღვანელობას წინაშე უცხოური ვალუტის რისკის შესახებ ანგარიშგების მიზნებისათვის შიდა დონეზე იყენებენ და რომელიც, ამავე დროს, არის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების შესაძლო ცვლილებების შეფასების საშუალება ხელმძღვანელობის მხრიდან. სენსიტიურობის ანალიზი მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ დაუფარავ ფულად მუხლებს მოიცავს და აკორექტირებს მათ კონვერტაციას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების განაკვეთებში 10%-იანი ცვლილების გათვალისწინებით.

	2018 წლის 31 დეკემბერი		2017 წლის 31 დეკემბერი	
	ეფექტი თუ გადასახადების გამოკლებამდე	მოგებასა ზარალზე ეფექტი კაპიტალზე	ეფექტი თუ გადასახადების გამოკლებამდე	მოგებასა ზარალზე ეფექტი კაპიტალზე
აშშ დოლარის გამყარება 10%-ით (2017: 10%)	82	82	274	274
აშშ დოლარის გაუფასურება 10%-ით (2017: 10%)	(82)	(82)	(274)	(274)

27 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანიის ფინანსურ პოზიციასა და ფულად ნაკადებზე გავლენას ახდენს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების დომინანტურ დონეებში მომხდარი ცვლილებები. ამგვარი ცვლილებების შედეგად შეიძლება გაიზარდოს მიღებული ფინანსური შემოსავლისა და გადახდილი საპროცენტო ხარჯების შეფარდების მარჟები, ან მოულოდნელი მოვლენების შემთხვევაში შეიძლება შემცირდეს ან წარმოშვას ზარალი.

2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია არ დგას რეალური ღირებულების საპროცენტო განაკვეთის რისკის წინაშე, ვინაიდან ყველა მისი ფინანსური აქტივი და ვალდებულება ამორტიზებული ღირებულებით აისახება. 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფულადი ნაკადების საპროცენტო რისკი წარმოშობილია ცვლადი საპროცენტო განაკვეთით ნასესხები ერთი ვალით, ყველა სხვა ფინანსური აქტივი თუ ვალდებულება ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზეა მიბმული ან საერთოდ არ ერიცხება პროცენტი. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების ჯამური თანხები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომლებიც კატეგორიებად დაყოფილია სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთის გადაფასების დღის ან დაფარვის საბოლოო თარიღის მიხედვით.

	1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე ვადით	3 თვიდან 1 წლამდე ვადით	1 წლიდან 5 წლამდე ვადით	სულ
ფინანსური აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	18,639	-	-	-	18,639
ბანკებიდან მისაღები თანხები	-	-	-	-	-
წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	18,544	12,728	56,392	116,043	203,707
ლიზინგის ხელშეკრულებების საფუძველზე მიღებული ავანსები	33,182	1,652	1,234	-	36,068
სხვა ფინანსური აქტივები	5,123	131	868	1,204	7,326
სულ ფინანსური აქტივები	75,488	14,511	58,494	117,247	265,740
ფინანსური ვალდებულებები					
სესხები ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან	1,353	9,965	96,541	96,510	204,369
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	64	-	8,030	-	8,094
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	16,159	1,290	277	-	17,726
სუბორდინირებული სესხი	34	-	-	29,213	29,247
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	48	-	-	-	48
სხვა ფინანსური ვალდებულებები	2,773	2,571	139	-	5,483
სულ ფინანსური ვალდებულებები	20,431	13,826	104,987	125,723	264,967
წმინდა საპროცენტო განაკვეთის სენსიტიურობის დეფიციტი	55,057	685	(46,493)	(8,476)	773

სააქციო საზოგადოება თიბისი ლიზინგი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები- 2018 წლის 31 დეკემბერი

(თანხები მოცემულია ათასობით ქართულ ლარში)

27 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების ჯამური თანხები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომლებიც კატეგორიებად დაყოფილია სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთის გადაფასების დღის ან დაფარვის საბოლოო თარიღის მიხედვით.

	1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე ვადით	3 თვიდან 1 წლამდე ვადით	1 წლიდან 5 წლამდე ვადით	სულ
ფინანსური აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7,865	-	-	-	7,865
ბანკებიდან მისაღები თანხები	-	-	4,432	-	4,432
წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	13,485	9,008	38,968	82,316	143,777
ლიზინგის ხელშეკრულებების საფუძველზე მიღებული ავანსები	5,152	9,015	11,591	-	25,758
სხვა ფინანსური აქტივები	607	809	1,018	1,613	4,047
სულ ფინანსური აქტივები	27,109	18,832	56,009	83,929	185,879
ფინანსური ვალდებულებები					
სესხები ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან	1,217	1,714	48,767	84,084	135,782
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	51	-	-	7,747	7,798
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	2,581	4,518	5,808	-	12,907
სუბორდინირებული სესხი	117	-	14,867	701	15,685
წარმოებული ფინანსური აქტივები	-	-	-	-	-
სხვა ფინანსური ვალდებულებები	5,452	2,694	1,111	-	9,257
სულ ფინანსური ვალდებულებები	9,418	8,926	70,553	92,532	181,429
წმინდა საპროცენტო განაკვეთის სენსიტიურობის დეფიციტი	17,691	9,906	(14,544)	(8,603)	4,450

ლიკვიდობის რისკი. ლიკვიდობის რისკი შეეხება ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ვადამოსული ფინანსური ვალდებულებების დასაფარავად საკმარისი თანხების ხელმისაწვდომობას. მმართველი საბჭო (შიდა საბჭო, რომელშიც შედის კომპანიის გენერალური დირექტორი, გენერალური დირექტორის მოადგილე, ფინანსური დირექტორი, საკრედიტო დეპარტამენტის უფროსი, და აქტივების მართვის დეპარტამენტის უფროსი) აკონტროლებს ამ ტიპის რისკებს საბოლოო დაფარვის თარიღების ანალიზის, მომდევნო ფინანსურ პერიოდში კომპანიის სტრატეგიის განსაზღვრის გზით. ლიკვიდობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახორციელებს საპროგნოზო ფულადი ნაკადების მონიტორინგს კლიენტებთან და კომპანიის ოპერაციებთან მიმართებაში.

ფინანსური ვალდებულებების ანალიზი დაფარვის საბოლოო თარიღების მიხედვით დარჩენილი არადისკონტირებული სახელშეკრულებო ვალდებულებების გათვალისწინებით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასე გამოიყურება:

სააქციო საზოგადოება თიბისი ლიზინგი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები- 2018 წლის 31 დეკემბერი
(თანხები მოცემულია ათასობით ქართულ ლარში)

27 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

	1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე ვადით	3 თვიდან 1 წლამდე ვადით	1 წლიდან 5 წლამდე ვადით	სულ
ფინანსური ვალდებულებები					
სესხები ბანკებიდან	3,206	12,394	105,664	101,703	222,967
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	259	-	8,323	-	8,582
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	16,159	1,290	277	-	17,726
სუბორდინირებული სესხი	623	340	1,990	37,642	40,595
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	48	-	-	-	48
სხვა ფინანსური ვალდებულებები	2,773	2,571	139	-	5,483
სულ პოტენციური სამომავლო გადახდები ფინანსურ ვალდებულებებთან მიმართებაში	23,068	16,595	116,393	139,345	295,401

ფინანსური ვალდებულებების ანალიზი დაფარვის საბოლოო თარიღების მიხედვით დარჩენილი არადისკონტირებული სახელშეკრულებო ვალდებულებების გათვალისწინებით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასე გამოიყურება:

	1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე ვადით	3 თვიდან 1 წლამდე ვადით	1 წლიდან 5 წლამდე ვადით	სულ
ფინანსური ვალდებულებები					
სესხები ბანკებიდან	2,075	2,819	62,535	82,852	150,281
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	249	-	423	8,200	8,872
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	2,635	4,647	6,228	-	13,510
სუბორდინირებული სესხი	281	281	16,164	707	17,433
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	-	-	-	-	-
სხვა ფინანსური ვალდებულებები	5,725	2,828	1,166	-	9,719
სულ პოტენციური სამომავლო გადახდები ფინანსურ ვალდებულებებთან მიმართებაში	10,965	10,575	86,516	91,759	199,815

ლიკვიდობის სამართავად კომპანია არ იყენებს ზემოთ მოცემულ არადისკონტირებულ ანალიზს დაფარვის საბოლოო თარიღებთან მიმართებაში. ნაცვლად ამისა, კომპანია ახორციელებს ლიკვიდობის დეფიციტის მონიტორინგს დისკონტირებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საპროგნოზო დაფარვის თარიღებთან მიმართებაში. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასე გამოიყურება საპროგნოზო ლიკვიდობის დეფიციტი:

სააქციო საზოგადოება თიბისი ლიზინგი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები- 2018 წლის 31 დეკემბერი
(თანხები მოცემულია ათასობით ქართულ ლარში)

27 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

	1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე ვადით	3 თვიდან 1 წლამდე ვადით	1 წლიდან 5 წლამდე ვადით	სულ
ფინანსური აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	18,639	-	-	-	18,639
ბანკებიდან მისაღები თანხები	-	-	-	-	-
წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	18,544	12,728	56,392	116,043	203,707
ლიზინგის ხელშეკრულებების საფუძველზე მიღებული ავანსები	33,182	1,652	1,234	-	36,068
სხვა ფინანსური აქტივები	5,123	131	868	1,204	7,326
სულ ფინანსური აქტივები	75,488	14,511	58,494	117,247	265,740
ფინანსური ვალდებულებები					
სესხები ბანკებიდან	1,353	9,965	96,541	96,510	204,369
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	64	-	8,030	-	8,094
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	16,159	1,290	277	-	17,726
სუბორდინირებული სესხი	34	-	-	29,213	29,247
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	48	-	-	-	48
სხვა ფინანსური ვალდებულებები	2,773	2,571	139	-	5,483
სულ ფინანსური ვალდებულებები	20,431	13,826	104,987	125,723	264,967
ლიკვიდობის დეფიციტი	55,057	685	(46,493)	(8,476)	773
ლიკვიდობის კუმულაციური დეფიციტი	55,057	55,742	9,249	773	

სააქციო საზოგადოება თიბისი ლიზინგი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები- 2018 წლის 31 დეკემბერი
(თანხები მოცემულია ათასობით ქართულ ლარში)

27 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლიკვიდობის საპროგნოზო დეფიციტი წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

	1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე ვადით	3 თვიდან 1 წლამდე ვადით	1 წლიდან 5 წლამდე ვადით	სულ
ფინანსური აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	7,865	-	-	-	7,865
ბანკებიდან მისაღები თანხები	-	-	4,432	-	4,432
წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	13,485	9,007	38,968	82,317	143,777
ლიზინგის ხელშეკრულებების საფუძველზე მიღებული ავანსები	5,152	9,015	11,591	-	25,758
სხვა ფინანსური აქტივები	607	809	1,012	1,619	4,047
სულ ფინანსური აქტივები	27,109	18,831	56,003	83,936	185,879
ფინანსური ვალდებულებები					
სესხები ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან	1,217	1,714	48,767	84,084	135,782
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	51	-	-	7,747	7,798
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	2,581	4,518	5,808	-	12,907
სუბორდინირებული სესხი	117	-	14,867	701	15,685
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	-	-	-	-	-
სხვა ფინანსური ვალდებულებები	5,452	2,694	1,111	-	9,257
სულ ფინანსური ვალდებულებები	9,418	8,926	70,553	92,532	181,429
ლიკვიდობის დეფიციტი	17,691	9,905	(14,550)	(8,596)	4,450
ლიკვიდობის კუმულაციური დეფიციტი	17,691	27,596	13,046	4,450	

გეოგრაფიული კონცენტრაცია. აქტივებისა და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია ზოგადად სტაბილურია, რადგან კომპანია საქართველოს ფარგლებს გარეთ არ ფუნქციონირებს. კომპანიას არ აგააჩნია აქტივები საქართველოს ფარგლებს გარეთ

დაკავშირებული მხარის დაფინანსების რისკი. კომპანია დგას დაკავშირებული მხარეების მხრიდან დაფინანსების მნიშვნელოვანი კონცენტრაციის რისკის წინაშე. კომპანია არის დიდი საბანკო ჯგუფის წევრი. მოქმედი საწარმოს რისკი შემცირებულია კომპანიის მესაკუთრეების მხრიდან პასუხისმგებლობის აღებით კომპანიის სტაბილური დაფინანსების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

სააქციო საზოგადოება თიბისი ლიზინგი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები- 2018 წლის 31 დეკემბერი

(თანხები მოცემულია ათასობით ქართულ ლარში)

28 კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვა. კაპიტალის მართვისას დასახული კომპანიის ამოცანები მიმართულია კომპანიის უნარიანობის შენარჩუნებისაკენ, განაგრძოს ოპერირება მოქმედი საწარმოს სახით და აქციონერებს მოუტანოს მოგება, ხოლო სხვა დაინტერესებულ მხარეებს - სარგებლები, შეინარჩუნოს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა კაპიტალური ხარჯების შესამცირებლად. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნებისა თუ კორექტირებისათვის, კომპანიას შეუძლია აქციონერებისათვის გადახდილი დივიდენდების თანხის კორექტირება, აქციონერებისათვის კაპიტალის დაბრუნება, ახალი აქციების გამოშვება ან ვალის შესამცირებლად აქტივების გაყიდვა. კომპანია კაპიტალს დედა კომპანიიდან მიღებული სესხების ჩათვლით განიხილავს. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალმა 53,963 ათასი ლარი შეადგინა (2017: 35,085 ათასი).

29 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

ბიზნესის წარმოების ნორმალური მიმდინარეობისას, კომპანია წარადგენს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს რათა მართოს უცხოური ვალუტისა და ლიკვიდურობის რისკები.

კომპანიის მიერ გაფორმებული სავალუტო ფორვარდების და მთლიანი სავალუტო სვოპების შეთანხმებები. სავალუტო წარმოე ბული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც წარადგინა კომპანიამ, ზოგადად, ვაჭრობას ექვემდებარება არასაბირჟო ბაზარზე, პროფესიონალი კონტრაქტების მეშვეობით სტანდარტიზირებული საკონტრაქტო ვადებითა და პირობებით. წარმოებულებს გააჩნიათ პოტენციურად მომგებიანი (აქტივების) ან არამომგებიანი (ვალდებულებების) პირობები, საბაზრო საპროცენტო განაკვეთების რხევების, ვალუტის გაცვლითი კურსების თუ სხვა, მათ პირობებთან დაკავშირებული ცვლადების შედეგად. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვაჩვენებს კომპანიის მიერ გაფორმებული სავალუტო ფორვარდებისა და მთლიანი სავალუტო სვოპების შეთანხმებების ვალუტის მოთხოვნებისა და დავალიანებების რეალურ ღირებულებებს საბალანსო თარიღზე. ცხრილი ასახავს მთლიან პოზიციებს ნებისმიერი კონტრაქტის პოზიციის (და გადახდის) ნეტომდე დაყვანამდე და მოიცავს ხელშეკრულებებს, გაფორმების თარიღებითა და შესაბამისი საბალანსო თარიღის შემდგომ. კონტრაქტები მოკლევადიანია მათი ბუნებით.

	2018		2017	
	კონტრაქტები დადებითი რეალური ღირებულებით	კონტრაქტები უარყოფითი რეალური ღირებულებით	კონტრაქტები დადებითი რეალური ღირებულებით	კონტრაქტები უარყოფითი რეალური ღირებულებით
სავალუტო ფორვარდები და სვოპები:				
რეალური ღირებულებები საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს				
- აშშ დოლარი, ანგარიშსწორებისას მისაღები (+)	3,642	-	-	-
- ქართული ლარი, ანგარიშსწორებისას მისაღები (+)	4,599	-	-	-
- ევრო, ანგარიშსწორებისას გადასახდელი (-)	-	(8,289)	-	-
სავალუტო ფორვარდების და სვოპების რეალური ღირებულება	8,241	(8,289)	-	-
სავალუტო ფორვარდების და სვოპების წმინდა რეალური ღირებულება		(48)	-	

30 ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება ბაზრის მოთამაშეებს შორის ანგარიშგების თარიღისათვის წარმოებული მარტივი ტრანზაქციის ფარგლებში აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის სანაცვლოდ მიღებული ან გადახდილი თანხაა ვალდებულების გადასაცემად. კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, მისთვის ხელმისაწვდომი იმ ბაზრის ინფორმაციის საფუძველზე, რომელზეც ის ოპერირებს, და ასევე, შეფასების შესაბამისი მეთოდოლოგიის გამოყენებით. მიუხედავად ამისა, აუცილებელია დასკვნების გაკეთება ბაზრის მონაცემების გასაანალიზებლად, რაც თავის მხრივ საპროგნოზო რეალური ღირებულების განსაზღვრავად არის საჭირო. საქართველოსთვის კვლავ დამახასიათებელია განვითარებადი ბაზრის ზოგიერთი ნიშანი, ეკონომიკური გარემო კი ისევ აფერხებს ფინანსურ ბაზრებზე განხორციელებული აქტივობების მასშტაბებს. მენეჯმენტმა გამოიყენა საპროცენტო განაკვეთებთან დაკავშირებით ხელმისაწვდომი ყველა სახის ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება ამორტიზებული ღირებულებით აისახება. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ამორტიზებული ღირებულებით აისახება, რაც მიმდინარე რეალური ღირებულების ტოლია. წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში, ლიზინგის ხელშეკრულებების საფუძველზე მიღებული ავანსები და სხვა ფინანსური აქტივები გაუფასურების რეზერვების გამოკლებით აღირიცხება. ამ ფინანსური აქტივების შეფასებული რეალური ღირებულება არის მისაღები საპროგნოზო ფულადი ნაკადების დისკონტირებული თანხა. რეალური ღირებულების განსაზღვრის მიზნით საპროგნოზო ფულადი ნაკადების დისკონტირება მიმდინარე საბაზრო განაკვეთების შესაბამისად ხდება.

ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომელთა დაფარვის საბოლოო ვადა ცნობილია, და რომელთა შესახებ ხელმისაწვდომი არ არის კონტირებული საბაზრო ფასი, იმ საპროგნოზო ფულადი ნაკადების საფუძველზე შეფასდა, რომელთა დისკონტირებაც იგივე საკრედიტო რისკისა და დაფარვის დარჩენილი ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის დაწესებული მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით მოხდა. მცოცავი განაკვეთის ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, როგორც წესი, მათი საბალანსო ღირებულების ტოლია. მოთხოვნისას ან მოთხოვნის შემდეგ („მოთხოვნადი ვალდებულებები“) დასაფარი ვალდებულებების რეალური ღირებულება ფასდება, როგორც მოთხოვნისას გადასახდელი თანხა, დისკონტირებული თანხის გადახდის მოთხოვნის პირველივე შესაძლო თარიღიდან. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები შეესაბამება კომპანიის საკრედიტო რისკს და ასევე ითვალისწინებს ინსტრუმენტის ვალუტას და ვადიანობას (საბოლოო დაფარვის თარიღს).

რეალური ღირებულების იერარქიაში დონეების მიხედვით გაანალიზებული რეალური ღირებულებები და იმ აქტივების საბალანსო ღირებულება, რომელთა შეფასება რეალური ღირებულებით არ მომხდარა, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასე გამოიყურება:

სააქციო საზოგადოება თიბისი ლიზინგი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები- 2018 წლის 31 დეკემბერი

(თანხები მოცემულია ათასობით ქართულ ლარში)

30 ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბერი				
	დონე 1	დონე 2	დონე 3	საბალანსო ღირებულება
ფინანსური აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	18,639	-	-	18,639
ბანკებიდან მისაღები თანხები	-	-	-	-
ლიზინგის ხელშეკრულებების საფუძველზე მიღებული ავანსები	-	-	35,540	36,068
წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	-	-	206,665	203,707
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	-	8,241	-	8,241
სხვა ფინანსური აქტივები	-	-	3,136	7,326
სულ აქტივები	18,639	8,241	245,341	273,981
ფინანსური ვალდებულებები				
სესხები ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან	-	203,016	-	204,369
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	8,030	-	8,094
კლიენტებისგან მიღებული ავანსები (საგირავნო დეპოზიტი)	-	9,522	-	9,522
სუბორდინირებული სესხი	-	29,213	-	29,247
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	-	8,289	-	8,289
სხვა ვალდებულებები	-	5,483	-	5,483
სულ ვალდებულებები	-	263,553	-	265,004

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სამართლიანი ღირებულების იერარქიაში დონეების მიხედვით გაანალიზებული სამართლიანი ღირებულებები და იმ აქტივების საბალანსო ღირებულება, რომელთა შეფასება სამართლიანი ღირებულებით არ მომხდარა, ასე გამოიყურება:

სააქციო საზოგადოება თიბისი ლიზინგი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები- 2018 წლის 31 დეკემბერი
(თანხები მოცემულია ათასობით ქართულ ლარში)

30 ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება (გაგრძელება)

	2017 წლის 31 დეკემბერი			საბალანსო ღირებულება
	დონე 1	დონე 2	დონე 3	
ფინანსური აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	7,865	-	-	7,865
ბანკებიდან მისაღები თანხები	4,432	-	-	4,432
ლიზინგის ხელშეკრულებების საფუძველზე მიღებული ავანსები	-	-	22,343	23,017
წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	-	-	145,792	143,777
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	-	-	-	-
სხვა ფინანსური აქტივები	-	-	3,136	4,047
სულ აქტივები	12,297	-	171,271	183,138
ფინანსური ვალდებულებები				
სესხები ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან	-	134,845	-	135,781
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	7,777	-	7,798
კლიენტებისგან მიღებული ავანსები (საგირავნო დეპოზიტი)	-	10,294	-	10,294
სუბორდინირებული სესხი	-	15,577	-	15,685
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	-	-	-	-
სხვა ვალდებულებები	-	9,257	-	9,257
სულ ვალდებულებები	-	177,750	-	178,815

31 პირობითი ვალდებულებები

სამართალწარმოება. დროდადრო და ბინჯესის წარმოების ჩვეულებრივ რეჟიმში, კომპანიის წინააღმდეგ სამართლოში შესაძლოა შეტანილ იქნას სარჩელი. როგორც საკუთარი, ისე შიდა და გარე საკონსულტაციო წყაროებით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ხელმძღვანელობა თვლის, რომ სარჩელებიდან გამომდინარე არსებითი ზარალის მიღება მოსალოდნელი არ არის და შესაბამისად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებებში არ მომხდარა ამ მხრივ რეზერვების ასახვა.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს ექვემდებარება, რასაც შესაძლოა ხშირი ხასიათი ჰქონდეს. კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაცია კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებაში შესაძლოა ექვემდებარებოდეს დააყენონ შესაბამისმა ორგანოებმა. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული ინტერპრეტაცია მართებულია და კომპანიის საგადასახადო პოზიციები შენარჩუნდება. აქედან გამომდინარე, 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, პოტენციური საგადასახადო ვალდებულებებისათვის რეზერვები არ შექმნილა.

ტრანსფერ ფრაისინგის კანონმდებლობა ტექნიკურად კომპლექსურია და შესაბამისობაშია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD)-ის მიერ მიღებულ საერთაშორისო სატრანსფერო ფასწარმოქმნის პრინციპებთან. კანონმდებლობა საგადასახადო ორგანოებს საშუალებას აძლევს მოახდინონ სატრანსფერო ფასწარმოქმნის კორექტირებები და განსაზღვრონ დამატებითი საგადასახადო ვალდებულებები კონტროლირებად ოპერაციებთან მიმართებაში (ოპერაციები ზოგიერთ დაკავშირებულ და არადაკავშირებულ მხარეებთან), თუ ოპერაციის ფასი მხოლოდ საკუთარი ინტერესის მქონე პირებს შორის გარიგებების პრინციპით არ არის განსაზღვრული.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მან გაატარა შიდა კონტროლის ღონისძიებები ტრანსფერ ფრაისინგის კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ჯერ არ არსებობს სატრანსფერო ფასწარმოქმნის წესების შესრულების მდიდარი პრაქტიკა, კომპანიის სატრანსფერო ფასების შეფასებაში ექვსი შეტანის გონივრული საფუძველი არ არსებობს; ამის მიუხედავად, ეს საკითხი მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და/ან ზოგადად, მის ოპერაციებზე.

საოპერაციო იჯარის ვალდებულებები. ი.ი. სადაც კომპანია მეიჯარეა, სამომავლო მინიმალური საიჯარო გადახდები შეუქცევადი საოპერაციო იჯარის ქვეშ შემდეგია:

	2018
არაუგვიანეს 1 წლისა	463
ერთი წლის შემდეგ და არაუგვიანეს 5 წლისა	778
5 წლის შემდეგ	-
სულ საოპერაციო იჯარის ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,241

შეთანხმებების ვალდებულებების შესრულება. კომპანიას გააჩნია გარკვეული შეთანხმებების ვალდებულებები, რომლებიც უპირველესად დაკავშირებულია ბანკებიდან და სხვა ფინანსური ინსტიტუტებიდან ნასესხებ სახსრებთან. მსგავსი შეთანხმებების ვალდებულებების შეუსრულებობამ, შესაძლოა გამოიწვიოს უარყოფითი შედეგები კომპანიისთვის, ნასესხების სახსრების ხარჯების ზრდის და არსებული სახსრების გადაფარვის დროის ჩათვლით. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ წლების განმავლობაში, კომპანიამ შეასრულა ძალაში მყოფი შეთანხმებების ვალდებულებები.

სააქციო საზოგადოება თიბისი ლიზინგი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები- 2018 წლის 31 დეკემბერი

(თანხები მოცემულია ათასობით ქართულ ლარში)

32 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად დაკავშირებულად ითვლებიან მხარეები, თუ ისინი საერთო კონტროლს ექვემდებარებიან ან ერთ მხარეს შესწევს მეორე მხარის გაკონტროლების უნარი ან შეუძლია მასზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა ფინანსური თუ საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. დაკავშირებულ მხარესთან თითოეული შესაძლო ურთიერთობის გათვალისწინებისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ, უბრალოდ სამართლებრივ ფორმას.

ასეთი ოპერაციები შედის „სხვა დაკავშირებულ პირებში“ და შეეხება საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ სხვა კომპანიებს და დედა კომპანიის ძირითად აქციონერებს. ხელმძღვანელობის წამყვანი პერსონალი კომპანიის მმართველთა საბჭოს წევრებისაგან შედგება.

31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგი დაუფარავი ნაშთები დაფიქსირდა:

	2018			2017		
	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	სხვა დაკავშირებუ ლი საწარმოები	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	სხვა დაკავშირებუ ლი საწარმოები
ფულადი სახსრები და მათი						
ექვივალენტები	17,371	-	-	6,920	-	-
ბანკებიდან						
მისაღები თანხები	-	-	-	4,432	-	-
წმინდა ინვესტიცია						
ფინანსურ						
ლიზინგში						
(ეფექტური						
საპროცენტო						
განაკვეთი: 15.0%- 40.0%)	-	-	1,300	-	-	721
სესხები ბანკებიდან						
და ფინანსური						
ინსტიტუტებიდან						
(სახელშეკრულებო						
საპროცენტო						
განაკვეთი: 5 %- 13.5%)	45,359	-	-	21,542	5,198	-
სუბორდინირებულ						
ი სესხები	2,445	-	-	13,072	-	-
სხვა						
ვალდებულებები	105	-	-	-	-	-

დაკავშირებულ მხარეებთან შემოსავლისა და დანახარჯის პუნქტები 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის მდგომარეობით:

სააქციო საზოგადოება თიბისი ლიზინგი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები- 2018 წლის 31 დეკემბერი

(თანხები მოცემულია ათასობით ქართულ ლარში)

32 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

	2018			2017		
	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	სხვა დაკავშირებუ ლი საწარმოები	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	სხვა დაკავშირებუ ლი საწარმოები
შემოსავალი ფინანსური ლიზინგიდან	250	-	-	166	-	-
შემოსავალი საოპერაციო ლიზინგიდან	745	131	-	-	-	-
ფინანსური შემოსავალი	-	-	189	-	-	206
სხვა შემოსავალი	11	-	-	-	-	-
საპროცენტო ხარჯი	4,465	195	-	2,601	72	-
საბანკო და სხვა მომსახურების ხარჯები	59	43	-	138	-	-
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდა ნ მიღებული	-	-	-	-	-	-
სარგებელი	56	-	-	-	-	-
სხვა ხარჯები	-	2,092	-	-	832	-

მთავარი ხელმძღვანელი პირების კომპენსაციები შემდეგია:

	2018		2017	
	ხარჯები	დარიცხული ვალდებულება	ხარჯები	დარიცხული ვალდებულება
მოკლევადიანი გასამრჯელოები	1,309	599	1,133	306

31 დეკემბრით დასრულებული 2018 და 2017 წლების განმავლობაში, მთავარი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება, რომლებიც ამავე დროს არიან მმართველი საბჭოს წევრები, შედგება ხელფასების, ბონუსების, დაზღვევის ანაზღაურებისა და მივლინების ხარჯებისაგან.

თიბისი ლიზინგი

სს თიბისი ლიზინგი დაარსდა 2003 წელს თიბისი ბანკის მიერ და დაარსების დღიდან, კომპანია ცდილობს ლიზინგის ბაზარზე გახდეს ლიდერი კომპანია და აწესებს კლიენტების მომსახურების მაღალ სტანდარტებს. თიბისი ლიზინგი ემსახურება კორპორაციულ თუ საცალო ვაჭრობის კლიენტებს სხვადასხვა გაყიდვების არხების მეშვეობით და მუდმივად წარადგენს ინოვაციურ და ახალ პროდუქციას საქართველოს ლიზინგის ბაზარზე.

შინაარსი

ფინანსური ინდიკატორები.....	1
საოპერაციო ინდიკატორები	2
კომპანიის მიმოხილვა.....	3
ლიზინგის ბაზრის მიმოხილვა.....	4
2018 წლის ფინანსური შედეგების მიმოხილვა	5
ზრდადი მომგებიანობა	5
წმინდა სალიზინგო შემოსავალი.....	6
გაუფასურების ანარიცხი	6
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო დანახარჯები	7
რისკ ფაქტორები და გაურკვევლობა	7
მაკროეკონომიკა, პოლიტიკა, ბაზრის პირობები.....	7
დაფინანსება	8
საბაზრო საპროცენტო განაკვეთი	8
კონკურენცია	9
რისკების მართვა და შიდა საკონტროლო სისტემები.....	10
სავალუტო კურსის რყევები	11
პოლიტიკური არასტაბილურობა საქართველოში	11
ეკონომიკური არასტაბილურობა საქართველოში.....	12
რისკის მართვა.....	13
ფინანსური რისკის მართვა	14
კორპორაციული მმართველობა	16
სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ბიოგრაფია.....	16
მმართველი საბჭოს წევრების ბიოგრაფია.....	17

ფინანსური ინდიკატორები

წმინდა შემოსავალი (ათასობით ქართული ლარი)

ცვლილება	+49.2%
2018	6,094
2017	4,084

ბრუნვა საშუალო კაპიტალზე

ცვლილება	4.1 პუნქტი
2018	27.6%
2017	23.5%

ბრუნვა საშუალო აქტივზე

ცვლილება	-0.1 პუნქტი
2018	2.5%
2017	2.5%

ხარჯების შემოსავალთან ფარდობა

ცვლილება	-7.6 პუნქტი
2018	36.4%
2017	44.1%

რისკის მართვის ხარჯი

ცვლილება	0.6 პუნქტი
2018	2.7%
2017	2.1%

სულ აქტივები (ათასობით ქართული ლარი)

ცვლილება	+64.2%
2018	289,683
2017	200,829

არაწარმადი ლიზინგები

ცვლილება	0.01 პუნქტი
2018	3.0%
2017	3.0%

სს თიბისი ლიზინგი, მმართველობითი ანგარიშგება

საოპერაციო ინდიკატორები

თანამშრომლების რაოდენობა

2018	110
2017	79

ფილიალების რაოდენობა

2018	5
2017	4

აქტიური კლიენტების რაოდენობა

2018	3,639
2017	2,144

აქტიური კონტრაქტების რაოდენობა

2018	5,349
2017	3,440

კომპანიის მიმოხილვა

კომპანიის მთავარი ბიზნეს მიზანი მცირე და საშუალო მეწარმეების აქტივების დაფინანსების უზრუნველყოფაა, ისევე, როგორც საცალო ვაჭრობის ლიზინგი- 2017 წლიდან, კომპანია აქტიურად არის ჩართული საცალო ვაჭრობის ბაზარზე და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საცალო ვაჭრობის კლიენტებისთვის გაცემულმა ლიზინგებმა მთლიანი სალიზინგო პორტფელის 12.5% შეადგინა. კომპანია შემდგომი სახის სალიზინგო პროდუქციას სთავაზობს თავის კლიენტებს:

- ფინანსური ლიზინგი - ლიზინგის მიმღები ჩვეულებრივ იძენს ლიზინგის აქტივს ვადის დასრულებისთვის
- საოპერაციო ლიზინგი-ლიზინგის მიმღები უზრუნებს ლიზინგის აქტივს კომპანიას სალიზინგო ვადის დასრულებისთვის.

ფინანსური ლიზინგი ყველაზე პოპულარული პროდუქტია კომპანიის პორტფელის უდიდესი წილით (დაახლოებით 97%), მას ფეხდაფეხ მოყვება საოპერაციო ლიზინგი.

თითოეული ლიზინგი გაიცემა დოკუმენტებზე დაყრდნობით (მოთხოვნის ჩათვლით), რომლებიც სათანადოდაა წარმოდგენილი პოტენციური კლიენტის მიერ. პროდუქტის გამოშვებამდე, კომპანია მოითხოვს სალიზინგო აქტივის ობიექტურ შეფასებას.

ვინაიდან სალიზინგო აქტივები პროდუქტის გირაოს სახითაც ემსახურება, კომპანიის საკრედიტო პოლიტიკა ითხოვს, რომ ისინი იყოს დაზღვეული კლიენტების ან თვითონ კომპანიის მიერ. მხოლოდ მაღალი რეიტინგის მქონე სადაზღვევო კომპანიებია მიღებული, როგორც შესაფერისი პროვაიდერი.

მას შემდეგ, რაც ლიზინგი ძალაში შევა, კომპანია აწარმოებს მის რეგულარულ, ყოველწლიურ მონიტორინგს, ფინანსური დოკუმენტაციის ან აქტივის მონიტორინგის/გადაფასების მეშვეობით.

კომპანიის ფართოდ დივერსიფიცირებული ვალდებულებების სტრუქტურა მხარდაჭერილია მაღალი რეიტინგის მქონე მსესხებლებით, რომლებიც მოიცავს ისეთ კომპანიებს, როგორებიცაა Symbiotics, ResponsAbility, Triple Jump, Micorvest, BlueOrchard, Green for Growth Fund და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი, აგრეთვე ადგილობრივი ქართული ბანკები. 2018 წელს, თიბისი ლიზინგმა წარმატებულად შეძლო 10 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის, კერძო სუბორდინირებული ობლიგაციების პირველადი ადგილობრივად განთავსება.

ამჟამად, კომპანია ოპერირებს სათაო ოფისით და 5 საცალო ვაჭრობის ფილიალით, რომელთაგან 2 განთავსებულია თბილისის გარეთ. საცალო ვაჭრობის ფილიალები ემსახურებიან კლიენტებს, ვისაც ყოველთვიური შემოსავალი 700-2000 ლარი აქვთ და მეორად და იმპორტირებულ ავტომობილების ფინანსურ ლიზინგზე. ფილიალების გარდა, კომპანია წარმოდგენილია სავაჭრო ადგილებით 5 ოფიციალურ ავტომობილების სადილეროში. კორპორაციულ კლიენტებს ემსახურება კომპანიის სათაო ოფისი.

სამომავლო განვითარების გეგმები და ახლო წარსულში ჩატრებული კვლევები და განვითარების პროექტები


კომპანია სამომავლოდ გეგმავს ციფრული მომსახურების გაძლიერებას, რომელიც თავდაპირველ ეტაპზე მოიცავს კლიენტებისთვის ონლაინ პლატფორმის შექმნას, იმისათვის, რომ მათ ჰქონდეთ წვდომა კომპანიის კლიენტების დაუფარავ ანგარიშებზე, აგრეთვე

ახლების ჩამოყალიბებას. დამატებით, კომპანია გეგმავს საქართველოს ფარგლებში მის წარმომადგენლობის გაზრდას ქვეყნის რამოდენიმე დიდ ქალაქში ახალი ფილიალების დამატებით. კომპანიამ ახალი საოპერაციო და სააღრიცხვო პროგრამულ უზრუნველყოფაში სავსაოდ დიდი ინვესტიციები ჩადო, რომლებიც ეხლა განვითარების შემდგომ ეტაპზეა და კომპანიას ზრდის და მისი კლიენტების მომსახურების საშუალებას აძლევს.

ლიზინგის ბაზრის მიმოხილვა

მთავარი მოთამაშეები ბაზარზე არიან თიბისი ლიზინგი („TBCL“), საქართველოს ლიზინგის კომპანია („GLC“), და ალიანს ჯგუფის ლიზინგი („AGL“). საქართველოს ლიზინგის ბაზარზე სხვა აქტიური კომპანიებია ლიბერთი ბანკი, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვისს კაპიტალი, შპს მოგო და სხვა მრავალი მიკროსაფინანსო და არასაბანკო სასესხო ინსტიტუტები. სამი ძირითადი კომპანია (კომპანია, GLC და AGL) დომინირებენ საქართველოს ლიზინგის ინსუსტრიაში; თუმცა ისინი ფოკუსირებას დიდ მცირე და საშუალო საწარმოებზე ახდენენ, როდესაც საცალო ვაჭრობის ლიზინგის ბაზარი უმეტესად აუთვისებელია. ლიზინგების უმეტესობა (დაახლოებით 95%) წარმოადგენს ფინანსურ ლიზინგს.

საბაზრო წილის მიხედვით თიბისი ლიზინგს 2018 წლის მეოთხე კვარტალში ბაზრის 72.3% ეკავა და ინარჩუნებს ლიდერის პოზიციას წლების განმავლობაში. საბაზრო წილების შესახებ მონაცემები ამ სამი ძირითადი მოთამაშისთვის მოცემულია ქვემოთ მოცემულ გრაფაში:



2011 წელს, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ახალი კანონი სამოქალაქო სამართლის უნიფიკაციის საერთაშორისო ინსტიტუტის (UNIDROIT) პრინციპების მიხედვით, დამოუკიდებელი მთავრობათაშორისი ორგანიზაცია, რომელიც დაფუძნებულია რომში და რომლის მიზანია სამოქალაქო და სახელმწიფოთა კომერციული სამართლის თანხვედრაში მოყვანა. შედეგად, საქართველოს საგადასახადო და სამოქალაქო კოდექსებში მთელი რიგი ცვლილებები განხორციელდა. ახალმა კანონმდებლობამ კომპანიებისთვის უფრო ძლიერი მოტივაცია შექმნა გასცენ ლიზინგები, მათთვის საგადასახადო მოქნილობის, ლიზინგის მიმღებებისთვის უფრო ადვილი საგადასახადო პროცედურების უფლების მინიჭებით, შემცირებული საგადასახადო ეფექტური განაკვეთებით ლიზინგის გამცემებისთვის და ლიზინგის მიმღებებისთვის, ლიზინგის საბუღალტრო არღიცხვის ცვლილებების მეშვეობით.

სს თიბისი ლიზინგი, მმართველობითი ანგარიშგება

2011 წლიდან 2017 წლის დასაწყისამდე (მოგების გადასახადის ეგრეთწოდებული „ესტონური მოდელის“ ძალაში შესვლის შემდეგ) სალიზინგო კომპანიებს უფლება მიენიჭათ სრულად დააკონ ფიქსირებული აქტივი 1000 ლარის ფიქსირებული ღირებულებით. დაკავება მოხდა საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოყენებადი ანარიცხების მიხედვით გამოანგარიშებული გაუფასურების ხარჯების პროპორციით. პერიოდული სალიზინგო გადახდები (საპროცენტო და მთავარი) საგადასახადო აღრიცხვის მიზნებისთვის გაწეულ ხარჯებში შედის, რის შედეგადაც კომპანიებს მოგების საგადასახადო ტვირთის შემცირების შესაძლებლობა ეძლევათ. კოდექსი ასევე ლიზინგის გამცემის სალიზინგო აქტივის ეფექტური საკუთრების გადასახადის გამოთვლის შესაძლებლობას იძლევა. ლიზინგით გაცემული დასაბეგრი საკუთრების ყოველწლიური საგადასახადო რეიტინგი სალიზინგო კომპანიისათვის განისაზღვრება ლიზინგის შეთანხმების სრული პერიოდის განმავლობაში, როგორც მაქსიმალური ოდენობა 0.6% თავდაპირველი საბალანსო ღირებულებისა მისი პირველი ტრანსფერის დროს. დღე ლიზინგის გადახდების პროპორციულად გადაიხდება.

2017 წლის 1 იანვრიდან, ახალმა შესწორებებმა საგადასახადო კოდექსში, საშუალება მისცა სალიზინგო კომპანიებს გათავისუფლდნენ მათი შემოსავლების მოგების გადასახადისგან, თუ მოგება არ განაწილდა დივიდენდების სახით მათ აქციონერებზე.

2018 წლის ფინანსური შედეგების მიმოხილვა

თიბისი ლიზინგის ფინანსური ანგარიშგება ფასს (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების) მიხედვითაა მომზადებული.

მთავარი ფინანსური ინდიკატორები:

	2018	2017	ცვლილება
ბრუნვა საშუალო კაპიტალზე	27.63%	23.53%	4.1, პუნქტი
ბრუნვა საშუალო აქტივებზე	2.48%	2.53%	-0.05, პუნქტი
მოგების ხარჯი	36.45%	44.09%	-7.64, პუნქტი
რისკის ხარჯი	2.68%	2.08%	0.6, პუნქტი
NPL უმოქმედო სესხი	2.99%	2.97%	0.01, პუნქტი

ზრდადი მომგებიანობა

კომპანიის წმინდა მოგება იზრდება წლიდან წლამდე და 2018 წელიც არ იყო გამოწვევის. გასული წლის წმინდა მოგებამ 6,094 ათასი ლარი შეადგინა, რაც 2017 წელთან შედარებით, 49%-ით მეტია. გაზრდილი მომგებიანობა ძირითადად ლიზინგის პორფელის მნიშვნელოვანი ზრდით და აქტივებისა და ვალდებულებების ეფექტური მართვითაა გამოწვეული.

სს თიბისი ლიზინგი, მმართველობითი ანგარიშგება

ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური თანაფარდობა კომპანიისათვის არის ROAE (ბრუნვა საშუალო კაპიტალზე), რაც გასული წლისთვის 27.6% იყო. 2017 წელთან შედარებით მნიშვნელოვანი გამუჯობესებაა, მაგრამ თუ ჩვენ განვაგრძობთ ანალიზს და შევხედავთ ცხრილს ქვემოთ, დავინახავთ იმას, რომ ბრუნვა საშუალო კაპიტალზე განგმობითი ოპერაციებიდან კიდევ უფრო მეტად გაუმჯობესდა.

	2018	2017	ცვლილება
წმინდა შემოსავალი	6,094,041	4,084,635	49%
წმინდა შემოსავალი განგმობითი ოპერაციებიდან	6,293,169	3,761,635	67%
ბრუნვა საშუალო კაპიტალზე	27.63%	23.53%	4.1, pp
ბრუნვა საშუალო კაპიტალზე (განგმობითი ოპერაციები)	28.53%	21.67%	6.86, pp

წმინდა სალიზინგო შემოსავალი

ამ პერიოდში წმინდა სალიზინგო შემოსავალმა 19.277 ათასი ლარი შეადგინა, 102%-ით მეტი, ვიდრე გასულ წელს. როგორც ადრე იყო აღნიშნული, ლიზინგის პორტფელში მნიშვნელოვანი ზრდა შეინიშნებოდა, რაც გაზრდილი მომგებიანობის ძირითადი მიზეზი იყო. მეორე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიამ ბევრი იმუშავა თანხების ხარჯების შემცირებისთვის და თუ შევხედავთ ქვემოთ მოცემულ ცხრილს, დავინახავთ, რომ ლიზინგის შემოსავალი 83%-ით გაიზარდა 2017 წელთან შედარებით, როდესაც საპროცენტო ხარჯი გაიზარდა 63%-ით იგივე პერიოდში.

	2018	2017	ცვლილება
ლიზინგის შემოსავალი	34,560,372	18,918,922	83%
საპროცენტო ხარჯი	15,283,118	9,394,558	63%
ლიზინგის წმინდა შემოსავალი	19,277,255	9,524,364	102%
ლიზინგის წმინდა შემოსავლის მარჟა	55.78%	50.34%	5.44, pp

გაუფასურების ანარიცხი

კომპანიის რისკის ხარჯი შედგება ორი მთავარი ელემენტისაგან: ფინანსურ ლიზინგში წმინდა ინვესტიციების გაუფასურების ანარიცხი და არაოპერაციული ხარჯები, რომელიც სანაცვლოდ წარმოადგენს სხვა ფინანსური აქტივებისა და არაოპერაციული ხარჯების გაუფასურების ანარიცხის ჯამს.

სულ ანარიცხის ხარჯი გაიზარდა წინა წელთან შედარებით, ძირითადად ახალი პროდუქტი-სტარტოს (ადგილობრივი და იმპორტირებული მეორადი ავტომობილები საცალო ვაჭრობის კლიენტებისთვის) მიზეზით, რომელსაც გააჩნია შედარებით მაღალი შეწყვეტის კოეფიციენტი, მაგრამ თან გააჩნია უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთი. არაოპერაციული ხარჯები ასევე გაიზარდა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, იმიტომ, რომ მართვასთან დაკავშირებულმა ხარჯებმა გაზარდეს დაბრუნებული

სს თიბისი ლიზინგი, მმართველობითი ანგარიშგება

აქტივები. ზემოთხსენებული ინფორმაციის გათვალისწინებით, რისკის ხარჯი პერიოდისთვის გაიზარდა 0.6%-ით და შეადგინა 2.7% 2018 წლის ფინანსური წლის ბოლოს.

	2018	2017	ცვლილება
ლიზინგის მოთხოვნების ანარიცხი	623,551	262,677	137%
არაოპერაციული ხარჯები	5,054,697	2,387,900	112%
სხვა ფინანსური აქტივების გაუფასურების ანარიცხი	4,262,283	1,993,125	114%
სხვა არაოპერაციული ხარჯები	792,414	394,775	101%
სულ რისკის ხარჯი (ანარიცხები და სხვა ხარჯები)	5,678,248	2,650,577	114%
რისკის ხარჯი	2.7%	2.1%	0.6, pp

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო დანახარჯები

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო დანახარჯები გაიზარდა და შეადგინა 7,026 ათასი ლარი, რაც 67%-ით მეტია ვიდრე გასულ წელს. მსგავსი ზრდის მთავარი განმსაზღვრელი არის პერსონალის დანახარჯები, რომელიც გაიზარდა ლიზინგის პორტფელის ზრდასთან ერთად. მიუხედავად გაზრდილი დანახარჯებისა, მოგების ხარჯის თანაფარდობა მნიშვნელოვნად შემცირდა 2018 წლის ბოლოსთვის და 36.4% შეადგენს.

	2018	2017	ცვლილება
დანახარჯები პერსონალზე	3,937,380	2,681,004	47%
ცვეთა და ამორტიზაცია	180,342	144,585	25%
სხვა ადმინისტრაციული და საოპერაციო დანახარჯები	2,908,375	1,373,929	112%
სულ ადმინისტრაციული და საოპერაციო დანახარჯები	7,026,097	4,199,519	67%
მოგების ხარჯი	36.4%	44.1%	-7.64, პუნქტი

რისკ ფაქტორები და გაურკვევლობა

მაკროეკონომიკა, პოლიტიკა, ბაზრის პირობები

ისე, როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, საქართველოშიც კომპანიების ბიზნესი, ფინანსური მდგომარეობა და ოპერაციების შედეგები დიდწილად მაკროეკონომიკური და საბაზრო პირობებითაა ნაკარნახევი. კომპანია ბრუნვის უმეტეს ნაწილს ლიზინგის მომსახურებიდან აწარმოებს, რისი ზრდაც დამოკიდებულია საქართველოს ბაზარზე სალიზინგო მომსახურების მოთხოვნაზე. საქართველოს ეკონომიკის ვარდნამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ლიზინგის მომსახურების საერთო მოთხოვნაზე, რასაც, თავის მხრივ, შეუძლია კომპანიის ბიზნესისა და ზრდის პერსპექტივებისთვის ზიანის მიყენება.

კომპანიის ბიზნესი, ფინანსური მდგომარეობა და ოპერაციების შედეგები დამოკიდებულია საქართველოს მაკროეკონომიკურ პირობებსა და ადგილობრივ პოლიტიკაზე, ინფლაციის და დეფლაციის, ვალუტის კურსის რყევების, ფინანსებთან ხელმისაწვდომობის და საპროცენტო განაკვეთის ჩათვლით. მაკროეკონომიკური პირობების და ადგილობრივი პოლიტიკის ცვლილებებმა მატერიალურად უარყოფითად შეიძლება იმოქმედოს კომპანიასა და მის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციების შედეგებზე. თუ კომპანიამ ვერ შეძლო მისი ბიზნესის სტრუქტურის სათანადოდ მორგება მსგავსი პოლიტიკის ცვლილებაზე და რისკების შემსუბუქება, მისი ბიზნეს ოპერაციები და პერპექტივები შესაძლოა უარყოფითი გავლენის ქვეშ აღმოჩნდნენ.

დაფინანსება

კომპანიის ბიზნესი საბალანსოა, რაც ლიზინგის პორტფელის ზრდის მხარდასაჭერად სარძნობლად დიდ დაფინანსებას საჭიროებს, რათა დაფინანსდეს მისი ოპერაციები და დაიფაროს ვალები. კომპანიას უწევს ძირითადი და საპროცენტო გადახდების წარმოება მისი დაუფარავი სესხების მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია ძირითადად აწარმოებს დაფინანსების მნიშვნელოვან წილს ლიზინგის ოპერაციებიდან, გრძელვადიანი ბიზნესის საჭიროებებისა და ფულის მოთხოვნების შესაბამისობა მოითხოვს საფუძვლიან ლიკვიდურობას და სატბილურ ხელმისაწვდომობას მრავალჯერად საფინანსო წყაროებთან. კომპანია აფინანსებს მის ოპერაციებს და ეკონომიკური აქტივობის ზრდას თავდაპირველად ბანკის საშუალებით და სხვა პარტნიორი ფინანსური ინსტიტუტებისგან ნასესხები სახსრებით, ობლიგაციების გამოცემით და ფულადი სახსრების შედინებით სააქციო კაპიტალში, იმ ფულად სახსრებზე დამატებით, რომელიც მისი ბიზნეს ოპერაციებიდანაა ნაწარმოები. თუ კომპანია ვერ შეძლებს შეინარჩუნოს მისი მიმდინარე და სამომავლო დაფინანსება კომერციულად მისაღები პირობებით, მან შესაძლოა ვეღარ შეძლოს საკმარისი დაფინანსების მოპოვება მიმდინარე წყაროებიდან. კომპანიის დაფინანსების მიმდინარე წყაროები ადექვატურია დაგეგმილი ზრდის მხარდასაჭერად, მაგრამ, როგორც გარე და შიდა ფაქტორების შედეგი, შეიძლება არ იყოს საკმარისი ლიკვიდურობის საჭიროებებისთვის სამომავლოდ, და შესაძლოა არ ჰქონდეს შესაძლებლობა დროულად აღმოაჩინოს ახალი წყაროები ბიზნესისთვის დაფინანსების მოსაზიდად.

საბაზრო საპროცენტო განაკვეთი

ორივე, ლიზინგის შემოსავალი, რომელსაც კომპანია იღებს ლიზინგის მიმღებებისგან და საპროცენტო განაკვეთი, რომელსაც კომპანია იხდის მისი სესხების დასაფარად, დაქვემდებარებულია საბაზრო საპროცენტო განაკვეთს. საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მაღალი მერყეობა პირდაპირ იმოქმედებს კომპანიის ფინანსურ ხარჯებზე, ლიზინგის შემოსავალზე, წმინდა საპროცენტო მარჟაზე და კომპანიის საპროცენტო მარჟასა და ფინანსურ მდგომარეობაზე. თუმცა, კომპანია გულმოდგინედ ცდილობს საპროცენტო განაკვეთის მერყეობის რისკის შემცირებას მცოცავი და ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების თანხვედრაში მოყვანით მის დაფინანსებაში და სალიზინგო დაფინანსების მხარეს. საბაზრო საპროცენტო განაკვეთების რყევები დამოკიდებულია კომპანიის კონტროლს გარეთ არსებულ ფაქტორებზე, ისეთებზე როგორიცაა საქართველოს საბანკო და საფინანსო სექტორების მარეგულირებელი ჩარჩო და საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური გარემო.

კონკურენცია

სალიზინგო ინდუსტრია სწრაფად ვითარდება და უფრო და უფრო მეტად კონკურენტული ხდება. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას საბაზრო წილის 70% უჭირავს და ქართული ლიზინგის ინდუსტრიას ჯერ კიდევ განვითარების დიდი პოტენცია გააჩნია, არ შეიძლება არსებობდეს რაიმე გარანტია იმისა, რომ კომპანიას ექნება შესაძლებლობა შეინარჩუნოს ბაზრის ლიდერის პოზიცია ზრდადი ინტენსიური კონკურენციის შედეგად. კომპანიის რამოდენიმე კონკურენტს შესაძლოა ჰქონდეს უფრო დიდი ფინანსური და მმართველობითი რესურსი. აგრეთვე შესაძლებელია მათ ჰქონდეთ მეტი ოპერაციული და ფინანსური რესურსი, ისევე, როგორც მომხმარებლების ქსელი და მათთან ურთიერთობები, უფრო დაბალი საფინანსო ხარჯები, რისკების მიმართ უფრო მაღალი გამძლეობა ან რისკების შეფასების სხვანაირი მეთოდები, ისეთები როგორებიცაა ინვესტიციების უფრო ფართო სპექტრი, მეტი ურთიერთობების დამყარება უფრო აგრესიული გასაყიდად ფლობილი აქტივების ფასის შეთავაზების პოლიტიკა. დამატებით, კომპანიის რამოდენიმე კონკურენტს პერსპექტიული ლიზინგის მიმდებარებისთვის უკეთესი პირობების შეთავაზების შესაძლებლობა შეიძლება ჰქონდეს.

კომპანია ასევე კონკურენციაშია დიდ კომერციულ ბანკებთან და სხვა ფინანსური მომსახურების მიმწოდებლებთან საქართველოში და მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ კომპანია თავის კლიენტებს სთავაზობს სარგებელს, რომელიც სპეციფიურია მხოლოდ ლიზინგისთვის, მისი სამართლებრივი სტრუქტურისა და სპეციფიური ბუნების მიზეზით, ამ ინსტიტუტებმა შესაძლოა კომპანიის მიმდინარე და პერსპექტიულ კლიენტებს უფრო მომგებიანი პირობებით დაფინანსება მიაწოდონ. მეტიც, მეტად სარგებანი საფინანსო პირობები შესაძლოა იყოს შეთავაზებული გარკვეული ტიპის სალიზინგო აქტივების დილერებისგან/დისტრიბუტორებისგან.

რისკების მართვა და შიდა საკონტროლო სისტემები

ბოლო წლების განმავლობაში, კომპანიის ბიზნესი განვითარდა სხვადასხვა ინდუსტრიებში, მისი ბიზნესი მოდელი და რისკები უფრო კომპლექსური გახდა. კომპანია მუდმივად აუმჯობესებს მისი რისკების მართვის სისტემას, რაც მოიცავს მთავარი რისკების ოფიცრის დაქვემდებარებაში ცალკე სტრატეგიული ერთეულის შემოღებას, რომელიც პასუხისმგებელია კომპანიის საკრედიტო, აქტივებისა და სამართლებრივ რისკებზე. დამატებით, კომპანია ყოველწლიურად აწარმოებს ფინანსურ და საგადასახადო აუდიტს, რომელიც დამოუკიდებელი მესამე მხრის აუდიტორების მიერ ხორციელდება და ასევე შიდა აუდიტს, რომელიც მშობელი კომპანიის მიერ ხორციელდება კონტროლის უკმარისობის გამოსავლენად. ასეთი აუდიტის შედეგები მოეხსენებათ აქციონერებს. კომპანიის ბიზნესის და ოპერაციების ზრდასთან ერთად, რისკების მართვის შეფასებებმა შესაძლოა ვერ მოიცავს და შეამციროს ყველა მატერიალური რისკი ბიზნესში. შესაბამისად, როდესაც კომპანია ითვისებს ახალ ინდუსტრიას, ახალ კლიენტებთან ურთიერთობებს ამყარებს ან ავითარებს ახალ პროდუქტს ან მომსახურებას, მან შეიძლება ვერ შეძლოს ყველა სამომავლო რისკის გამოვლენა და შეფასება, რადგანაც მისი რისკების მართვის და კონტროლის მეთოდების ნაწილი დამყარებულია ისტორიულ ბიზნეს გამოცდილებაზე, ბაზრის მახასიათებლებსა და წარსულ მოვლენებზე და მსგავსი რისკები შესაძლოა მნიშვნელოვნად იმაზე დიდი იყოს, ვიდრე ეს კომპანიამ გათვალა ისტორიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით.

კომპანიის სხვა რისკების მართვის მეთოდები დამოკიდებულია ბაზართან, კლიენტებთან და სხვა რელევანტურ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის შეფასებაზე, რომელიც შეიძლება არასწორი, არასრული, მოძველებული ან არასათანადოდ შეფასებული იყოს.

ამასთანავე, კომპანიის ბიზნესის განვითარებასთან ერთად, მისი რისკების მართვისა და შიდა კონტროლის პოლიტიკამ შესაძლოა ეფექტურად ვერ შეამციროს ყველა ტიპის რისკი, მოულოდნელი რისკების და ისეთი რისკების ჩათვლით, რომელზეც კომპანიას შესაძლოა არ ჰქონდეს ინფორმაცია, რომლებმაც შეიძლება წვლილი შეიტანოს უმოქმედო აქტივების თანაფარდობის ზრდაში. დამატებით, საოპერაციო, სამართლებრივ თუ ფინანსურ რისკებთან მიმართებაში, კომპანიას ესაჭიროება მთელი რიგი სხვადასხვა პოლიტიკის და პროცედურების შემუშავება, იმისათვის, რომ სწორად აღწეროს და გადაამოწმოს ტრანზაქციების და მოვლენების დიდი რაოდენობა. ნებისმიერმა წარუმატებლობამ კომპანიის რისკების მართვის პროცედურების სათანადო დანერგვისას ან ნებისმიერმა წარუმატებლობამ შესაბამისი რისკების გამოვლენისას, შესაძლოა გამოიწვიოს მატერიალური და უარყოფითი გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციების შედეგებზე.

საკრედიტო რისკთან დაკავშირებული ზარალი შეიძლება დადგეს თუ კომპანიის მიერ დანერგილი რისკის მართვის პოლიტიკის, პროცედურების და შეფასების მეთოდები რისკების შესამცირებლად და საკრედიტო ზარალისგან თავის დასაცავად ნაკლებად ეფექტური გამოდგება, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო. კომპანია, რისკის მართვისთვის, იყენებს თვისოვრივ ინსტრუმენტებს და საზომებს, რომლებიც ეფუძნება ბაზრის დაკვირვებად ისტორიულ მახასიათებლებს. მსგავსი ინსტრუმენტები და საზომები შესაძლოა არ გამოდგეს სამომავლო რისკის პროგნოზირებისთვის, განსაკუთრებით იმ გაზრდილი რყევების ან შეფასებების დაცემის პერიოდებში, რომელშიც კომპანიის სალიზინგო პორტფელის სწრაფ ზრდას აქვს ადგილი. დამატებით, მიუხედავად იმისა, რომ კომპანია მოითხოვს რეგულარულ ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნებას მისი კორპორაციული კლიენტებისგან, კლიენტების ფინანსური ანგარიშგებები შეიძლება ყოველთვის არ ასახავდეს ყველა კლიენტის ფინანსური მდგომარეობის სრულ და ზუსტ სურათს. ამასთან, კომპანიის კორპორაციული კლიენტების გარკვეულ რაოდენობას შესაძლოა არ ჰქონდეს ვრცელი ან გარედან გადამოწმებული საკრედიტო ისტორია და მათი ანგარიშები შესაძლოა

სს თიბისი ლიზინგი, მმართველობითი ანგარიშგება

ვერ გადამოწმდეს გარე აუდიტის მიერ. ამასთან, კომპანიის საკრედიტო რისკის შეფასების პროცედურების მიუხედავად, კომპანიამ შესაძლოა ვერ შეძლოს ყველა პერსპექტიული ლიზინგის მიმღების მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის სწორად შეფასება და ზუსტად ვერ განსაზღვროს ასეთი კორპორაციული ლიზინგის მიმღების ლიზინგის დროულად გადახდის შესაძლებლობა.

სავალუტო კურსის რყევები

კომპანიის მთლიანი აქტივების დიდი ნაწილი, განსაკუთრებით ლიზინგის პორტფელი, დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, უპირველესად აშშ დოლარში, მაშინ, როდესაც კლიენტების უმრავლესობა, რომელსაც ლიზინგები დენომინირებული აქვთ აშშ დოლარში, გამოიმუშავებენ მათ შემოსავალს ლარში. ასეთი კლიენტები, როგორც წესი, არ არიან დაცულები ვალუტის კურსის რყევებისგან სალიზინგო ვალუტისა ლართან მიმართებაში. შესაბამისად, ლარის ნებისმიერმა გაუფასურებამ სალიზინგო ვალუტის მიმართ, შესაძლოა გამოიწვიოს ლიზინგის დაფარვასთან დაკავშირებული სიძნელეები, რომლებმაც, შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის სალიზინგო პორტფელის ხარისხის შემცირება და გაზარდოს გაუფასურების ანარიცხი ლიზინგებისთვის, რომელიც გავრცელებულია კომპანიის კლიენტებზე, რასაც, შესაძლოა, მატერიალურად უარყოფითი გავლენის მოხდენა კომპანიაზე.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანია ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს მისი ღია სავალუტო პოზიციები კომპანიის უცხოური ვალუტის პოზიციების შეზღუდვების მეშვეობით და ნელნელა გაზარდოს ლიზინგის ის წილი, რომელიც დენომინირებული იქნება ადგილობრივ ვალუტაში, არ შეიძლება იყოს რაიმე გარანტია იმისა, რომ ეს ზომები უცხოური ვალუტის კურსის რისკებისგან დაიცვას მოახრებრებს. თუ ლარის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში მერყეობს, ამან შესაძლოა კომპანია მიიყვანოს ზარალამდე, რამაც, შესაძლოა, კომპანიაზე უარყოფითი მატერიალური გავლენა იქონიოს.

პოლიტიკური არასტაბილურობა საქართველოში

1991 წელს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველომ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ტრანსფორმაცია განიცადა, კონსტიტუტციური რესპიბლიკიდან, ფედარალური სოციალისტური სახელმწიფოს ჩათვლით, დამოუკიდებელ სუვერენულ დემოკრატიადა. პოლიტიკური კლიმატი ქვეყანაში ძალიან ცვალებადი იყო 1990-იანებში და 2000-იანების დასაწყისში.

კოალიციამ „ქართული ოცნება“ საქართველოს პარლამენტში ადგილების უმეტესობა მოიგო არჩევნებში, რომელიც 2012 წლის ოქტომბერში ჩატარდა. შემდეგ, მიხეილ სააკაშვილის მმართველმა პარტიამ აღიარა დამარცხება, რამაც გამოიწვია საქართველოში ძალაუფლების გადაცემა. მალევე, საქართველოს პარლამენტმა, ბატონი ივანიშვილი პრემიერ-მინისტრად აირჩია; თუმცა, 2013 წლის ნოემბერში, ის გადადგა და აღარ არის არჩეული ოფიციალური პირი. 2018-ში, ბატონი ივანიშვილი დაუბრუნდა პოლიტიკურ მოღვაწეობას, როგორც კოალიცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე.

საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა ემყარება თავისუფალი ბაზრის ეკონომიკის პრინციპებს, რომელიც მოიცავს საკუთრების უფლების, თავისუფალი კონკურენციის და კერძო სექტორის თავისუფლების დაცვას, ეფექტური და გამჭვირვალე მთავრობით. კოალიცია „ქართული ოცნება“ ძირითადად ჩანს, რომ ბიზნესის და ინვესტორების მიმართ მეგობრულია და პრინციპში, ამ დრომდე, საქართველოს ეკონომიკის ლიბერალიზაციისა და გაუმჯობესების ძირითადი ეკონომიკური და ფისკალური პოლიტიკის მომხრედ რჩება. პრემიერ მინისტრი დაპირებულია დამატებით რეფორმებს, რომლებიც მოიცავს საგადასახადო სისტემის რეფორმას, ეკონომიკური ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის შემდგომ წახალისებას.

ნებისმიერი პოლიტიკურ არასტაბილურობას საქართველოში, შესაძლოა ჰქონდეს ნეგატიური გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე, რომელსაც, თავის მხრივ, შესაძლოა ჰქონდეს მატერიალურად უარყოფითი გავლენა კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, საოპერაციო შედეგებსა და პერსპექტივებზე, ისევე, როგორც, ობლიგაციების სავაჭრო ფასზე.

ეკონომიკური არასტაბილურობა საქართველოში

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 1990-იანი წლების ადრეულ პერიოდში, საქართველოს საზოგადოება და ეკონომიკა სწრაფად გადავიდა ერთპარტიული სახელმწიფოდან, რომელსაც ცენტრალიზებულად დაგეგმილი ეკონომიკა ჰქონდა, პლურალისტურ დემოკრატიაში - საბაზრო ეკონომიკით. იმ დროს, ამ ტრანსფორმაციას თან ახლდა ისეთი პერიოდები, როდესაც იყო მნიშვნელოვანი არასტაბილურობა, რამაც გამოიწვია მშპ-ს არაერთჯერადი შემცირება, ჰიპერინფლაცია, მერყევი სავალუტო კურსი, სახელმწიფო ვალების მაღალი დონე, რომელიც კავშირშია მშპ-სთან, შავი და რუხი საბაზრო ეკონომიკის არსებობა, მაღალი დონის უმუშევრობა და არასრული დასაქმებულობა და საქართველოს მოსახლეობის ნაწილის გაღარიბება.

2008-2009 წლების რეცესიის შემდეგ, რომელიც ისეთი მოვლენების კომბინაციის შედეგად მოხდა, როგორიცაა 2008 წლის კონფლიქტი ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში და გლობალური ფინანსური კრიზისი (რომელმაც შეაჩერა ის ეკონომიკური ზრდა, რომელიც იმ სხვადასხვა ეკონომიკური რეფორმების შედეგი იყო, რომლებიც დაინერგა 2004 წელს) საქართველოს ეკონომიკა დაუბრუნდა ზრდას. საქსტატის მონაცემების მიხედვით, უცხოური პირდაპირი ინვესტიციების რაოდენობამ 1, 828 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა 2014 წელს, 1652.5 მილიონი აშშ დოლარი 2015 წელს, 1602.9 მილიონი აშშ დოლარი 2016 წელს, 1,861.9 მილიონი 2017 წელს და 1.232 მილიონი 2018 წელს. შემდგომ, მშპ-ს რეალური ზრდის მაჩვენებელმა 4.6% მიაღწია 2014 წელს, 2.9%-2015 წელს, 2.8%-2016 წელს, 5.0% 2017 წელს და 5 %-2018 წელს. ეს საქართველოს ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანი ზრდის მაჩვენებელია და ხაზს უსვამს ეკონომიკის მოქნილობასა და ზრდის ძლიერ პოტენციალს, განსაკუთრებით გასათვალისწინებელია უხეში ფისკალური მდგომარეობა წლის განმავლობაში და არასასურველი მოვლენების განვითარებები რეგიონში. საქართველოს ფისკალურ დისციპლინაზე დამატებით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2018 წელს:

- ინფლაცია იყო დაბალი
- მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი გამოსწორდა და იმაზე დაბალი იყო, ვიდრე ხანგრძლივი დროის განმავლობაში
- ქართული ლარის გაცვლითი კურსი დაბალი იყო ხანგრძლივი და საშუალო პერიოდის განმავლობაში არსებულ კურსთან შედარებით; და
- უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემოდინების შემცირება იყო, თუმცა ძირითადად ერთჯერადი ინვესტიციების გამო. მთლიანობაში, უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემოდინება მიმდინარე ანგარიშების დეფიციტის მთავარ წყაროდ რჩება.

უფრო მეტიც, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გააგრძელა საერთაშორისო რეზერვების შექმნა და საცხოვრებელის ბაზარზე არ ყოფილა ზედმეტად სწრაფი ეკონომიკური ზრდა. რაც შეეხება სისტემის მასშტაბის საკრედიტო ზრდას, მაშინ, როდესაც ბაზარზე შეღწევადობა გაიზარდა, მშპ-სთან კრედიტის თანაფარდობა მაინც ახლო იყო გრძელვადიან ტენდენციასთან, რომელიც სპეციალურად მუდმივი გაცვლითი კურსით იზომება და 2018 წელს, სესხების დოლარიზაცია შემცირდა, საგრძნობლად ნელი ტემპით.

უფრო მეტიც, საქართველოს ეკონომიკა საკმაოდ დოლარიზებულია. დოლარიზაცია აგრძელებს კლებას, ორივე, სესხების და დეპოზიტების კუთხით, თუმცა საკმაოდ ნელა. 2018 წლის ბოლოსთვის, სესხების დოლარიზაცია 57%-ზე იყო, 0.1 პუნქტით დაბლა წლიდან წლამდე და 0.9 პუნქტით ქვევით, უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამოკლებით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მიიღო ზომები საქართველოს შიდა ფულადი ბაზრის განვითარების ხელშესაწყობად, დოლარიზაციის რეიტინგმა შესაძლია უარყოფითი გავლენა მოახდინოს სეზ-ის მონეტარული და გაცვლითი კურსის პოლიტიკის დანერგვის ეფექტიანობაზე.

საქართველოს ეკონომიკაზე გავლენა რიგმა გარე დარტყმებმაც იმოქმედეს, რუსეთ-უკრაინის კრიზისმა, რუსეთის რეცესიის გაღრმავებამ, ვალუტის გაუფასურებამ მის სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში თურქეთის, აზერბაიჯანის და სასომხეთის ჩათვლით. ამ დარტყმებმა გამოიწვია საქართველოს ექსპორტის შემცირებაც 2014-2016 წლებში, უცხოური შემოსულობების დეფიციტი და მსოფლიოში აშშ დოლარის კურსის გამყარებამ გამოიწვია ლარის გაუფასურება 29%-ზე მეტით აშშ დოლართან მიმართებაში 2015 წელს. ამავდროულად ეს გაუფასურება დაეხმარა საქართველოს ეკონომიკას მსგავსი გარე დარტყმების გამკლავებაში, ასევე გაზარდა სავალო ტვირთი მსესხებლებისთვის აშშ დოლარში დენომინირებული სესხებისთვის, რამაც გამოიწვია მოთხოვნის გაზრდა ლარში დენომინირებულ სესხებზე. დამატებით, საქსტატის მონაცემების მიხედვით, პერიოდის ბოლოს მომხმარებლის ფასის ინდექსით გაზომილმა წლიურმა ინფლაციამ საქართველოში შეადგინე 2% 2014 წელს, 4.9%-2015 წელს, 1.8%-2016 წელს, 6.7% 2017 წელს და 3% 2018 წელს. ინფლაციის შემცირება 2017 წელს მაღალი შემოდინების, ნავთობის დაბალი ფასების და უფრო სუსტი შიდა მოთხოვნის მიზეზით მოხდა.

მონეტარული პოლიტიკის ნებისმიერმა ცვლილებამ, ლარის შედგომმა მატერიალურმა გაუფასურებამ აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში, ინლფაციის ზრდამ ან რაიმე სხვა, ნეგატიურმა ფაქტორებმა, გარე ფაქტორების ჩათვლით, შესაძლოა საქართველოს ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენა იქონიოს. ამან, თავის მხრივ, შეიძლება უარყოფითი მატერიალური გავლენა იქონიოს კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, საოპერაციო შედეგებსა და პერსპექტივებზე, ისევე, როგორც ობლიგაციების სავაჭრო ფასზე.

რისკის მართვა

თიბისი ლიზინგის კონტრაქტები მოიცავს ლიზინგის მიმღების ავანსად გადახდილ მოწყობილობის ღირებულების 20%-ს ლიზინგის დაწყებისას. კომპანიას აქვს ლიზინგით გადაცემული აქტივების განკარგვის უფლება საკონტრაქტო პერიოდში რომელსაც შემდგომ გადასცემს ლიზინგის მიმღებს. თიბისი ბანკის საკრედიტო კომიტეტი იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას ლიზინგების გაცემაზე, რომელიც აჭარბებს 300 000 აშშ დოლარის ღირებულებას. ლიზინგის რეკომენდაციები (ლიზინგის ლიმიტის დამტკიცება, ლიზინგის ხელშეკრულებების ჩასწორებები და ა.შ.) განიხილება და მტკიცდება კომპანიის საკრედიტო კომიტეტის მიერ.

კომპანია აქტიურად მართავს მის ლიკვიდურობის რისკს, ახდენს რა საკმარისი ფინანსების ხელმისაწვდომობის გარანტირებას, რათა გადაფაროს ფინანსური ვალდებულებები, როცა მათი გადახდის დრო მოვა.

მმართველი საბჭო (რომელიც შედგება მთავარი აღმასრულებელი დირექტორისგან, მთავარი რისკების დირექტორისგან და მთავარი ფინანსური დირექტორისგან) აკონტროლებს ლიკვიდურობის რისკს დაფარვის ვადის ანალიზის და ლიკვიდურობის გეპის მეშვეობით. კომპანია აქტიურ მონიტორინგს აწარმოებს სამომავლო მოსალოდნელ ფულად ნაკადებს კლიენტისა და კომპანოოს ოპერაციებზე.

ფინანსური რისკის მართვა

რისკის მართვის ფუნქცია კომპანიაში ფინანსურ რისკებთან მიმართებაში ხორციელდება. (საკრედიტო, ლიკვიდურობის და ბაზრის რისკების (სავალუტო კურსის რისკისა და საპროცენტო განაკვეთის რისკის ჩათვლით), გეოგრაფიული, საოპერაციო რისკები და სამართლებრივი რისკები. ფინანსური რისკების მართვის პირველადი მიზანია დაწესდეს რისკის ლიმიტები, და შემდეგ უზრუნველყოს, რომ რისკები ამ ზღვრებში ჯდება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის ფუნქციები განსაზღვრულია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადო ფუნქციონერობისთვის, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმალიზებისთვის.

საკრედიტო რისკი

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, ეს ის რისკია, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე, ვალდებულების ვერ შესრულებით გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის. საკრედიტო რისკი მაშინ დგება, როდესაც კომპანია იწყებს ფინანსურ ლიზინგის კონტრაქტს და სხვა ტრანზაქციებს კონტრაგენტებთან და ეს ფინანსური აქტივების ინიცირებას იწვევს. საკრედიტო რისკის დადგომის მაქსიმუმი უტოლდება ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებს და აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

რისკის მართვა და მონიტორინგი წარმოებულია უფლებამოსილების დადგენილ ზღვრებში, მშობელი კომპანიის საკრედიტო კომიტეტის მიერ და კომპანიის მმართველი საბჭოს მიერ. მშობელი კომპანიის საკრედიტო კომიტეტი ჩართულია იმ ლიზინგებზე გადაწყვეტილების მიღებაში, რომელიც აჭარბებს 300 000 აშშ დოლარს . სანამ საკრედიტო კომიტეტისთვის და კომპანიის მმართველი საბჭოს მიმართ რაიმე მიმართვა გაკეთდება, ყველა რეკომენდაცია ლიზინგის პროცესზე (ლიზინგის ზღვრები დაწესებულია ან ლიზინგის კონტრაქტის პირობები ჩასწორდა და ა.შ.) განხილული და დამტკიცებულია რისკ -მენეჯერის ან საკრედიტო დეპარტამენტის მიერ.

კომპანია მის ფინანსური ლიზინგის კონტრაქტებს ისეთ სტრუქტურაში ათავსებს, რომ ლიზინგის მიმღები ავანსად იხდის შესყიდვის ობიექტის ღირებულების 20%-ს ლიზინგის დაწყებისთანავე. კომპანიას აქვს ლიზინგის აქტივის განკარგვის უფლება ლიზინგის ვადების განმავლობაში. ფინანსური ლიზინგის აქტივების განკარგვის უფლება გადადის ლიზინგის მიმღებებზე ამ კონტრაქტების ვადების დასრულებისას.

რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ლიზინგის აქტივებთან, როგორიცაა სხვადასხვა მიზეზით მიყენებული ზიანი, ქურდობა და სხვა, ზოგადად დაზღვეულია. ხელმძღვანელობა პერიოდულად

სს თიბისი ლიზინგი, მმართველობითი ანგარიშგება

აფასებს ლიზინგის მიმღებების ფინანსურ წარმადობას მათი ვალების დაფარვის მონიტორინგითა და ფინანსური ანგარიშების ანალიზით. მთავარი ფაქტორები კომპანისთვის იმის გასათვლელად თუ რა სტატუსი აქვს ლიზინგს, გაუფასურდა თუ ვადაგასულია, არის ლიზინგის მიმღების წარმადობა და ლიკვიდურობა და ლიზინგის აქტივის ღირებულება. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფინანსურ ლიზინგში წმინდა ინვესტიციისთვის შექმნილი ანარიცხი ადექვატურია იმისათვის, რომ ლიზინგის პორტფელში არსებული პოტენციური ზარალი გადაიფაროს საანგარიშო თარიღისათვის.

ხელმძღვანელობა ასევე აფასებს სხვა ფინანსური აქტივების შეგროვებადობას კვარტლურად, მოვალეების ფინანსურ წარმადობაზე და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, როგორებიცაა სასამართლოში სადაო საქმეების შედეგები. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ სხვა ფინანსური აქტივებისთვის შექმნილი ანარიცხი ადექვატურია საანგარიშო თარიღისათვის.

საბაზრო რისკი. კომპანიას გააჩნია საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი ვალუტასა და საპროცენტო განაკვეთებში ღია პოზიციებიდან წარმოიშობა, და ამათგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიურ ბაზრის მოძრაობებს. ხელმძღვანელობა ადგენს ზღვარს რისკის ღირებულებაზე, რომელიც შესაძლოა მიღებული იყოს, რომელზე მონიტორინგიც ყოველთვიურად ხორციელდება. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება ვერ უზრუნველყოფს ზარალის პრევენციას ამ ზღვრების გარეთ, უფრო მნიშვნელოვანი ბაზრის მოძრაობის დროს.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი განსაზღვრულია ისეთ რისკად, რომლის დროსაც ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება მერყეობს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო. კომპანიამ შესაძლოა გამოსცადოს დომინანტი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რყევების გავლენა მის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულად ნაკადებზე.

მმართველი საბჭო აკონტროლებს და მართავს სავალუტო რისკს ღია სავალუტო პოზიციის, ქართული ლარის გაუფასურების შეფასებაზე და სხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, რაც კომპანიას საშუალებას აძლევს მინიმუმამდე დაიყვანოს ზარალი მნიშვნელოვანი კურსების რყევების დროს ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანიას გააჩნია დომინანტი დონეების საბაზრო საპროცენტო განაკვეთის რყევების მის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულად ნაკადებზე გავლენის რისკი. გამომუშავებულ ფინანსურ შემოსავალს და გადახდილ საპროცენტო ხარჯებს შორის მარჟა შეიძლება გაიზარდოს მსგავსი ცვლილებების გამო, მაგრამ შესაძლოა შემცირდეს ან წარმოქმნას ზარალი იმ დროს, როდესაც მოულოდნელ მოძრაობას ჰქონდა ადგილი.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ გააჩნდა რეალური ღირებულებით საპროცენტო განაკვეთის რისკი, რადგან ყველა მისი ფინანსური აქტივი და ვალდებულება აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით. ფულადი ნაკადების საპროცენტო რისკი 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩნდება ერთი ნასესხები სახსრიდან, ცვლადი საპროცენტო განაკვეთით. ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ვალდებულება ატარებს ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთს ან საერთოდ უპროცენტოა.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი ეხება ხელმისაწვდომობას საკმარის ფინანსებზე, იმ ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად, რომლებიც ასოცირდება ფინანსურ ინსტრუმენტებთან, რომლებიც ფაქტობრივად ვადაგასულია. მმართველი საბჭო (შიდა ორგანო, რომელიც შედგება მთავარი აღმასრულებელი დირექტორისგან, რისკების დირექტორისგან, ფინანსური დირექტორისგან და რეგულაციებთან შესაბამისობის დირექტორისგან)

კორპორაციული მმართველობა

თიბისი ლიზინგის კორპორაციული ორგანოებია: აქციონერთა საერთო ყრილობა („საერთო ყრილობა“), სამეთვალყურეო საბჭო და მმართველი საბჭო, თითოეული მისი პასუხისმგებლობებით და უფლებამოსილებით საქართველოს კანონის და კომპანიის წესდების შესაბამისად. აქციონერთა საერთო ყრილობა ირჩევს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, რომელიც პასუხისმგებელია კომპანიის მმართველი საბჭოს მეთვალყურეობაზე. კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს კომპანიის აღმასრულებელ დირექტორს და თავის მხრივ, აღმასრულებელი დირექტორი კომპანიის მმართველი საბჭოს წევრებს ნიშნავს, რომელიც კომპანიის აღმასრულებელი ორგანოა და პირდაპირ პასუხისმგებელია ყოველდღიურ საქმიანობაზე.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ბიოგრაფია

ვახტანგ ბუცხრიკიძე, თავმჯდომარე

ვახტანგ ბუცხრიკიძე შეუერთდა თიბისი ბანკს 1993 წელს, როგორც საკრედიტო დეპარტამენტის უფროსი მენეჯერი და არჩეული იქნა მმართველი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ 1994 წელს. 1996 წელს ის გახდა მმართველი საბჭოს თავმჯდომარე. 1998 წლიდან მოყოლებული, მას ეკავა თიბისი ბანკის აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობა და სათავეში ედგა თიბისის სხვადასხვა კომიტეტებს.

ბატონი ბუცხრიკიძე დაინიშნა კომპანიის აღმასრულებელ დირექტორად 2016 წლის მაისში და სამეთვალყურეო საბჭოს წევრად 2016 წლის სექტემბერში. ბატონი ბუცხრიკიძე აგრეთვე ისეთი ორგანიზაციებისა სამეთვალყურეო საბჭოების წევრია, როგორიცაა საქართველოს ბანკების ასოციაცია და ის, საქართველოს ბიზნესის ასოციაციის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა. 2011 წლიდან მას ასევე ეკავა საქართველოს საპატნიორო ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს წევრის თანამდებობაც. 2016 წელს, ბატონი ბუცხრიკიძე შეუერთდა ვიზას ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, შუა აღმოსავლეთის და აფრიკის (CEMEA) ბიზნეს საბჭოს.

ბატონმა ბუცხრიკიძემ ბიზნესის ადმინისტრაციის მაგისტრის წოდება თბილისში, მენეჯმენტის ევროპულ სკოლაში მოიპოვა 2001 წელს. მან დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1992 წელს ეკონომიკის განხრით და აქვს ეკონომიკის ინსტიტუტისა და მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტის კვალიფიკაცია.

ბადრი ჯაფარიძე, წევრი

ბადრი ჯაფარიძე დაინიშნა საგარეო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსად თიბისი ბანკში 1992 წელს და 1993 წელს გახდა ბანკის ვიცე პრეზიდენტი. 1996-2014 წლებში იგი იყო თიბისი TV-ს საბჭოს თავმჯდომარე. 1995 და 2003 წლებს შორის, ის იყო საქართველოს მინისტრისა და მინერალური წყლების პრეზიდენტი, რისი თანადადამფუძნებელიც ასევე იყო. კომპანიას შემდგომში სახელი შეეცვალა და IDS ბორჯომი გახდა, სადაც იგი იყო საბჭოს წევრი 2004-დან 2010 წლამდე.

1995 წელს, ბატონი ჯაფარიძე აირჩიეს თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოში და 1996 წლიდან ამ საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე იყო. 2004 წელს, იგი აგრეთვე აირჩიეს ამერიკის სავაჭრო პალატის

სს თიბისი ლიზინგი, მმართველობითი ანგარიშგება

დირექტორთა საბჭოს წევრად და ასევე საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების კომპანიაში, რისი თანადამფუძნებელიც თვითონ არის.

2016 წელს ბატონი ჯაფარიძე აირჩიეს EUGeorgian ბიზნეს საბჭოს სამეთვალყურეო საბჭოში და ამავდროულად გახდა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. 2018 წელს, ის გახდა ჯეოპლანტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, ამ თანამდებობას ის დღემდე იკავებს. ბატონი ჯაფარიძე აგრეთვე არის თიბისი კრედიტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და თიბისი ლიზინგის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. ბატონი ჯაფარიძე დაინიშნა თიბისი ბანკის საბჭოს თავმჯდომარედ 2016 წლის მაისში.

ბატონმა ჯაფარიძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტი 1982 წელს დაამთავრა და მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ასპირანტის კვალიფიკაცია გააჩნია. დამატებით, 2011 წელს, დაამთავრა მმართველი თანამდებობის პირების სასწავლო კურსი ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტიკური მეცნიერებების სკოლაში. 1990 და 1992 წლებს შორის, ბატონი ჯაფარიძე იყო საქართველოს პარლამენტის წევრი.

ნიკოლოზ ქურდიანი, წევრი

ნიკოლოზ ქურდიანს საბანკო ინდუსტრიაში 10 წელზე მეტი გამოცდილება აქვს, რაც მოიცავს 5 წლიან სამუშაო გამოცდილებას ავსტრიის, თურქეთისა და ყაზახეთის უნიკრედიტ ჯგუფში. სანამ 2014 წელს თიბისი ბანკს შეუერთდებოდა, ბატონი ქურდიანი იყო მმართველი დირექტორი კასპი ბანკში, საცალო ვაჭრობის ლიდერ ბანკში ყაზახეთში.

სანამ ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის წოდებას მიიღებდა 2007 წელს, საქართველოს რესპუბლიკა ბანკის საცალო ვაჭრობის ბანკინგის განყოფილების უფროსი იყო, ჯგუფი სოსიეტე ჟენერალი, და ასევე ეკავა სხვადასხვა პოზიციები საქართველოს ბანკში 2003-2006 წლებში. მას გააჩნია ცოდნა და გამოცდილება შესყიდვის შემდგომი ინტეგრაციის და რესტრუქტურისაციის სფეროში, ისევე, როგორც საცალო ვაჭრობის და მცირე და საშუალო საწარმოების ბანკინგის სფეროში. 2008-2010 წლებს შორის ბატონ ქურდიანს ეკავა უფროსი გაყიდვების მხარდაჭერის ექსპერტის თანამდებობა ავსტრიის ბანკის, უნიკრედიტ ჯგუფის, რომელიც პასუხისმგებელია თურქეთზე, ყაზახეთზე, უკრაინასა და სერბეთზე, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის საცალო ვაჭრობის განყოფილებაში. 2010 და 2013 წლებს შორის, საცალო ვაჭრობის განყოფილების უფროს იყო ATF ბანკში, ყაზახეთის უნიკრედიტ ჯგუფში.

ბატონმა ქურდიანმა ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის წოდება 2007 წელს, IE ბიზნესის სკოლაში მოიპოვა. მას აგრეთვე აქვს საერთაშორისო ეკონომიკის მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხი საერთაშორისო ეკონომიკაში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან და დაამთავრა ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრიატი გერმანიაში Ruhr-University Bochum-ში და კავკასიის ბიზნეს სკოლა.

მმართველი საბჭოს წევრების ბიოგრაფია

გაიოზ გოგუა, მთავარი აღმასრულებელი დირექტორი

გაიოზ (გოგა) გოგუა მუშაობს თიბისი ლიზინგის აღმასრულებელ დირექტორად 2017 წლის ნოემბრიდან. მის ამჟამინდელ თანამდებობამდე, ის მუშაობდა თიბისი ბანკში, რომელსაც ის შეუერთდა 2001 წელს, როგორც კრედიტ მენეჯერი. წლების განმავლობაში თიბისი ბანკში ის მუშაობდა სხვადასხვა

სს თიბისი ლიზინგი, მმართველობითი ანგარიშგება

მმართველობით პოზიციებზე, რეგიონალური დირექტორის, ფილიალის დირექტორის და ფილიალის საკრედიტო განყოფილების უფროსის თანამდებობებზე. ბატონ გაგუას გააჩნია ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის და ფიზიკის მაგისტრის ხარისხები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან და ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი თბილისის მენეჯმენტის ევროპული სკოლიდან.

ირაკლი ხატიაშვილი, კომერციული დირექტორი

ირაკლი ხატიაშვილი შეუერთდა თიბისი ლიზინგს 2018 წელს და წლების განმავლობაში ის მუშაობდა საქართველოს წამყვან ბანკებში საკრედიტო და კომერციულ დეპარტამენტებში მაღალ თანამდებობებზე. ბატონ ხატიაშვილს ბიზნესის ბაკალავრის ხარისხი აქვს გამოყენებად მათემატიკასა და კომპიუტერულ მეცნიერებებში საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტიდან.

ნუგზარ ლოლაძე, ფინანსური დირექტორი

ბატონი ლოლაძე შეუერთდა თიბისი ლიზინგს 2014 წელს როგორც ფინანსური დირექტორი. სანამ თიბისი ლიზინგში დაიწყებდა მუშაობას, იგი მუშაობდა კომპანიაში Ernst & Young, უფროს აუდიტორად და მოგვიანებით გარიგებების საკონსულტაციო სერვისების ლიდერად. ბატონმა ლოლაძემ დაამთავრა კავკასიის ბიზნეს სკოლა.

გიორგი მაისურაძე, რისკების მთავარი ოფიცერი

ბატონი მაისურაძე შეუერთდა თიბისი ლიზინგს 2018 წლის დასაწყისში როგორც რისკების დირექტორი. მას წამუშევარი აქვს საქართველოს სხვადასხვა კომერციულ ბანკებში, ამასთანავე, მუშაობდა საქართველოს ეროვნულ ბანკში, როგორც უფროს მენეჯერი ან დეპარტამენტის უფროსი. მას აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის და მაგისტრის ხარისხი მაკროეკონომიკაში.

ლევან აბაშიძე, ავტომობილების მთავარი ოფიცერი

ლევან აბაშიძე შეუერთდა თიბისი ლიზინგს როგორც ავტომობილების მთავარი ოფიცერი 2016 წლის ოქტომბერში. 2008 წლიდან ის მუშაობდა კომპანიაში ARVAL BNP Paribas, როგორც საკრედიტო რისკებისა და ფასწარმოქმნის დეპარტამენტის უფროსი და შემდეგ როგორც რემარკეტინგის უფროსი. 2006 წლის ნოემბრიდან 2007 წლის დეკემბრამდე ბატონი აბაშიძე მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის სესხების განყოფილების უფროსი იყო ქართულ ბანკში. მანამდე ის მუშაობდა როგორც საკრედიტო მრჩეველი EBRD-ის მცირე ბიზნესის სესხების პროგრამაზე, საქართველოს საზღვაო ბანკის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და კრედიტ ოფიცრად საქართველოს პროკრედიტ ბანკში. ბატონ აბაშიძეს სოფიას St. Kliment Ohridski-ს უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის და კავკასიის ბიზნეს სკოლის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხები აქვს, ასევე ამერიკის ბიზნესისა და ეკონომიკის ინსტიტუტი აქვს დამთავრებული.

ნანა შონია, იურიდიული საკითხების მთავარი ოფიცერი

ნანა შონია შეუერთდა თიბისი ლიზინგს 2007 წელს და 2013 წლის იანვრიდან მუშაობდა როგორც მთავარი იურიდიული საკითხების ოფიცერი. მანამდე, ქალბატონი შონია მუშაობდა როგორც სამტატო ადვოკატი და უფროსი იურისტი. კომპანიაში მოსვლამდე ის მუშაობდა როგორც იუარისტი

სს თბილისი ლიზინგი, მმართველობითი ანგარიშგება

საქართველოს პროგრედიტ ბანკში 2005-2007 წლებში. ქალბატონი შონია ფლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურისპრუდენციის ბაკალვრისა და მაგისტრის ხარისხს.

მმართველი საბჭოს თითოეული წევრის ბიზნეს მისამართი კომპანიის რეგისტრირებული ოფისის მისამართია, ჭავჭავაძის გამზირი, 80, თბილისი, საქართველო

აღმასრულებელი დირექტორი

ფინანსური დირექტორი

გაიოზ გოგუა

ნუგზარ ლოლაძე

2019 წლის 16 აპრილი